პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
6 სექტემბერი პარასკევი 2013
№210 (14 126) ფასი 80 თეთრი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი
ვაჟა სიმონიშვილი ცელიიდან

ევრობასკეტი 2013
წარმოგიდგენთ europe-bet.com
4-22 სექტემბერი. სლოვენია

საქართველო 76
15:17, 19:18, 18:15, 24:27
ხორვატია 77



3:0

**ჩივაძე კარგად იწყებს**
2

**გადამწყვეტი მატჩების წინ**
მუნდიალი 2014. წინათქმა
6-7



**მარეი შინისკენ**
სამარცხვინოდ დაკარგული ტიტული
14

# რა ცოტა დაგვაკლდა...



8-9, 16

ანალიზი, სპეციალისტის კომენტარი, ევრობასკეტის მეორე ტური

მუნდიალი 2014. საკვალიფიკაციო მატჩი. I ჯგუფი

## საქართველო-საფრანგეთი

6 სექტემბერი. თბილისი. დინამო არენა 22:15



| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8 | 2 | 11 |
| 2 | საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8 | 4 | 10 |
| 3 | ფინეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 4 | 4 | 6 |
| 4 | საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 | 4 |
| 5 | ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4 | 10 | 4 |



**თემურ ქეცბაია**

**ჩვენგან შემტევი ფეხბურთი არ იქნება**

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია
2

VS



**დიდიე დეშამი**

**მეტოქისგან საჩუქრებს არ ველოდები**

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრესკონფერენცია
4

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



● საქართველო-საფრანგეთი

## თემურ ქეცბაია:
# დამიჯერებთ, რომ ვთქვა, სულ შეტევაში ვიქნებით-მეთქი?

**საფრანგეთთან** დღევანდელ მატჩამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" მორიგი პრესკონფერენცია გამართა:

**- ესპანეთთან საქართველოს ნაკრებმა ღრმა დაცვით ითამაშა და კინაღამ წარმატებასაც მიაღწია. ფრანგების წინააღმდეგაც ასეთ ფეხბურთს უნდა ველოდოთ?**

- ჩვენ ვეცდებით, რაც შეიძლება ორგანიზებულად ვითამაშოთ. ჯერ დაცვაში უნდა ვიყოთ ყურადღებით, მერე შეტევაში ჩვენს შანსს დაველოდოთ. ახლა რომ გითხრათ, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ-მეთქი, მოგატყუებთ. ზღაპრებს ხომ არ მოვყვები?

**- ქარიმ ბენზემა ნაკრებში წარუმატებლად თამაშობს. „რეალის" ფორვარდის ამჟამინდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებდით?**

- მე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი არ ვარ და ამაზე ლაპარაკი უხერხულია. ვიცი, ბენზემა ზედიზედ ორ მატჩში გოლს თუ ვერ გაიტანს, აკრიტიკებენ. წარმოიდგინეთ, ფრანგები „რეალის" თავდამსხმელზე ამას რომ ამბობენ, ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ?

**- შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ, თამაშისთვის რა გეგმას ამზადებთ?**

- დაცვაში შეცდომა არ უნდა დავუშვათ. არც ის გვავიწყდება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს ჩვენთვის წარუმატებელ პერიოდში ვხვდებით. თანაც, დიდი ხანია, თბილისში არ გვითამაშია. მაგრამ სტადიონი თუ შეივსება, გულშემატკივართა თანადგომა ბევრს ნიშნავს და ვეცდებით, ღირსეულად ვითამაშოთ.

**- ადრე თამაშებისთვის მოსამზადებლად დიდი დრო არ გქონდათ. ახლა კი შეკრება 2 სექტემბერს დაიწყეთ. რამდენად ნაყოფიერია მოსამზადებელი პროცესი? არის კი ჩვენი ნაკრები ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად მზად იმისთვის, რომ ამ მატჩებში ამოცანები წარმატებით გადაჭრას და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდეს?**

- რაც უნდა იყოს, ნაკრების მოსამზადებლად დრო საკმარისი არასოდეს არის. ადრინდელთან შედარებით, ახლა მართლაც უკეთესი სიტუაციაა - მზადება ორშაბათს დავიწყეთ და სამშაბათს უკვე სრული შემადგენლობით ვვარჯიშობდით. არის შანსი, რომ მე-3 ადგილი დავიკავოთ და ბიჭებიც სრული სერიოზულობით ეკიდებიან საქმეს. გულშემატკივართა მხარდაჭერის იმედიც გვაქვს, როგორც სხვა მატჩებში ხდებოდა. მესამე ადგილზე გასვლა ადვილი არ იქნება, მაგრამ შეუძლებელიც არ ჩანს. ეს ცუდი შედეგი არ იქნება ჯგუფში, სადაც ესპანეთი და საფრანგეთი არიან - ეს უძლიერესი ჯგუფია. ისე, პარიზში გამართული მატჩის წინ ძალიან გავწვალდით ვიზებზე და მოსამზადებლად, ფაქტობრივად, ერთი დღელა გვქონდა. ჩვენ ბევრი რამ გვაბრკოლებს, სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად, რუსეთ-უკრაინიდან მოთამაშეები თბილისში უნდა ჩამოფრინდნენ. ფრანგები კი თავისუფლად ჩამოდიან, მათ ეს პრობლემა არ აწუხებთ.



თემურ ქეცბაია
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**- საფრანგეთის შემდეგ ფინეთთან მატჩია. აქცენტს მეორე შეხვედრაზე ხომ არ აკეთებთ. ფინეთი ჯგუფში ჩვენი უშუალო კონკურენტია მესამე ადგილისთვის ბრძოლაში...**

- ჩვენთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. ისეთ მდგომარეობაში არ ვართ, რომელიმე თამაშს ნაკლები ყურადღებით რომ მოვეკიდოთ. ფინეთთან მესამე ადგილის ბედი წყდება, მაგრამ საფრანგეთთანაც ოპტიმალურ შემადგენლობას დავაყენებთ.

**- როგორ ფიქრობთ, შესაძლოა თუ არა, რომ რიბერიმ „ოქროს ბურთი" მოიგოს?**

- მან მოიგო ჩემპიონთა ლიგა და ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. „ოქროს ბურთიც" რომ მოიგოს, რატომ არ არის შესაძლებელი?!

**- რიბერი მარცხნიდან უტევს. ამ დროს, უთამაშებელია ჩვენი მარჯვენა მცველი უჩა ლობჟანიძე. რას იზამთ, რიბერის ორ კაცს დაუყენებთ?**

- უთამაშებლები სხვებიც არიან და ამ პრობლემას მართლაც ვაწყდებით. მაგრამ რიბერის ორი კაცი რომ დავუყენო, სხვები გათავისუფლდებიან. საფრანგეთი კი მხოლოდ რიბერი არაა, ამ გუნდში სხვა ვარსკვლავებიც არიან. იმედია, ხალხი მოვა და გაგვამხნევებს, ბიჭები კი წარმატებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენ ახლა ლანძღვა-გინება კი არა, თანადგომა გვჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● U 21. შესარჩევი ტურნირი. III ჯგუფი

05.09. ეში. ლა ფრონტიე.

| | |
|---|---|
| ლუქსემბურგი | 0 |
| საქართველო | 3 |

0:1 სხირტლაძე (18), 0:2 კობახიძე (72. კვეკვესკირის პასით), 0:3 ჭანტურია (78)

ლუქსემბურგი: ივეშიჩი, მასტრანჯელო, რამდედოვიჩი, დრაგოვიჩი, შპელერი, ჰოლტერი, დ. აგოვიჩი, სანჩესი (88. ზიბენალერი), სინანი, კორალი (64. ლაშჩაკი), კლაპი (58. დეიდა).

სათადარიგოები: ფრიზინგი, ე. აგოვიჩი, სკრიელი, ტოდოვიჩი.

საქართველო: ნადირაძე, ტვილდიანი, კობახიძე, კვირკველია, უბილავა, კვეკვესკირი, პაპავა (76. ჯიღაური), ჭანტურია, პარუნაშვილი, ყაზაიშვილი (80. ფანცულაია), სხირტლაძე (84. კაჭარავა).

სათადარიგოები: მეშველიანი, ჩაფიძე, გრიგალაშვილი, გიგაური

გაფრთხილება: კვირკველია (14), ჰოლტერი (41), კობახიძე (64), კაჭარავა (88), მასტრანჯელო (90)

გაძევება: ჰოლტერი (60)

არბიტრი: ბრინ მარკჰემ-ჯონსი (უელსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7-1 | 3 |
| 2. ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 3. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 4. შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 5. ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |

# ჩივაძემ მოგებით დაიწყო

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის 2015 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩინებულად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ **ალექსანდრე ჩივაძის** შეგირდები გასვლაზე საკმაოდ სუსტ ლუქსემბურგს დაუპირისპირნენ, 3:0 მაინც სასიხარულო და დამაიმედებელი შედეგია.

ჩივაძემ გუნდი 4-2-3-1 განლაგებით ათამაშა. დასაწყისში მასპინძლებმა ქართველ ახალგაზრდებს საკმაოდ ბევრი პრობლემა შეუქმნეს. საგოლე მომენტებიც იყო ჩვენს კართან, მაგრამ **ნადირაძე** საიმედოდ თამაშობდა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო. შეხვედრის ძირითად ნაწილში ჩვენი 21-წლამდელები უტევდნენ. მე-18 წუთზე „ორჰუსის" თავდამსხმელ **დავით სხირტლაძის** გოლით დავწინაურდით - 1:0.

პირველ ტაიმში ჩივაძის ბიჭებმა ლუქსემბურგელთა მეკარეს საქმე არ მოაკლეს - მარტო **გიორგი ჭანტურიას** ოთხჯერ აუღო „სტანდარტულებიდან" და კარგად ითამაშა **გიორგი პაპავას** დარტყმულზეც.

მეორე ტაიმი დიდი ხნის დაწყებული არ იყო, როცა ლუქსემბურგელები 10 ფეხბურთელით დარჩნენ: მე-60 წუთზე, უელსელმა არბიტრმა **ბრინ მარკჰემ-ჯონსმა ჰოლტერს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მოედნიდან მიაბრძანა.

ქართველებმაც რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს და შეტევები კიდევ უფრო გაამწვავეს. 68-ე წუთზე ანგარიშის გაზრდა შეეძლო სხირტლაძეს, მაგრამ ივეშიჩი კვლავ საიმედოდ იდგა.

თუმცა ლუქსემბურგელები ვერც მეკარის თავგანწირულმა თამაშმა იხსნა დიდი ანგარიშით მარცხისგან. **ნიკა კვეკვესკირის** მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ბურთი კარში **მამუკა კობახიძემ** გადაგზავნა - 2:0. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მეორე შეხვედრაა, კობახიძე და სხირტლაძე მოედანს უგოლოდ არ ტოვებენ.

78-ე წუთზე კი ჭანტურიამ აისრულა სურვილი - ამჯერად, ლუქსემბურგელთა გოლკიპერმა მისი საჯარიმო დარტყმა ველარ მოიგერია - 3:0.

ამას გარდა, შეცვლაზე შესულ **გიორგი ფანცულაიასა** და კვეკვესკირსაც (ორჯერ) შეეძლოთ ქართველების უფრო დიდი ანგარიშით დაწინაურება, მაგრამ მათმა დარტყმებმა მიზანს ვერ უწია.

9 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სენეცში სლოვაკეთს შეხვდება.

■ ■ ■

გუშინ III ჯგუფში, ნაიმეგენის „დე გოფერტზე", ჰოლანდიამ შოტლანდია მიიღო და 4:0 დაამარცხა. გოლები **ტრინდად დე ვილენამ** (52), **კასტაინოსმა** (69), **ვან დერ ჰოორნმა** (74) და **დროსტმა** (78) გაიტანეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ჩვენ და ფრანგები



საფრანგეთი-საქართველო 3:1

# მოგებას არავინ ითხოვს, მაგრამ...
## მოტივაცია არც საქართველოს აკლია

**ამ ბოლო** თვე-ნახევრის განმავლობაში ქართველ გულშემატკივარს უკვე მესამედ შეუძლია დატკბეს გამორჩეული ფეხბურთელების ხილვით: ჯერ იყო და აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე ტიტულიანი გუნდი „სტიაუა" გვესტუმრა, მერე ინგლისურმა გრანდმა „ტოტენჰემმა" წაივარჯიშა ჩვენს ჩემპიონთან (თანაც, მხოლოდ 5 გოლი „გვაკმარა"), ახლა კი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, საფრანგეთის ნაკრებს ვიხილავთ! ისე, მართლაც რა სჯობია, ფრანკ რიბერის, ქარიმ ბენზემას, სამირ ნასრისა თუ უგო ლორისის „ახლოდან" ნახვას (თუმცა ლორისი უკვე ვნახეთ „ტოტენჰემთან" ერთად), მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, თუ როგორ ხასიათზე ვიქნებით დღევანდელი მატჩის დამთავრების შემდეგ...

**...საფრანგეთის ნაკრებისათვის ჯგუფში დარჩენილი სამივე მატჩი უმნიშვნელოვანესია: დიდიე დეშამის გუნდი ჯერ კიდევ ინარჩუნებს პირველ ადგილზე გასვლის შანსს და ასეც რომ არ იყოს, პლეი ოფში გამსვლელ მეორე ადგილსაც ხომ განაღდება სჭირდება?**

**მოკლედ, ფრანგები ერთობ მოტივირებულნი გვესტუმრნენ და ის ფაქტი, რომ დისკვალიფიკაციის გამო ორი საყრდენი ნახევარმცველი (ბლეზ მატუიდი, პოლ პოგბა) არ ეყოლებათ, ჩვენი დღევანდელი მეტოქის მთავარ მწვრთნელს დიდ პრობლემას არ შეუქმნის. ანუ, ფრანგებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, ვინც არ უნდა მოისაკლისონ, საქართველოსთან მატჩში მაინც უპირობო ფავორიტებად მიიჩნევიან. ასეთი დონის მეტოქესთან, რაღა თქმა უნდა, ვერც ვერავინ მოითხოვს, გინდა თუ არა, უნდა მოუგოთო, მით უფრო, რომ საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელი შეხვედრები არანაირ ოპტიმიზმს არ იძლევა.**

**მაგრამ, მართლაც მარადიული „ქართული ოპტიმიზმის" ამბავი ხომ იცით, აი, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღევანდელი მატჩის წინ: ვინ იცის, იქნებ, სწორედ საფრანგეთთან შეძლოს საქართველოს ნაკრებმა ამ წარუმატებელი სერიის დასრულება? თანაც, გამორჩეულად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან პაექრობისას ჩვენებს ხომ განსაკუთრებული მოტივაცია უნდა ჰქონდეთ და სწორად შერჩეული ტაქტიკის წყალობით, შესაძლოა, ჩვენთვის სასურველ შედეგსაც მივაღწიოთ.**

აბა, გაიხსენეთ: რაღა რჩებოდა, როცა შარშან ესპანელებმა ის ერთადერთი გოლი გაგვიტანეს? ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საქართველოს ნაკრებს... სატურნირო მოტივაციაც ექნება: საფრანგეთთან მოგებას არავინ ითხოვს, მაგრამ, აი, ოთხი დღის მერე კი ფინელებს აუცილებლად უნდა ვაჯობოთ! ამ შემთხვევაში კი ჯგუფში მესამე ადგილის დაკავების რეალური შანსი გვეძლევა: იმ ჯგუფში, სადაც პირველ-მეორე ადგილებს ესპანეთი და საფრანგეთი „გაინაწილებს", მესამე ადგილზე გასვლა ნებისმიერი ნაკრებისათვის საპატიო იქნება. ამას გარდა, უკვე მომაბეზრებელიც არის ყოველი შესარჩევი ციკლის ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე დასრულება...

### სტატისტიკას ნუ შევხედავთ...

სანაკრებო დონეზე საქართველო და საფრანგეთი დღეს მეოთხედ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და იმასაც გეტყვით, რომ წინა სამივე შეხვედრა ფრანგებმა მოიგეს. პირველი დაპირისპირება 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში იყო: **კლაუს ტოპმიოლერის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე საქართველოს ნაკრები პირწმინდად დამარცხდა საფრანგეთის ნაკრებთან (0:3).

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის 2 სექტემბრის მატჩი რეკონსტრუირებულ და გაკოხტავებულ „დინამო-არენაზე" ჩატარდა და სტადიონზეც, ფაქტობრივად, სრული ანშლაგი იყო. თუმცა, სტუმრებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, ვერანაირი ქომაგობა ჩვენებს ვერ უშველიდათ! განსაკუთრებით დამთრგუნველი საწყისი წუთები იყო: ფრანგებმა ჩვენი მარჯვენა ფლანგი აიკლეს და 16 წუთში 2 გოლიც გაიტანეს. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში ტოპმიოლერმა ერთობ შემტევი ტაქტიკა აირჩია და მწარედაც შეცდა: ფრანგები უპრობლემოდ გადმოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე და მერე უკვე ფლანგებსაც (განსაკუთრებით - მარცხნიდან, საიდანაც **ფლორან მალუდამ** უამრავი პრობლემა შეგვიქმნა) ეფექტიანად იყენებდნენ.

**ლილიან ტიურამი, პატრიკ ვიეირა, კლოდ მაკელელე, ფრანკ რიბერი,** - აი, ასეთი ვარსკვლავების წინააღმდეგ ჩვენები ვერაფერს გახდნენ; აღარაფერს ვამბობთ საფრანგეთის ნაკრების ლიდერზე და საერთოდ, იმდროინდელი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავზე **ტიერი ანრიზე,** რომელმაც თავისი მაღალი კლასი თბილისშიც დაამტკიცა. იმ შესარჩევი ციკლის მეორე შეხვედრაში კი ბევრად „საპატიო" შედეგით წავაგეთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ანგარიში ნამდვილად არ ასახავდა მოედანზე არსებულ ვითარებას: ფრანგები 90 წუთის განმავლობაში მართლაც კოლოსალურ უპირატესობას ფლობდნენ და ფაქტობრივად, 7 (!) მცველით მოასპარეზე საქართველოს ნაკრების კართან უამრავი სახიფათო მომენტი შექმნეს.

თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ფრანგების აურაცხელი მომენტებიდან მხოლოდ ერთადერთი დარტყმა (**სამირ ნასრი**) აღმოჩნდა შედეგიანი. 2006-07 წლებში ჩატარებული ამ ორი დაპირისპირებიდან საქართველოსა და საფრანგეთის ნაკრებში დღესაც შემორჩნენ **ზურაბ ხიზანიშვილი, ჯაბა კანკავა, ფრანკ რიბერი, ერიკ აბიდალი, სამირ ნასრი და ქარიმ ბენზემა.**

რაც შეეხება მესამე დაპირისპირებას, წლეულს ჩატარდა პარიზის „სტად დე ფრანსზე" და თითქმის 80 000 მაყურებლის თანდასწრებით ფრანგებმა 3:1 გაიმარჯვეს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ტაიმში საქართველოს ნაკრებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია; ეგ კი არა, არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საფრანგეთის ნაკრების მეკარეს **უგო ლორისს** ორ ეპიზოდში თავისი მართლაც ჩინებული რეაქცია რომ არ გამოევლინა!

გეხსომებათ ალბათ, ფრანგების მეკარემ თუ როგორი ურთულესი ბურთები აუღო **ალექსანდრე ამისულაშვილსა** და **სანდრო კობახიძეს**. მერე კი, ლამის ტრადიციადქცეული „ბოლო წუთების დრამაც" გათამაშდა: პირველი ტაიმის მიწურულს, უფრო ზუსტად, მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე **ოლივიე ჟირუმ** გოლი გაგვიტანა, რასაც მეორეში **მატიო ვალბუენამ** და ფრანკ რიბერიმ თითოთითო კიდევ დაუმატეს. ჩვენებმა ერთადერთი, რაც მოახერხეს, ამ შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის **სანდრო კობახიძის** პრესტიჟის გოლი იყო.

...საფრანგეთის ნაკრები რა დონის გუნდიც არის, ვფიქრობთ, ჩვენგან ზედმეტიც იქნება ამის შეფასება; მერე, ისეთი შემსრულებლები ჰყავს დიდიე დეშამს, ძნელია განსაზღვრო, თუ საიდან და ვისგან უნდა ელოდო ხიფათს: აქეთ - ვალბუენაო, იქით - ბენზემაო, აღარაფერს ვამბობთ ფრანკ რიბერიზე, წლეულს ალალად რომ იმსახურებს „ოქროს ბურთს"...

...სანაკრებო დონეზე თუ სამივე მატჩი გვაქვს წაგებული, არანაკლებ დამთრგუნველია საკლუბო დონეზეც ქართულ-ფრანგული დაპირისპირებები: დამოუკიდებელი ქართულ ფეხბურთის ისტორიაში რვაჯერ შევხვდით ევრტურნირებზე ფრანგულ კლუბებს და მხოლოდ ერთხელ ვეთამაშეთ ფრედ, დანარჩენი 7 მატჩი კი წავაგეთ! ბურთების სხვაობა ხომ საერთოდ კოშმარულია: 4-24.

თუმცა, ეს მხოლოდ სტატისტიკაა, მთავარი კი ის არის, რომ დღეს ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდს უპირისპირდება. ჰოდა, გვინდა ვისურვოთ, რომ **თემურ ქეცბაიას** გუნდი ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს მხოლოდ მოსაგებად გამოსულ საფრანგეთის ნაკრებს და ვინ იცის, იქნებ, აქეთ ვაგემოთ დამარცხება ესოდენ სოლიდურ მოწინააღმდეგეს!..

**გია ტუხაშვილი**

P.S. ფრანგული ბარიერი ერთხელ მაინც გვაქვს დაძლეული. 1981/82 წლების სეზონში, თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში, თბილისის „დინამომ" ტურნირიდან „ბასტია" გამოთიშა. კორსიკაზე ნათამაშები 1:1-ის შემდეგ, ნოდარ ახალკაცის გუნდმა თბილისში 3:1 გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა...



მატიე ვალბუენა (მარცხნივ) და ფრანკ რიბერი



### ურთიერთდაპირისპირებათა ისტორია

#### სანაკრებო დონეზე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საქართველო-საფრანგეთი 0:3**

02.09.06. თბილისი. 55 000 მაყურებელი
0:1 მალუდა (7), 0:2 საა (16), 0:3 ასათიანი (47, საკუთარ კარში)
საქართველო: გრ. ჭანტურია - ალადაშვილი (39. კანდელაკი), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა - კობიაშვილი, კანკავა - დემეტრაძე, დ. მუჯირი (82. მენთეშაშვილი), იაშვილი (96. კვირკველია) - შ. არველაძე.
მთავარი მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
კაპიტანი: ლევან კობიაშვილი
საფრანგეთი: კუპე - სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი - ვიეირა, მაკელელე (58. მავუბა) - რიბერი (69. გოვუ), ანრი, მალუდა - საა (86. ვილტორი).
გაფრთხილება: კობიაშვილი, კანკავა, გოგუა, დემეტრაძე
არბიტრი: ი. ვეგერეეფი (ჰოლანდია)

**საფრანგეთი-საქართველო 1:0**

06.06.07. ოსერი. 23 000 მაყურებელი
1:0 ნასრი (33)
საფრანგეთი: ლანდრო - კლერკი, ტურამი, გალასი, აბიდალი - მაკელელე, ტულალანი - რიბერი (90. გოვუ), ნასრი, მალუდა (65. სისე) - ანელკა (90. ბენზემა).
საქართველო: ლომაია - სალუქვაძე (12. დ. მუჯირი), ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე - ბურდული, ლვინიანიძე, კანკავა (89. შაშიაშვილი), კვირკველია, ელიავა (62. მარცვალაძე) - იაშვილი.
მთავარი მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
კაპიტანი: კახა კალაძე
გაფრთხილება: ხიზანიშვილი, კანკავა
არბიტრი: ლ. ბატიშტა (პორტუგალია)

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**საფრანგეთი-საქართველო 3:1**

22.03.13. პარიზი. 77 000 მაყურებელი
1:0 ჟირუ (45), 2:0 ვალბუენა (47), 3:0 რიბერი (61), 3:1 ს. კობახიძე (71)
საფრანგეთი: ლორისი - ჟალე, ვარანი, სახო, კლიში - მატუიდი (81. სისოკო), პოგბა - ვალბუენა (66. რემი), ბენზემა, რიბერი (78. მენეზი) - ჟირუ.
საქართველო: ლორია - უ. ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია - გ. კაშია, დაუშვილი - თარგამაძე (84. გელაშვილი), ანანიძე (46. ყენია), ს. კობახიძე - ვანაძე (73. დვალიშვილი).
მთავარი მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
კაპიტანი: ალექსანდრე ამისულაშვილი
გაფრთხილება: ამისულაშვილი
არბიტრი: ი. ბებეკი (ხორვატია)

#### ევროპის საკლუბო ტურნირები

**ინტერტოტოს თასი**

**კოლხეთი 1913-გენგამი 1:3**

13.07.96. ფოთი. 3 000 მაყურებელი
1:3 ამბიძე (74)
კოლხეთი: გოგუა, ქუნთელია (75. ღლონტი), შ. ხუჯაძე, ქობულაძე, თიბილაშვილი, ნ. მიქაბერიძე (46. ბულუხია), სოლოღაშვილი, ტორჩინავა (69. ინიაშვილი), გახოკიძე, ზ. ამბიძე, გაბისონია.
არბიტრი: ვ. ბუტენკო (რუსეთი)

**ინტერტოტოს თასი. II ეტაპი**

**ტრუა-ვიტ ჯორჯია 6:0**

01.07.01. ტრუა. 1 000 მაყურებელი
1:0 მენირი (16), 2:0, 3:0 ბუტალი (29, 38), 4:0 გუზი (48), 5:0 ჟუკიჩი (60), 6:0 ბუტალი (68)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (73. ბეროშვილი), ინწკირველი, ჭანკოტაძე, არეშიძე (46. ფეიქრიშვილი), ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, თ. დოლიძე (46. სულთანიშვილი), ყიფიანი, ადამია, ლ. მელქაძე.
არბიტრი: მ. იფელი (ისრაელი)

**ინტერტოტოს თასი. II ეტაპი**

**ვიტ ჯორჯია-ტრუა 1:1**

08.07.01. თბილისი. 3 000 მაყურებელი
0:1 გუსე (81), 1:1 მელქაძე (89)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, თ. დოლიძე (56. საჯაია), ინწკირველი, ჭანკოტაძე, არეშიძე, ლ. ნოზაძე (67. ფეიქრიშვილი), დიღმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ადამია (58. მეტრეველი), ლ. მელქაძე.
არბიტრი: დ. დიმიტროვი (ბულგარეთი)

**უეფას თასი**

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

**ლანსი-ტორპედო 3:0**

14.08.03. ლანსი. 26 000 მაყურებელი
1:0 უტაკა (70), 2:0 უტაკა (70), 3:0 დიოპი (85)
ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ახალკაცი, ბაბუნაშვილი, გამეზარდაშვილი, ყიფიანი, პოროშინი (41. ნერგაძე), მუშკუდიანი.
არბიტრი: დ. დრაბეკი (სლოვაკეთი)

**ტორპედო-ლანსი 0:2**

28.08.03. ქუთაისი. 8 000 მაყურებელი
0:1 ბაქარი (35), 0:2 ბაქარი (41)
ტორპედო: სტურუა, ლ. ჭელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ახალკაცი (86. ნერგაძე), კვეტენაძე (65. კვერნაძე), გამეზარდაშვილი, ბაბუნაშვილი, ყიფიანი, ქუთათელაძე (65. ლაღაძე).
არბიტრი: ფ. ბედე (უნგრეთი)

**უეფას თასი**

**ჯგუფური ეტაპი**

**დინამო (თბ)-ლიონი 0:2**

21.0.04. თბილისი. 22 000 მაყურებელი
0:1 ილანი (18), 0:2 პაისლი (38)
დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭველიშვილი, რომერო (83. დვალი), შ. კაშია (73. ალადაშვილი), კანდელაკი, ნემსაძე, ახალაია, კაკალაძე, ლ. მელქაძე.
არბიტრი: შ. მესნესი (ავსტრია)

**ევროპის ლიგა**

**III საკვალიფიკაციო ეტაპი**

**მეტალურგი-რენი 2:5**

28.07.11. თბილისი. 10 000 მაყურებელი
0:1 ბუკარი (17), 0:2 ბუკარი (31), 1:2 ჯაფარიძე (41), 1:3 პიტროიპა (42), 1:4 ფერე (49), 2:4 რაზმაძე (56. პენალტით), 2:5 პიტროიპა (79)
მეტალურგი: ბედიაშვილი (46. ბათიაშვილი), მურველაშვილი, კვახაძე, ორბელაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, ი. მაისურაძე, გ. მიქაბერიძე (32. მახვილაძე), გენაძე (67. ტყემალაძე), მოდებაძე, ქობალია.
გაძევება: მურველაშვილი
არბიტრი: მ. პანაი (კვიპროსი)

**რენი-მეტალურგი 2:0**

04.08.11. რენი. 14 000 მაყურებელი
1:0 მონტანიო (75), 2:0 ფერე (85)
მეტალურგი: ბათიაშვილი, ორბელაძე, ლომაია, მახვილაძე, ჯაფარიძე, გ. მიქაბერიძე (56. დობროვოლსკი), ი. მაისურაძე, ქავთარაძე (77. აბურჯანია), გენაძე, ტატანაშვილი (61. ქობალია), მოდებაძე.
არბიტრი: ა. მუნუკა (ფინეთი)

● ინტერვიუ

## ალექსანდრე ამისულაშვილი:
# ნაკრებში დაძაბულობაა? სადაც კი მითამაშია, კონფლიქტი ყველგან ყოფილა...

**ინტერნეტგამოცემა** „ჩემპიონატმა" ალექსანდრე ამისულაშვილი რუსეთის პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეორედ (სულ - მეოთხედ) დაასახელა. ამავე გამოცემამ განვლილი ტურებიც შეაჯამა და აღმოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრებისა და „კრილია სოვეტოვის" 31 წლის მცველი ამ ამპლუის მოთამაშეებს შორის IV-VI ადგილებს იყოფს. განვლილ ტურებში ამისულაშვილის საშუალო შეფასება 6,21 ქულაა.

იმედია, რუსული პრემიერლიგის ძლიერ ფორვარდთა ჭიდილში მიღებულ გამოცდილებას ამისულაშვილი ნაკრებისთვისაც ნაყოფიერად გამოიყენებს. „ლელოსთან" ინტერვიუში მან საინტერესო თემებზე ილაპარაკა:

**- ნახევარი წელიწადია, რაც „კრილია სოვეტოვში" ჩაირიცხეთ. ახალი კლუბით კმაყოფილი ხართ?**

- ცუდი გუნდი ნამდვილად არ არის. ჯერჯერობით, ყველაფერი ნორმალურად მიდის.

**- თუმცა რუსეთის ჩემპიონატის შვიდ ტურში მხოლოდ ერთხელ მოიგეთ. „კრილია" დამაჯერებლად ვერ თამაშობს...**

- მიზეზი ის არის, რომ სეზონის დაწყებამდე გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა - წავიდნენ მწვრთნელი და 3 მოთამაშე, მათ შორის, გია გრიგალავა, ერთიც ტრავმირებული გვყავს და ცხადია, ეს უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. ამის მიუხედავად, „ყუბანთან", რომელიც ძალიან კარგი გუნდია და ევროპალიგის ჯგუფშიც მოხვდა, მოსაგები თამაში ფრედ ვითამაშეთ. მერე რა მოხდება, არავინ იცის. მაგრამ მგონია, რომ გუნდი შეთამაშდება და უკეთესი შედეგები გვექნება... ისე, გრიგალავა პირადად მეც ძალიან დამაკლდა. მასთან ერთად დაცვის ცენტრში მათამაშებდნენ და ერთმანეთს კარგადაც ვუგებდით. თუმცა, მეორე მხრივ, მიხარია, რომ ძლიერ გუნდში გადავიდა.

**- ახლა მთავარი თემა ეროვნული ნაკრების მომავალი მატჩებია. სამწუხაროდ, ჯერ გუნდი ვერ დალაგდა, ყაზახებთან მარცხიც ძალიან ძნელი ასახსნელი იყო...**

- ეს გასაგებია, მაგრამ საშინაო შეხვედრებს სულ სხვა დატვირთვა აქვს. სტადიონი რომ ივსება, ეს დიდი სტიმულია. მით უფრო, რომ საფრანგეთსა და ფინეთთან სასურველი შედეგების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდეთ. ეს ძალიან კარგი შედეგი იქნება. ორივე გუნდთან მძიმე ბრძოლა გველის. წინასწარ არავის არაფერს ვპირდებით, გარდა იმისა, რომ თავს არ დავზოგავთ. რაც შეეხება ყაზახეთთან წაგებას, რა თქმა უნდა, ეს არც ფეხბურთელებს გვესიამოვნა. მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ იმ თამაშში მარცხს არ ვიმსახურებდით.

**- საქართველოს ნაკრებმა თითქმის ყველა ციკლში თითო დასამახსოვრებელი მატჩი მაინც ჩაატარა. ხომ არ მოვიდა დრო?..**

- გუნდში თავმოყვარე ბიჭები არიან. დამიჯერეთ, ყველას უნდა, რომ ხალხი გავახაროთ.

**- ნაკრებში როგორი ატმოსფეროა?**

- ჩვეულებრივი. როგორი უნდა იყოს?!

**- გავრცელებული აზრია, თითქოს გუნდში დაძაბული ატმოსფეროა...**

- დაძაბულობა ოჯახებშიცაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ცუდად არის. უკვე მე-12 გუნდი გამოვიცვალე და არ მახსოვს, სადმე კონფლიქტი არ მომხდარიყოს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნაკრებში პატარა უსიამოვნებაც კი სკანდალია, ასეთი კაცი ფეხბურთში ვერ ერკვევა. ბოლო დროს, ნაკრებში არანაირი სკანდალი და უსიამოვნება არ მომხდარა. ეს ყველაფერი გაზვიადებულია. საერთოდ, სხვაზე რაღაცის გადაბრალება არასწორია. ფეხბურთელებმაც საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღება უნდა ვისწავლოთ. ყველაფერში დამნაშავე მწვრთნელი არ არის, ჩვენც რაღაც მოგვეთხოვება და თუ რამეს ვაფუჭებთ, თავადვე უნდა გამოვასწოროთ.



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარჯვნივ) და ქარიმ ბენზემა

**- ფეხბურთელები საკუთარ და თანაგუნდელთა პასუხისმგებლობაზე იშვიათად ლაპარაკობთ. ყაზახეთთან მარცხი ქართველი ქომაგებისთვის მძიმე დარტყმა იყო...**

- ეს ყველასათვის მძიმე დარტყმა იყო. გასაგებია, რომ ჩვენი ფეხბურთის ისტორიიდან გამომდინარე, ჩვენს ნაკრებს ეს წაგება არ ეპატიება. მაგრამ ფეხბურთი წინ რომ მიდის, ყაზახური ფეხბურთი რომ ვითარდება და ჩვენ კი ერთ ადგილს ვტკეპნით, ამაზეც ხომ უნდა ვთქვათ?! მათი ერთ-ერთი კლუბი ევროპალიგის ჯგუფში მოხვდა, ჩვენ ეს ერთხელ, 2004 წელს შევძელით. ყაზახეთი, ჯერ როგორც ქვეყანა, ისედაც ვითარდება და ცხადია, ფეხბურთიც პროგრესს განიცდის. საქართველოს პრობლემები კი ფეხბურთზეც აისახება. ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ფეხბურთს დიდი ფული სჭირდება, ფული, რომელიც ჩვენთან არ არის. აბა, გადახედეთ, ყაზახეთის ნაკრებებსა და კლუბებს - რამხელა ფინანსები აქვთ და მერე აქაურს შეადარეთ. როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან. ყახაზეთთან მარცხი ისევ ჩვენს სატკივარს გვახსენებს და მხოლოდ ჩვენი ნაკრების პრობლემა არ არის. არც თავის მართლებას ვცდილობ, უბრალოდ, რეალობაა ასეთი. უნიჭიერეს ბავშვებს ვერ ვზრდით და მერე ამის გამო ცუდ შედეგს რომ ვიმკით, უკვე გვწყინს. მარტო ნაკრები ზოგად ვითარებას ვერ შეცვლის.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო-საფრანგეთი. დიდიე დეშამისა და უგო ლორისის პრესკონფერენცია

# დეშამი საჩუქრებს არ ელის


საფრანგეთის ნაკრების ვარჯიში დინამო არენაზე

**გუშინ, ზუსტად იმ დროს, როცა საქართველოს ნაკრები „ბასაზე" ვარჯიშობდა, საფრანგეთის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა „დინამო არენაზე" პრესკონფერენცია გამართა...**

## ლორისის მაჩხმდელი ტაიმი

*ყველაფერი ცოტა უჩვეულოდ დაიწყო. დიდიე დეშამს პრესკონფერენციაზე უგო ლორისი ახლდა. ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - ფრანგების მეკარემ, რომელიც ორი კვირის წინაც იყო თბილისში („დინამო"-"ტოტენჰემის" მატჩში ლონდონელთა კარს იცავდა), ლამის ცალკე პრესკონფერენცია მოაწყო:*

- გასვლითი შეხვედრა იოლი არასოდეს არის და, საქართველოს ნაკრებთან მატჩი იქნება გამონაკლისი. თუმცა ჩვენ გვაქვს რესურსი და შესაძლებლობა, რომ გავიმარჯვოთ.

**- პარიზული შეხვედრიდან რომელ ქართველ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

- კონკრეტულად არ შემიძლია დავასახელო, მაგრამ საქართველოს ნაკრები სახიფათო მომენტებს ხშირად გვიქმნიდა, საინტერესო გუნდია და საშინაო შეხვედრაში, ალბათ, უფრო აქტიურიც იქნება.

**- პარიზში საქართველოსგან გოლი მოულოდნელი იყო?**

- ფეხბურთში გამორიცხული არაფერია. მაგრამ ვეცდებით, ხვალ კარი „მშრალად" შევინახოთ.

**- რა შედეგს ელით საქართველოსა და ბელარუსთან მატჩებისგან?**

- ჩვენი მიზანი მაქსიმუმია - 6 ქულის აღება გვინდა. კარგად მოვემზადეთ და მჯერა, ამ ამოცანის გადაჭრა შეგვიძლია.

**- ესპანეთთან შედარებით, ალბათ, უფრო იოლ თამაშს ელით...**

- ასე არ ვიტყოდი. მართალია, საქართველო ესპანეთზე სუსტია, მაგრამ დღეს ეს არაფერს ნიშნავს.

**- გუნდში რიბერის ყოფნა რამდენად გიწყობთ ხელს, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეთ?**

- ჩვენს გუნდში ყველა ძლიერი ფეხბურთელია და არ მსურს, რომელიმე ცალკე გამოვყო.

**- საქართველოსთან პარიზულ შეხვედრაში დაშვებული შეცდომები თუ გააანალიზეთ?**

- დიახ, რადგან მაშინ საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით. ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები პარასკევის შეხვედრაში უნდა დაგვეხმაროს.

**- ქართველებთან შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ?**

- რა თქმა უნდა. საერთოდ, ამ მატჩის შედეგს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

**- საფრანგეთის ნაკრებში ბოლოდროინდელ ცვლილებებს როგორ შეაფასებდით?**

- საერთოდ, სტაბილურობა გუნდისთვის კარგია, მაგრამ გარკვეული ცვლილებებიც ბუნებრივია. იმედია, ჩვენს შემთხვევაში ეს დადებით შედეგს გამოიღებს.

**- რადგან გარანტირებული გაქვთ ჯგუფში მეორე ადგილი, ეს ხომ არ მოგადუნებთ?**

- არავითარ შემთხვევაში! ჩვენ მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

■ ■ ■

*ლორისის ნასვლის შემდეგ დეშამი ქართული მედიის პირისპირ მარტო დარჩა. პირველი კითხვა ასეთი იყო:*

**- თქვენმა გუნდმა ბოლოს საქართველოსთან მოიგო. მას მერე, ოთხ შეხვედრაში წარმატებას ვერ მიაღწიეთ. თავდასხმას უჭირს. 12 მატჩია, ბენზემას ვერ გააქვს. რატომ არ იწვევთ „მონაკოს" თავდამსხმელ ემანუილ რივიერს, რომელმაც სეზონი ჩინებულად დაიწყო?**

- თქვენ ფრანგი ხომ არ ხართ?! რივიერი ჩვენთან ძალიან უყვართ. მე არჩევანი უკვე გავაკეთე, მაგრამ ის მშვენიერი თავდამსხმელია და აქვს შანსი, რომ უახლოეს პერიოდში ნაკრებში გამოვიძახოთ.

**- პარიზული მატჩის შემდეგ საქართველოზე რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, ან რომელიმე ფეხბურთელი ხომ არ დაგამახსოვრდათ?**

- რა თქმა უნდა, საქართველო ესპანეთის მსგავსად ძლიერი გუნდი არ არის, მაგრამ სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ოქრიაშვილმა, თარგამაძემ და ტექნიკურმა ანანიძემ.

**- საქართველოსთვის ყაზახეთთან წაგება კატასტროფა იყო. რომ მოხდეს საოცრება და საქართველოსთან დამარცხდეთ, ეს თქვენთვის რა იქნება?**

- ყაზახეთთან საქართველოს ნაკრების მატჩი ვნახე და, რა თქმა უნდა, თქვენი გუნდი კარგად არ გამოიყურებოდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, პარასკევს სულ სხვაგვარად ითამაშებს და საჩუქრებს არ გაგვიკეთებს. მიუხედავად, ამისა, მაინც 3 ქულის აღებას ვგეგმავთ, რადგან ეს მატჩი საფრანგეთის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**- წარმატებულ თამაშს ადრეც ჰპირდებოდით საფრანგეთის ნაკრების ქომაგებს, მაგრამ თქვენი გუნდი ვერ იგებს...**

- შესაძლოა, შეფასებებში უზუსტობები დავუშვი და ვერც გუნდი აჩვენებს საუკეთესო ფეხბურთს. თუმცა მდგომარეობის გამოსწორების სურვილი ნამდვილად არის.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ წარუმატებელი მატჩების შემდეგ ნდობა დაკარგეთ?**

- ცუდია, თუ მართლაც ასეა. მაგრამ წინა მატჩებში პოზიტიური მომენტებიც იყო.

**- ბენზემას ამჟამინდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

- უკეთესად თამაში ყველას შეუძლია და ამას ვცდილობთ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბენზემა ვინმეზე ნაკლებს მუშაობს.

**- ბელგიასთან ნათამაშებ შემადგენლობაში ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?**

- ამაზე პასუხს საქართველოსთან მატჩის წინ მიიღებთ.

**- გუნდში ფავორიტები არ გყავთ?**

- ჩემ მიერ გამოძახებულმა ფეხბურთელებმა კლუბებში დაამტკიცეს, რომ ნდობას იმსახურებენ.

■ ■ ■

აქვე ვიტყვით, რომ მატჩის გამო დღეს თბილისის მეტროპოლიტენი ღამის 01:30 საათამდე იმუშავებს. თავად შეხვედრა კი „დინამო არენაზე" 22:15 საათზე დაიწყება.

**მერაბ მამულაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები


დიდიე დეშამი

ლეგიონი


უჩა ლობჟანიძე

# სად არის ლობჟანიძე?

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ" უეფაში ევროპის ლიგაზე მონაწილე ფეხბურთელთა განაცხადი წარადგინა. სიაში საქართველოს ნაკრების მხოლოდ ორი მოთამაშეა - **ჯაბა კანკავა** და **სანდრო კობახიძე**. უკრაინული გუნდის ესპანელმა მწვრთნელმა **ხუანდე რამოსმა** განაცხადში არ შეიყვანა **უჩა ლობჟანიძე,** რომელიც ტრავმის შემდეგ ახლახან დაბრუნდა მოედანზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი - როგორც დავადგინეთ, ევროპალიგის პლეი-ოფში ესტონურ „კალიუსთან" მატჩის შემდეგ ქართველი მცველი უკრაინის ჩემპიონატის განაცხადიდანაც ამოიღეს. რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი და რა ბედის ელის 26 წლის მცველს, ჯერჯერობით უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ნავალოვსკის გოლი საკმარისი არ იყო

რუსეთის მეორე დივიზიონში გუშინ მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ჩვენებურების „სკა ენერგიამ" „ხიმიკს" უმასპინძლა. **გიორგი ნავალოვსკი** და **გოგიტა გოგუა** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. 84-ე წუთზე ანგარიში სწორედ 27 წლის მარცხენა მცველმა ნავალოვსკიმ გახსნა, რაც თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო გამარჯვებისთვის, მაგრამ ხაბაროვსკელებმა ხუთ წუთში საპასუხო გოლი მიიღეს და თამაში ასეც მორჩა - 1:1. გოგუა 86-ე წუთზე შეცვალეს. „სკა ენერგია" კი 12 თამაშიდან 20 ქულით მე-6 ადგილზეა.

ერთი საფეხურით მაღლაა (ასევე 20 ქულით) ორენბურგის „გაზოვიკი", სადაც **ზურაბ არზიანი** თამაშობს. 25 წლის ნახევარმცველს ტრავმა ჰქონდა და ამის გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა. გუშინ ის მწვრთნელმა 72-ე წუთიდან ათამაშა. როგორც ჩანს, არზიანი კარგ ფეხზე შევიდა - სწორედ ამის მერე გაიტანა „გაზოვიკმა" გოლები და 2:0 გაიმარჯვა.

სარანსკში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. „მორდოვიამ" „ალანიას" უმასპინძლა. გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეს. „მორდოვიას" შემადგენლობაში არ უთამაშია **აკაკი ხუბუტიას.** 27 წლის ცენტრალური მცველი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. „ალანიაში" კი მხოლოდ ერთი ქართველი გამოჩნდა და ისიც შეცვლაზე - **ოთარ მარცვალაძე,** რომელიც **ვლადიმირ გაზაევმა** 57-ე წუთიდან ათამაშა. ეს კი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რადგან 29 წლის ქართველმა, რაც „ალანიაში" გადავიდა, 4 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა. რაც შეეხება ვლადიკავკაზელთა მეორე ქართველს - **გოჩა ხოჯავას,** ამჯერად ის განაცხადშიც არ ყოფილა. „მორდოვია" (25 ქულა 12 მატჩში) და „ალანია" (21 ქულა 11 მატჩში), შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილებზე არიან.

როგორც იქნა, გაიმარჯვა (1:0 „სალიუტთან") **დავით სირაძის** ნალჩიკის „სპარტაკმა". ოღონდ, 31 წლის ქართველს (10 მატჩი და 1 გოლი მიმდინარე სეზონში) ამაში წვლილი არ შეუტანია - ის შესვენებისას შეცვალეს, მატჩის დასაწყისში კი არბიტრისგან ყვითელი ბარათი იხილა. გამარჯვების მიუხედავად, ნალჩიკელები გასავარდნ ზონაში რჩებიან.

**გიორგი გელაშვილი**

საქართველოს თასი



# მერვედფინალისტი გაირკვა

საქართველოს თასის საპასუხო 1/16-ფინალური მატჩები 17 სექტემბერს უნდა ჩატარდეს, თუმცა ერთი შეხვედრა გუშინ გაიმართა: ცხინვალის „სპარტაკმა" სტუმრადაც აჯობა „ჭიათურას" (3:2) და მერვედფინალის საგზური მოიპოვა („სპარტაკმა" პირველი შეხვედრა 4:1 მოიგო). სამაგიეროდ, „სპარტაკი" 17 სექტემბერს ჩაატარებს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის III ტურის გამოტოვებულ შეხვედრას თბილისის „დინამოსთან"; ასევე 17 სექტემბერს გაიმართება III ტურის კიდევ ერთი გამოტოვებული მატჩი: „ტორპედო"-"დილა".

## პირველი ლიგა. II ტური

### A ზონა

| | |
|---|---|
| ადელი-საპოვნელა | 0:1 |
| მერცხალი-მეშახტე | 0:2 |
| სქური-კოლხეთი (ფ) | 0:1 |
| იმერეთი-ალგეთი | 0:2 |
| დინამო 2 (თბ)-შუქურა | 3:4 |
| გაგრა-კახეთი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საპოვნელა | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. კოლხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3. მეშახტე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 4. ალგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 5. გაგრა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6. ჩხერიმელა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 7. შუქურა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-3 | 3 |
| 8. დინამო-2 | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |
| 9. სქური | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 10. ადელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 11. კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 12. მერცხალი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| 13. იმერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### B ზონა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-ბახმარო | 3:0 |
| სასკო-ბეთლემი | 0:0 |
| დილა 2-სამგურალი | 1:0 |
| კოლხეთი (ხ)-სტუ | 2:1 |
| სულორი-საბურთალო | 0:2 |
| სამტრედია-დინამო (ბთ) | 1:0 |
| ჭიათურა-მაჭახელა | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2. სამტრედია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 3. ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 4. დილა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. მაჭახელა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| 6. ჭიათურა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7. დინამო (ბთ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| 9. სტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 10. ბეთლემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 11. სასკო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 12. სულორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 13. სამგურალი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 14. ბახმარო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანაკრებო რეკორდები

# ფიფას ასიანთა კლუბი და კობიაშვილი



მსოფლიოს რეკორდსმენი აჰმედ ჰასანი

**ევროპაში ეგრეთ წოდებული სანაკრებო პაუზა დადგა, რომლის განმავლობაშიც აქტუალური არა საკლუბო ბატალიები, არამედ სანაკრებო ბრძოლებია. ჩვენც სანაკრებო წიაღსვლები სტატისტიკური კუთხით განვახორციელეთ.**

## უზუსტობები

ფიფა უკვე ოფიციალურად აწარმოებს „ფიფას ასიანთა კლუბს", რომელშიც ის ფეხბურთელები მოხვდნენ, რომელთაც 100 და მეტი ოფიციალური (მათ შორის, ფიფას ეგიდით გამართული ამხანაგური მატჩი) შეხვედრა აქვთ გამართული ეროვნულ გუნდებში. უნდა ვთქვათ, რომ ძნელად თუ ნახავთ ამაზე დაუზუსტებელ სიას. ფიფამ აპრილის შემდეგ „ასიანთა კლუბი" ივლისის ბოლოს განაახლა, რომელშიც ცვლილებების დიდი ნაწილი სწორედ დაზუსტებების წყალობით შევიდა, თვით მოწინავე ათეულშიც კი! პრობლემას ხშირად არაევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით კი არაბული სამყაროს (საუდის არაბეთი, ეგვიპტე და სხვა) მოუწესრიგებელი სტატისტიკა ქმნის).

დღეისათვის „ფიფას ასიანთა კლუბში" 250-ზე მეტი ფეხბურთელია და მხოლოდ ერთია ქართველი - **ლევან კობიაშვილი.**

## ყოჩაღი ჰასანი

ყველა დროის ყველაზე მეტი კეპი (თამაში ეროვნულ ნაკრებში) ეგვიპტელ ნახევარმცველ **აჰმედ ჰასან კამელს** აქვს მოხვეჭილი. ვერ მოვყვებით მტკიცებას, რომ ჰასანს ვერასოდეს დაეწევიან, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. დღეს 38 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე 184 მატჩია ეროვნულ ნაკრებში! აფრიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, „ზამალეკის" ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებში 17 წელიწადი გაატარა. მის ანგარიშზე 33 სანაკრებო გოლია. ბოლოს აჰმედ ჰასანმა ეროვნული გუნდის მაისურა შარშან მოირგო, თუმცა მას ჯერ არ გამოუცხადებია კარიერის დასრულება. ასე რომ, არ გამორიცხოთ, რომ სარეკორდო 184-ს ეგვიპტელი კიდევ შემატებს კეპებს.

ჰასანს ეგვიპტური კლუბების გარდა თურქულშიც უთამაშია (მათ შორის, „ბეშიქთაშშიც") და ბელგიის გრანდ „ანდერლეხტში".

აქვე ვიტყვით, რომ ვაჟთა შორის ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ახლოსაც ვერ მივა ქალთა ანალოგიური სიის ლიდერთან - ამერიკელი **კრისტინ ლილის** ანგარიშზე 352 მატჩია ეროვნულ ნაკრებში!

## საუკეთესო ევროპელი და საქართველო

ზემოთ ცხრილის უზუსტობებზე ვთქვით და ერთ ნათელ მაგალითს მოვიყვანთ. „ასიანთა კლუბში" მეორე ადგილზეა 41 წლის გოლკიპერი **მოჰამედ აბდულაზიზ ალ-დეაიეა,** რომელსაც 178 კეპი აქვს მოპოვებული საუდის არაბეთის ნაკრებში.

დიდი ხნის განმავლობაში მას 181 სანაკრებო მატჩს უთვლიდნენ, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1990 წლის აზიის თამაშებზე 3 მატჩი უთამაშია მის მოსახელე და მოგვარე **აბდულა ალ-დეაიეას.**

ყველაზე მეტკეპიანი ევროპელი კი ლატვიელი **ვიტალის ასტაფიევსია** - 165 (ფიფა ანგოლასთან 2 ამხანაგურ მატჩს არ უთვლის, მეტისმეტად ბევრი შეცვლა გაკეთდაო). „აუსტრიის", „ბრისტოლ როვერსის", „სკონტოს" და „რუბინის" ყოფილი ნახევარმცველი ეროვნულ გუნდს ჩინეთთან მატჩში 2010 წელს დაემშვიდობა, ეს ამხანაგური შეხვედრა იყო, ასტაფიევსის ბოლო საშეჯიბრო კეპი კი ჩვენს ნაკრებთან მოდის - რიგაში 1:1 დასრულებულ შეხვედრაში. სხვათა შორის, კარიერის განმავლობაში ასტაფიევსი 5-ჯერ დაუპირისპირდა საქართველოს ნაკრებს, ესეც საინტერესო დეტალია.

საქართველოს ნაკრებთან მიმართებაში „ასიანთა კლუბის" კიდევ ერთი წარმომადგენლის, ასევე ლატვიელი **იურის ლაიზანსის** გახსენება შეიძლება (108 მატჩი). ლაიზანსის სანაკრებო კარიერა 1998 წელს დაიწყო ჩვენს გუნდთან თამაშით და 2011 წელს დასრულდა ისევ საქართველოს ნაკრებთან დაპირისპირებაში. „ასიანთა კლუბში" მეტი არავის ჰქონია სანაკრებო დებიუტი საქართველოსთან და არც ჩვენთან დაუსრულებია საერთაშორისო კარიერა. ასე რომ, ლაიზანსი რაღაც კუთხით უნიკალური ფეხბურთელია.

## იცით თუ არა, რომ...

- „ასიანთა კლუბში" ყველაზე მეტი წარმომადგენელი აშშ-ს ჰყავს - 13 ფეხბურთელი. 9-9 წარმომადგენელი ჰყავთ მექსიკას და შვედეთს. 8-8 ეგვიპტეს, ესპანეთს, გერმანიას და სამხრეთ კორეას.
- სულ მალე კლუბს მე-14 ამერიკელი შეუერთდება - **კლინტ დემპსი** (99 კეპი).
- პირველი ფეხბურთელი, ვინც 100 კეპი მოიპოვა, იყო „ვულვერჰემპტონის" **ბილი რაიტი,** მან ინგლისის ნაკრებში მე-100 შეხვედრა 1959 წელს ითამაშა. საბოლოოდ 105 კეპი დაუგროვდა, რომელთაგანაც 90-ში ის კაპიტანი იყო!
- **სერხიო რამოსს** სულ რაღაც 8 წელიწადი და 141 დღე დასჭირდა ესპანეთის ნაკრებში 109 კეპის მოსახვეჭად.
- ჩრდილოირლანდიელი მეკარე **პეტ ჯენინგსი** (119) ყველაზე მეტხანს თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში „ასიანთა" კლუბის წევრთაგან - 22 წელიწადი და 58 დღე.
- „ასიანთა კლუბის" მოქმედ წევრთაგან ყველაზე დიდი ხანი ნაკრებში თამაშობენ **მარკ შვარცერი** (ავსტრალია) - 19 წელი და 307 დღე და **მარიო ფრიკი** (ლიხტენშტეინი) - 19 წელი და 292 დღე.
- ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები, რომლებიც ძალიან ახლოს გაჩერდნენ „ასიანთა კლუბთან" და მასში ვერ მოხვდნენ არიან **მიხაელ ბალაკი** (გერმანია) და **რონალდო** (ბრაზილია) - 98-98 კეპი.
- „ასიანთა კლუბში" 65 ფეხბურთელია, რომელიც კიდევ აგრძელებს ეროვნულ გუნდებში თამაშს და მათი შედეგები ყოველთვიურად უმჯობესდება.
- ლევან კობიაშვილს „ასიანთა კლუბში" მოსახვედრად 15 წელი და 40 დღე დასჭირდა.
- 106 უზბეკური კეპი აქვს **ტიმურ კაპაძეს,** რომელიც ეგრეთ წოდებული თურქი მესხია.




2012 წლის იანვარი, მოჰამედ ალ-დეაიეას (მარჯვნივ) გაცილება ფეხბურთიდან

| ტოპ-30 (მსოფლიო) | | | |
|---|---|---|---|
| **კეპი** | **ფეხბურთელი** | **ნაკრები** | **წლები** |
| 184 | აჰმედ ჰასანი | ეგვიპტე | 1996-2012 |
| 178 | მოჰამედ ალ-დეაიეა | ს. არაბეთი | 1993-2006 |
| 177 | კლაუდიო სუარესი | მექსიკა | 1992-2006 |
| 169 | ჰოსამ ჰასანი | ეგვიპტე | 1985-2006 |
| 166 | ივან ურტადო | ეკვადორი | 1992-2012 |
| 165 | ვიტალის ასტაფიევსი | ლატვია | 1992-2000 |
| 164 | კობი ჯონსი | აშშ | 1992-2004 |
| 161 | ადნან ალ-ტალიანი | საამიროები | 1984-1997 |
| 157 | სამი ალ-ჯაბერი | ს. არაბეთი | 1992-2006 |
| 156 | მარტინ რეიმი | ესტონეთი | 1992-2009 |
| 151 | ლენდონ დონოვანი | აშშ | 2000-2013 |
| 150 | ლოთარ მათეუსი | გერმანია | 1980-2000 |
| 149 | იკერ კასილიასი | ესპანეთი | 2000-2013 |
| 148 | ალი დაეი | ირანი | 1993-2006 |
| 145 | პაველ პარდო | მექსიკა | 1996-2009 |
| 145 | ხერარდო ტორადო | მექსიკა | 1999-2013 |
| 145 | მოჰამედ ალ ხილაივი | ს. არაბეთი | 1990-2001 |
| 144 | სალმან ისა | ბაჰრეინი | 2001-2012 |
| 143 | თომას რაველი | შვედეთი | 1981-1997 |
| 142 | მარკო კრისტალი | ესტონეთი | 1992-2005 |
| 142 | ანდერს სვენსონი | შვედეთი | 1999-2013 |
| 142 | კაფუ | ბრაზილია | 1990-2006 |
| 142 | ლილიან ტურამი | საფრანგეთი | 1994-2008 |
| 141 | ხავიერ ძანეტი | არგენტინა | 1994-2011 |
| 138 | ესამ ელ ჰადარი | ეგვიპტე | 1996-2013 |
| 137 | რიგობერტ სონგი | კამერუნი | 1993-2010 |
| 137 | ამადეო გევარა | ჰონდურასი | 1994-2010 |
| 137 | იარი ლიტმანენი | ფინეთი | 1989-2010 |
| 136 | ჰონ მიუნ ბო | ს. კორეა | 1990-2002 |
| 136 | ფაბიო კანავარო | იტალია | 1997-2010 |

| ტოპ-10 (ევროპა) | | | |
|---|---|---|---|
| **კეპი** | **ფეხბურთელი** | **ნაკრები** | **წლები** |
| 165 | ვიტალის ასტაფიევსი | ლატვია | 1992-2000 |
| 156 | მარტინ რეიმი | ესტონეთი | 1992-2009 |
| 150 | ლოთარ მათეუსი | გერმანია | 1980-2000 |
| 149 | იკერ კასილიასი | ესპანეთი | 2000-2013 |
| 143 | თომას რაველი | შვედეთი | 1981-1997 |
| 142 | მარკო კრისტალი | ესტონეთი | 1992-2005 |
| 142 | ანდერს სვენსონი | შვედეთი | 1999-2013 |
| 142 | ლილიან ტურამი | საფრანგეთი | 1994-2008 |
| 137 | იარი ლიტმანენი | ფინეთი | 1989-2010 |
| 136 | ფაბიო კანავარო | იტალია | 1997-2010 |

ამბები

## ოსასუნას ახალი თავკაცი



ხავი გრასია (მარჯვნივ)

პამპლონის „ოსასუნას" ახალი მწვრთნელი ჰყავს - 43 წლის **ხავიერ გრასია.** შეგახსენებთ, რომ პირველი სამი ტურის წაგების შემდეგ ნავარულმა კლუბმა გაათავისუფლა **ხოსე ლუის მენდილიბარი,** რომელსაც ახალგაზრდებთან მუშაობა დაუწუნა.

გუშინ ხავი გრასია წარუდგინეს ჟურნალისტებს, ის სეზონის ბოლომდე იმუშავებს პამპლონაში. შეგახსენებთ, რომ ხავი გრასია აქამდე „ალმერიას" წვრთნიდა და ეს გუნდი პრიმერაში გადაიყვანა.

ფეხბურთელობისას გრასია, რომელიც პამპლონელია, „ბილბაოში", „რეალ სოსიედადში", „ვილიარეალში" და სხვა ესპანურ კლუბებში თამაშობდა.

## რუნი: ახლაც არ დამიჯერებთ?

ინგლისის ნაკრების ფორვარდმა **უეინ რუნიმ** სოციალური ქსელების საშუალებით გამოაქვეყნა თავგატეხილი ფოტო, რომელიც მართლაც მძიმე სანახავია.

რატომ წავიდა რუნი ამ ნაბიჯზე? რატომ და მას არც ინგლისურმა პრესამ და არც გულშემატკივრებმა არ დაუჯერეს, რომ მისი ტრავმა იმდენად სერიოზული იყო, რომ ინგლისის ნაკრების თამაშების გამოტოვება იყო საჭირო.

რუნის **პოლ ინსის** და სხვათა თავგანწირვა გაახსენეს აღნიშნულ სიტუაციაში. რამაც როგორც ჩანს ძალიან გააბრაზა ფეხბურთელი. რუნის ტრავმა 10 სანტიმეტრის სიგრძისაა, მას სამი ნაკერი დაადეს. ტრავმა მან შაბათს, თანაგუნდელ **ფილ ჯონსთან** შეჯახებისას მიიღო ვარჯიშზე.

*„ვფიქრობ, ახლა ყველა დარწმუნდება, რომ ჩემი ტრავმა მართლა სერიოზულია",* - წერს უეინი.

## მესიმ 5 მილიონი გადაიხადა

იმისთვის, რომ სამართლებრივი დევნა აიცილოს თავიდან **ლიონელ მესიმ** გადასახადების სახით ესპანეთის სახელმწიფო ხაზინაში 5 მილიონი ევრო შეიტანა.

ლეომ და მამამისმა ეს თანხა სასამართლო პროცესის მოახლოებისთანავე გადაიხადეს. შეგახსენებთ, რომ მათ 2007-09 წლებში გადასახადების დამალვაში ედებათ ბრალი, კერძოდ კი ბიუჯეტმა ამის გამო 4,1 მილიონი ევრო იზარალა.

ასე რომ, დიდი შანსია, 17 სექტემბრისთვის დანიშნული პროცესი არც გაიმართოს.

## კურტუა, ბარსას ნომერ პირველი არჩევანი

მას მერე, რაც **ვიქტორ ვალდესმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2014 წლის ზაფხულში, როცა მას კონტრაქტი დაუმთავრდება „ბარსელონასთან", კლუბიდან წავა, კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობამ მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო.

„მარკას" ცნობით, „ბარსელონას" ხელმძღვანელობის ნომერ პირველი არჩევანი მადრიდის „ატლეტიკოს" ბელგიელი გოლკიპერი **ტიბო კურტუაა.**

მაგრამ მისი ყიდვა ძნელი იქნება, რადგან ესპანეთში იჯარით მოთამაშე ფეხბურთელს, ლონდონის „ჩელსისთან" 2016 წლამდე აქვს ხელშეკრულება გაფორმებული.

„ბარსელონამ" უკვე სცადა ბელგიელის აგენტთან დაკავშირება და მოულოდნელად მისგან პოზიტიური სიგნალი მიიღო. „ჩელსის" კი სურს კურტუასთვის ხელშეკრულების გაგრძელება, მაგრამ ბელგიელი თავს იკავებს, რადგან „ბარსელონას" ინტერესი მისთვის ცნობილია.

„ბარსელონა" უკვე შეთანხმებულია **მარკ-ანდრე ტერ შტეგენთან,** რომ სეზონის ბოლოს განაახლებენ მოლაპარაკებას, მაგრამ ასაკის მიუხედავად (კურტუა 21 წლისაა) კატალონიელებს ბელგიელი უფრო მოსწონთ. „მარკას" ცნობით, გამორიცხულია, რომ „ბარსამ" ორივე შეიძინოს და მერე მათ შორის კონკურენციას დაელოდოს, კლუბი ამ ორს შორის არჩევანს გააკეთებს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ. თომას მიულერი

# გვარდიოლა იოახიმ ლიოვს ჰგავს!

## ორივე ემოციურია და ორივეს შემტევი ფეხბურთი უყვარს


ხოსეპ გვარდიოლა და იოახიმ ლიოვი



**მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგ ტურში გერმანიის ნაკრები დღეს ავსტრიას ეთამაშება. გუშინ გერმანულმა ტაბლოიდმა „ბილდმა“ ბუნდესგუნდისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავის, თომას მიულერის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც 23 წლის წინახაზელი ძირითადად გერმანიის ნაკრებზე საუბრობს და ხოსეპ გვარდიოლას და იოახიმ ლიოვს ერთმანეთს ადარებს.**

**- ჰერ მიულერ, წარმოშობით პელიდან ხართ, რომელიც ავსტრიის საზღვრიდან 50 კილომეტრში მდებარეობს და ალბათ დიდი შეცდომა არ იქნება, თუ ნახევრად ავსტრიელს გიწოდებთ. როგორი განწყობით ხვდებით მეზობელთან დუელს?**

- ნუ გადააჭარბებთ! პელი ბავარიის რეგიონს ეკუთვნის და ავსტრიასთან მხოლოდ გეოგრაფიული სიახლოვე აკავშირებს. მინდა, რომ ეს თამაში მოვიგოთ, რათა ჩემს ავსტრიელ თანაკლუბელ დავიდ ალაბას კიდევ ერთხელ დავუმტკიცო, რომ ავსტრიელებს გერმანელებთან შანსი არ აქვთ. ზოგადად, ჩვენი მიზანი ავსტრიასთან და ფარერებთან მოგებებით მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის განაღდებაა.

**- ბასტიან შვაინშტაიგერი ალაბას ემუქრება, ავსტრია თუ მოგვიგებს, „ბაიერნის“ გასახდელში აღარ შემოგიშვებო...**

- დარწმუნებული ვარ, რომ ბასტი ამას ვერ გარისკავს, რადგან კანონმორჩილი ადამიანია (იცინის), მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ საქმე აქამდე არ მივა. დავიდმაც იცის, რომ ავსტრიას გერმანიის დამარცხება არ შეუძლია - უბრალოდ, ოცნებობს. სასწაული რომ მოხდეს და წავაგოთ, მერე ალაბა ყველას დაგვიბრიყვებს.

**- ცოტა ხნის წინ კრიტიკის ქარცეცხლი დაგატყდათ იმის გამო, რომ „გლადბახთან“ თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანეთ. ნიშნავს თუ არა ეს**

> „ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება წარმოუდგენლად რთული იქნება“

**იმას, რომ თქვენი პენალტისტობა დამთავრებულია?**

- არა, ამის გამო თერთმეტმეტრიანების დარტყმაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი და პასუხისმგებლობას არ გავექცევი. ადრე, პენალტის დარტყმისას ჩემი სტრატეგია მქონდა და ყოველთვის მეკარეს ვუყურებდი ხოლმე. სამწუხაროდ, „გლადბახთან“ ასე აღარ მოვიქეცი. მომავალში ისევ მხოლოდ ჩემი გეგმით ვიმოქმედებ და თუ საჭირო იქნება, თერთმეტმეტრიანს ნებისმიერ მატჩში ნებისმიერ დროს შევასრულებ.

**- მაგალითად ავსტრიის ნაკრებთანაც?**

- გერმანიის ნაკრებში პენალტისტი მესუთ იოზილია. ბოლოს თერთმეტმეტრიანებს სწორედ ის ურტყამდა და არა

მგონია, რომ მისი შეცვლის საფუძველი არსებობდეს.

**- იოზილი ბოლო წუთს „არსენალში“ რომ გადავიდა, გაგიკვირდათ?**

- მე ვიცოდი, რომ მესუთი მადრიდში თავს ძალიან კარგად გრძნობდა, მაგრამ ხომ იცით, ფეხბურთში ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდება. „რეალში“ სერიოზული ცვლილებებია - ახალი მწვრთნელი, ახალი ვარსკვლავები. მე რომ კარლო ანჩელოტის ადგილზე ვყოფილიყავი, იოზილს არავითარ შემთხვევაში არ დავთმობდი, მაგრამ როგორც ჩანს, იტალიელ მწვრთნელს სხვა აზრი აქვს. თუმცა მგონია, რომ იოზილი „არსენალშიც“ გენიალური იქნება. მის კარიერაში ახალი, არანაკლებ საინტერესო ეტაპი იწყება.

**- როგორ ფიქრობთ, რაკი იოზილი იყიდეს, ლონდონელებსაც შეუძლიათ ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

- ფაქტია, რომ „არსენალი“ მესუთით ძალიან გაძლიერდა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ლონდონელებს წინა სეზონშიც საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავდათ და მერვედფინალში სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

**- როგორ ფიქრობთ, რა უფრო ადვილია: „ბაიერნთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის თასის შენარჩუნება, თუ გერმანიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება?**

- ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება წარმოუდგენლად რთულია. სამხრეთამერიკული გრანდები, ბრაზილია და არგენტინა ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ თასი ევროპელებს არ გამოგვატანონ და რაც მთავარია, ორივეს ბრწყინვალე გუნდი ჰყავს. მათთან ერთად ესპანეთის უძლიერესი ნაკრებიც ფავორიტია და ჩვენც.

**- მუნდიალი თქვენთვის საკლუბო სეზონისთვის დამატებით მოტივაციას ნიშნავს?**

- დღე ისე არ გავა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ვიფიქრო. როცა ფეხბურთელს მუნდიალზე კარგად თამაში უნდა, ცხადია, ზაფხულამდე ფორმის შენარჩუნებაც უნდა სურდეს, ეს კი მხოლოდ სეზონის მაღალ დონეზე ჩატარებითაა შესაძლებელი. თუმცა დამატებითი მოტივაცია ნამდვილად არ მჭირდება, რადგან აქ, მიუნხენში ჩვენგან ისედაც ყოველთვის მხოლოდ მოგებას ითხოვენ. კვირადღე მშვიდი მხოლოდ მაშინაა ხოლმე, როცა შაბათს ვიგებთ.

**- რამდენად მოტივირებულია ხოსეპ გვარდიოლა?**

- ვატყობ, რომ „ბაიერნში“ მუშაობა მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. პეპი ყოველთვის ცდილობს, რომ ჩვენს თამაშზე პოზიტიური გავლენა მოახდინოს. მისი საუბრის მოსმენა თამაშების წინ დიდი სიამოვნებაა. სხვათა შორის, გვარდიოლა ძალიან ჰგავს იოახიმ ლიოვს - პეპიც იოგისავით ემოციურია.

**- კიდევ რით ჰგავნან ერთმანეთს „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების თავკაცები?**

- გაბრაზების დროს სიმშვიდეს ორივე მაქსიმალურად ინარჩუნებს - ხმამაღალი ყვირილი არც ლიოვმა იცის და არც გვარდიოლამ. გარდა ამისა, უკიდურესი გაბრაზების დროსაც კი ორივე ფაქტობრივად, არგუმენტებით საუბრობს. ლიოვი, ისევე, როგორც გვარდიოლა, უმეტესად ბურთთან ერთად გვავარჯიშებს ხოლმე და ყველაზე მთავარი: ორივეს შემტევი ფეხბურთი უყვარს.

**გოტფრიდ ლენცი**

ბრაზილია 2014. შესარჩევი ეტაპი.


ზაგრებში ხორვატებმა იმარჯვეს

# გადამწყვეტი მატჩების დრო

**სექტემბრის დასაწყისი სანაკრებო დროა. უახლოესი დღეების განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის ძალიან ბევრი მატჩი გაიმართება. ჩვენ ევროპის და სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფების შესახებ ვისაუბროთ...**

## ევროპა

### A ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| მაკედონია-უელსი | 21:00 |
| სერბეთი-ხორვატია | 22:45 |
| შოტლანდია-ბელგია | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 7 | 6 | 1 | 0 | 13-2 | 19 |
| 2. ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 10-4 | 16 |
| 3. სერბეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-9 | 7 |
| 4. უელსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| 5. შოტლანდია | 7 | 1 | 2 | 4 | 4-9 | 5 |
| 6. მაკედონია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-7 | 4 |

### ეპიცენტრი ბელგრადია

სათამაშო დღის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ბელგრადში გაიმართება, სადაც სტუმრად ხორვატია ჩავა. ამ ქვეყნების დაპირისპირება ყოველთვის ძალიან საინტერესო და დაძაბულია. გამონაკლისი არც ეს შეხვედრა უნდა იყოს და ეს მიუხედავად იმისა, რომ სერბებს მუნდიალზე მოხვედრის შანსი აღარ აქვთ. სამაგიეროდ, სატურნირო თვალსაზრისით ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხორვატებისთვის - **იგორ შტიმაცის** შეგირდები ლიდერ ბელგიას მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან და ხორვატებს ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვთ.

ამ გუნდების პირველი მატჩი ხორვატების გამარჯვებით, ანგარიშით 2:0 დასრულდა. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო ისტორიაში. მართალია, 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ხორვატები სერბებს შეხვდნენ, მაგრამ მაშინ ეს უკანასკნელი იუგოსლავიის სახელით გამოდიოდა და ნაკრებში ჩერნოგორიელებიც თამაშობდნენ.

ლიდერი ბელგია კი შოტლანდიას ესტუმრება და მორიგი გამარჯვების მოპოვებას ეცდება. შარშან გამართული შეხვედრა „წითელმა ეშმაკებმა“ 2:0 მოიგეს, თუმცა **მარკ ვილმოტსის** შეგირდებს საკმაოდ გაუჭირდათ და გოლები მხოლოდ მატჩის ბოლო 20 წუთში გაიტანეს. ვილმოტსმა თითქმის ყველა ლიდერი გამოიძახა - ტრავმის გამო მხოლოდ **ვენსან კომპანი** და **ტომას ვერმალენი** ვერ ითამაშებენ, მაგრამ ბელგიას იმდენი უმაღლესი დონის მოთამაშე ჰყავს, რომ მათი შეცვლა არ უნდა გაუჭირდეს.

### B ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-სომხეთი | 20:00 |
| მალტა-დანია | 22:00 |
| იტალია-ბულგარეთი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| 2. ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-4 | 10 |
| 3. ჩეხეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-4 | 9 |
| 4. სომხეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-8 | 6 |
| 5. დანია | 6 | 1 | 3 | 2 | 6-9 | 6 |
| 6. მალტა | 6 | 1 | 0 | 5 | 2-14 | 3 |

### ნაბიჯი წინ

**ჩეზარე პრანდელის** მუნდიალის ფინალური ეტაპისკენ დიდი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია. დღეს მისი იტალია ბულგარეთს ხვდება და თუ მოიგებს, უახლოეს მდევარს მინიმუმ 5 ქულით (თუ ჩეხეთმა მოიგო) გაუსწრებს. სოფიაში „სკუადრა აძურა“ 2:1-ს იგებდა, მაგრამ საბოლოოდ ფრეს დასჯერდა. იტალიელთა მხრიდან ორივე გოლი **პაბლო ოსვალდომ** გაიტანა, რომელიც ნაკრებში ამჯერადაც გამოძახებულია. ასევე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **მანოლო გაბიადინის** მიწვევა, თუმცა „სამპდორიას“ ფორვარდის მოედანზე ხილვის შანსი მინიმალურია.

ბულგარეთი ჯერ კიდევ დაუმარცხებელია და **ლუბოსლავ პენევის** შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პალერმოდან მინიმუმ ქულა მაინც წაიღონ.

დანიის ნაკრები, რომელიც უკანასკნელ შანსს ებღაუჭება, სტუმრად მალტას ეთამაშება და თუ ვერ მოიგო, მუნდიალზე ოცნებას უნდა შეეშვას. ძალიან მნიშვნელოვანია ჩეხეთის და სომხეთის თამაშიც. მარცხის შემთხვევაში, სომხები მუნდიალზე მოხვედრის ყველანაირ შანსს დაკარგავენ, ჩეხებს კი იტალიელთა იმედი აქვთ - თუ „სკუადრამ“ მოიგო და ჩეხებმაც იმარჯვეს, მეორე ადგილზე სწორედ **მიხალ ბილეკის** შეგირდები გადავლენ.

### C ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ფარერები | 19:00 |
| ირლანდია-შვედეთი | 22:45 |
| გერმანია-ავსტრია | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 22-7 | 16 |
| 2. ავსტრია | 6 | 3 | 2 | 1 | 15-5 | 11 |
| 3. შვედეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 4. ირლანდია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-10 | 11 |
| 5. ყაზახეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-15 | 1 |
| 6. ფარერები | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

### კინი იბრას წინააღმდეგ

გერმანიამ ბოლო სამ ამხანაგურ შეხვედრაში 9 გოლი გაუშვა, თანაც ბუნდესგუნდს აშშ-ის, ეკვადორის და პარაგვაის სახით არც ისე ძლიერი მეტოქეები ჰყავდა. **იოახიმ ლიოვის** სამწყსო ამ ტურში ავსტრიას ხვდება, რომელთანაც გერმანელებს დადებითი ბალანსი აქვთ: 24 მოგება, 6 ფრე და 8 წაგება.

წარმოუდგენელია ამ გუნდებზე საუბრობდე და უკვე ლეგენდად ქცეული მატჩი არ გაიხსენო - 1982 წლის მუნდიალზე, მეზობლებმა ფრედ ითამაშეს, ასეთი შედეგი კი ორივეს აძლევდა ხელს. მაშინ ჯგუფში ძალიან სიმპათიური ალჟირის ნაკრები ჩარჩა, რის შემდეგაც ფიფამ წესები შეცვალა და ბოლო ტურის მატჩების პარალელურად გამართვა მოითხოვა.

„იოგიმ“ კვლავ არ გამოიძახა **შტეფან კისლინგი**, რომელიც ბოლო პერიოდის ყველაზე შედეგიანი გერმანელი ფორვარდია. ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში რომც მიიწვიონ, ის მანამდე არ ითამაშებს, სანამ იქ იოახიმ ლიოვი იმუშავებს.

ე.წ. 6-ქულიან მატჩთა კატეგორიიდანაა ირლანდიის და შვედეთის დაპირისპირება. ორივე გუნდს 11-11 ქულა აქვს, მაგრამ თუ დარჩენილი მატჩების კალენდარს გავითვალისწინებთ, ქულები ირლანდიას უფრო სჭირდება. ჯანმრთელია და სათამაშოდ მზად არის **რობი კინი**, რომელსაც ნაკრებში ჩატარებულ 127 შეხვედრაში 59 გოლი აქვს გატანილი. მეტოქეს კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** იმედი აქვს, ვისაც ნაკრებში 44 გოლი აქვს გატანილი (91 შეხვედრაში) და ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირ **სვენ რიდელს** მხოლოდ 5 ბურთით ჩამორჩება.

### D ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| თურქეთი-ანდორა | 22:00 |
| რუმინეთი-უნგრეთი | 22:00 |
| ესტონეთი-ჰოლანდია | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 20-2 | 18 |
| 2. უნგრეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 3. რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-10 | 10 |
| 4. თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-7 | 7 |
| 5. ესტონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 3-9 | 6 |
| 6. ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 0-17 | 0 |

### ბუქარესტი VS ბუდაპეშტი

ჰოლანდიას ზედიზედ 6 გამარჯვება აქვს და წესით, **ლუის ვან გაალის** შეგირდებმა ეს სერია უნდა განაგრძონ. ტრავმირებულია **კლაას-იან ჰუნტელაარი**, თუმცა „ნარინჯისფერებს“ მის გარეშეც არ უნდა გაუჭირდეთ. ნაკრებში არაა **რაფაელ ვან დერ ვაარტიც**, სამაგიეროდ, რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელია გამოძახებული. **ბრუნო მარტინს ინდი, ჯეტრო ვილემსი, სტეფან დე ვრეი, ჯეფრი ბრუმა, ადამ მაჰერი** - ვან გაალი ახალგაზრდებს თამამად ენდობა და არ გამოვრიცხოთ, რომ ტალინში ამ ხუთეულიდან ძირითად შემადგენლობაში ყველა მოხვდეს.

ბუქარესტში სტუმრად უნგრეთის ნაკრები ჩავა. ორი კონკურენტის მატჩს არანაკლები ინტერესით თვალს თურქეთიც მიადევნებს, რომელიც მეორე ადგილისთვის ჯერ კიდევ იბრძვის. დაბრუნებული **ფათიჰ თერიმი** ნაკრებში ხელახალ დებიუტს, რა თქმა უნდა, გამარჯვებით დაიწყებს, აი, რუმინეთი-უნგრეთის შეხვედრაში კი თურქებისთვის საუკეთესო შედეგი ფრე იქნება.

### E ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ნორვეგია-კვიპროსი | 21:00 |
| შვეიცარია-ისლანდია | 22:30 |
| სლოვენია-ალბანეთი | 22:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 6 | 4 | 2 | 0 | 8-1 | 14 |
| 2. ალბანეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 3. ისლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 9 |
| 4. ნორვეგია | 6 | 2 | 2 | 2 | 7-7 | 8 |
| 5. სლოვენია | 6 | 2 | 0 | 4 | 8-10 | 6 |
| 6. კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |

### წესრიგი თუ ქაოსი?

ყველაზე თანაბარ და სუსტ ჯგუფში ლიდერი გამოიკვეთა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზე შვეიცარიის ნაკრები დამკვიდრდა და პირველობის განმტკიცებას ამ ტურში ისლანდიასთან ეცდება. **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდს უკვე 10 მატჩია არ წაუგია, ბოლო 8 მატჩში სულ 2 გოლი გაუშვა, უკანასკნელ ამხანაგურ შეხვედრაში კი ბრაზილიას (1:0) სძლია.

ჯგუფის დარჩენილ მატჩებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჯერჯერობით, ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი არავის დაუკარგავს, მაგრამ ამ ტურის შემდეგ, დიდი შანსია, რაღაც-რაღაცები გაირკვეს, ან პირიქით, სიტუაცია კიდევ უფრო ბუნდოვანი და დაძაბული გახდეს.

### F ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| რუსეთი-ლუქსემბურგი | 18:30 |
| ჩრდ. ირლანდია-პორტუგალია | 22:45 |

7 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ისრაელი-აზერბაიჯანი | 21:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 12-6 | 14 |
| 2. რუსეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-2 | 12 |
| 3. ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 7 | 0 | 4 | 3 | 3-9 | 4 |
| 6. ლუქსემბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 3-13 | 3 |

### ლიდერების დაგეგმილი

რუსეთმა ბოლო ორი მატჩი (პორტუგალიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან) წააგო და მდგომარეობა გაირთულა, არადა 4 მატჩის შემდეგ, **ფაბიო კაპელოს** გუნდს არა მარტო ქულა არ ჰქონდა დაკარგული, საკუთარ კარში გოლიც კი არ ჰქონდა გაშვებული. ამ ტურში, რუსები, რა თქმა უნდა, მოიგებენ და უილბლო სერიას შეწყვეტენ.

პორტუგალია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ფორმაში მყოფ გუნდს ესტუმრება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველ წრეში **პაულო ბენტუს** შეგირდები მარცხს ძლივს გადაურჩნენ და ირლანდიელებს გოლი მატჩის ბოლოსკენ გაუტანეს (1:1). მართალია, ბრიტანელებმა ერთი თვის წინ რუსეთს მოუგეს, რითაც ამ გუნდმა 13-მატჩიანი მოუგებელი სერია (5 ფრე და 8 მარცხი) დაასრულა, მაგრამ ამ წყვილის ფავორიტი აშკარად **კრიშტიანო რონალდო** და კომპანია არიან და თუ პირენეელებს მუნდიალზე ასპარეზობა სურთ, ბელფასტში სამი ქულა აუცილებლად უნდა მოიპოვონ.

ანალოგიურ სიტუაციაშია ისრაელიც, რომელიც აზერბაიჯანს, გასაგები მიზეზების გამო, შაბათს ეთამაშება.

### G ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| ლატვია-ლიტვა | 22:10 |
| ბოსნია-სლოვაკეთი | 22:15 |
| ლიხტენშტაინი-საბერძნეთი | 22:45 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 6 | 5 | 1 | 0 | 23-3 | 16 |
| 2. საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 7-4 | 13 |
| 3. სლოვაკეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 4. ლიტვა | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| 5. ლატვია | 6 | 1 | 1 | 4 | 6-14 | 4 |
| 6. ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-16 | 2 |

### ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი ბოსნიისთვის

ბოსნია ისტორიაში პირველი მუნდიალისკენ დამაჯერებელი ნაბიჯებით მიიწევს. **საფეტ სუშიჩის** შეგირდებმა ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში კი მხოლოდ სამი მიიღეს. დარჩენილი შეხვედრებიდან, ყველაზე რთული მატჩები ბალკანელებს სწორედ ამ კვირის განმავლობაში ელით, როდესაც საკმაოდ ძლიერ სლოვაკეთის ნაკრებს ზედიზედ ორჯერ შეხვდებიან.

ბოსნიელებს პრაქტიკულად არავინ აკლიათ და გუნდის ყველა ლიდერი (**ჯეკო, იბიშევიჩი, მისიმოვიჩი, პიანიჩი, რაჰიმიჩი, სალიჰოვიჩი, ლულიჩი, სპაჰიჩი**) სათამაშოდ მზადაა. სლოვაკებს კი პირველ რიგში **მარეკ ჰამშიკის** იმედი აქვთ, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია - „ნაპოლის“ და ნაკრების ლიდერმა, სერია A-ს პირველ 2 ტურში 4 გოლი გაიტანა.

ბოსნიელების მდევარი საბერძნეთი ჯუჯა ლიხტენშტაინს ეწვევა და იქიდან სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ბერძნებმა დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმუმი უნდა აიღონ, შესაბამისად, ბოსნიელთა მიზანი 9 ქულის მოგროვებაა, რაც წარმოუდგენლად ძნელი მისაღწევი იქნება, თუ დღეს სლოვაკებს არ სძლიეს.

### H ჯგუფი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| უკრაინა-სან მარინო | 22:00 |
| პოლონეთი-ჩერნოგორია | 22:45 |
| ინგლისი-მოლდოვა | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 7 | 4 | 2 | 1 | 14-7 | 14 |
| 2. ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 21-3 | 12 |
| 3. უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 10-4 | 11 |
| 4. პოლონეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-7 | 9 |
| 5. მოლდოვა | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 6. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 0-29 | 0 |

### მთავარი მატჩი 10 სექტემბერს

ამ ჯგუფის მთავარი მატჩი 10 სექტემბერს გაიმართება, როდესაც უკრაინას ინგლისი ეწვევა, იქამდე კი გუნდები კარგად უნდა გახურდნენ. სლავები სან მარინოს ასტრონომიული ანგარიშით დამარცხებას ეცდებიან, ინგლისელები კი მოლდოველთა მინიმუმ ისე განადგურებას (5:0), როგორც ეს პირველ წრეში მოახერხეს.

ცენტრალური დაპირისპირება კი ვარშავაში შედგება - პოლონეთის დედაქალაქში ჯგუფის ლიდერი ჩადის. ჩერნოგორიამ ბოლო ორ შეხვედრაში 5 ქულა დაკარგა და თუ ფეხი ამჯერადაც დაუცდა, ერთბაშად მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდება, ხოლო პოტენციურად მეოთხე პოზიციაზეც კი იქნება.

პოლონელებს **დამიენ პერკისის, ლუკაშ პიშჩეკის** და **არტურ სობიხის** სახით სამი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული. ჩერნოგორიელებს კი მსგავსი პრობლემები პრაქტიკულად არ აწუხებთ - ერთადერთი გამორჩეული მოთამაშე, რომელსაც **ბრანკო ბრნოვიჩი** ვერ გამოიყენებს **ანდრია დელიბაშიჩი** გახლავთ.

**ბომბარდირები:** 8 - ჯეკო (ბოსნია); 6 - ჰემედი (ისრაელი), იბიშევიჩი (ბოსნია); 5 - ელდერ პოშტიგა (პორტუგალია), იოზილი (გერმანია), როისი (გერმანია), რუნი (ინგლისი), ვან პერსი (ჰოლანდია)

## ბრაზილია 2014

### შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XV ტური

| | |
|---|---|
| კოლუმბია-ეკვადორი | 00:30 |
| პარაგვაი-ბოლივია | 02:30 |
| ჩილე-ვენესუელა | 04:30 |
| პერუ-ურუგვაი | 06:30 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 13 | 7 | 5 | 1 | 25-9 | 26 |
| 2. კოლუმბია | 12 | 7 | 2 | 3 | 21-7 | 23 |
| 3. ეკვადორი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-12 | 21 |
| 4. ჩილე | 13 | 7 | 0 | 6 | 21-21 | 21 |
| 5. ურუგვაი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-21 | 16 |
| 6. ვენესუელა | 13 | 4 | 4 | 5 | 10-14 | 16 |
| 7. პერუ | 12 | 4 | 2 | 6 | 12-17 | 14 |
| 8. ბოლივია | 13 | 2 | 4 | 7 | 15-24 | 10 |
| 9. პარაგვაი | 12 | 2 | 2 | 8 | 9-23 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - იგუაინი (არგენტინა); 8 - მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 7 - ფალკაო (კოლუმბია)

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ეტაპის მორიგ ტურს არგენტინის ნაკრები გამოტოვებს, რაც კოლუმბიას „ალბისელესტეს“ დაწევის შანსს აძლევს. **ხოსე პეკერმანის** გუნდი ეკვადორს ეთამაშება, რომელიც მესამე ადგილზე კი არის, მაგრამ სტუმრად რომ ვერ ბრწყინავს ეს პატარა ბავშვმაც იცის - გასვლაზე ჩატარებულ 5 შეხვედრაში **რეინალდო რუედას** შეგირდებმა მხოლოდ 2 ქულა მოაგროვეს და ეს იმ დროს, როდესაც შინ გამართული 7 მატჩიდან 6 მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დასჯერდნენ ფრეს.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, კოლუმბია წყვილის გამოკვეთილი ფავორიტია და თუ ეს სტატუსი გაამართლა, არა მარტო არგენტინას წამოეწევა, არამედ ბრაზილიის საგზურსაც პრაქტიკულად ჯიბეში ჩაიდებს.

პერუ-ურუგვაის და ჩილე-ვენესუელას შეხვედრებს დაახლოებით ერთნაირი დატვირთვა აქვს - წინ გაჭრილი გუნდები მდევრებს ხვდებიან.

ჩილემ ბოლო დროს გამოილვიძა და ზედიზედ განცდილი 4 მარცხის შემდეგ, მიჯრით სამი თამაში მოიგო, რისი წყალობითაც ცხრილში მეოთხე ადგილზე გადავიდა. ვენესუელამ კი პირიქით, მოუკლო და ამ მატჩში აუტსაიდერად მოსჩანს.

პერუსთან სტუმრად, მაღალმთიან რეგიონში თამაში ყველას უჭირს, მით უმეტეს ისეთ გუნდს, რომელიც გაიშვიათებულ ჰაერს მიჩვეული არ არის. ურუგვაის წაბორძიკების უფლება აღარ აქვს, თორემ არაა გამორიცხული, გუნდი პლეი ოფის საგზურის მომტანი მეხუთე ადგილის გარეშეც კი დარჩეს.

## ბრაზილია 2014

### შესარჩევი ეტაპი. აზია.

პლეი ოფი. I მატჩი

6 სექტემბერი

| | |
|---|---|
| იორდანია-უზბეკეთი | 20:00 |

**ტატო ბაციკაძე**


ფალკაოს და კოლუმბიას არგენტინის დაწევა სურთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

europe-bet.com

# რა ცოტა დაგვაკლდა...

- არის მატჩები, როცა იღბალი გაგიღიმებს, ან პირიქით - ზურგს შეგაქცევს. სწორედ ასეთ შეხვედრათა კატეგორიიდან იყო ხორვატია-საქართველოს დაპირისპირება. ბოლო წამზე ფორტუნამ ჩვენი მხარე დაიჭირა და ძლიერ საქართველოს ნაკრებთან ერთი ქულის სხვაობით მოვიგეთ, - აღნიშნა ხორვატების დამრიგებელმა **ჟასმინ რეპეშამ.**

ეს კომენტარი კარგი პასუხია მატჩის შემდეგ გაჩენილი არაერთი კითხვისა: ხომ შეიძლებოდა, ბოლო წამებზე თამაში **რიკი ჰიკმანს** დაესრულებინა? რატომ მივიღეთ 11 სამქულიანი? და ა.შ... იმის მიუხედავად რომ ბევრი სამიანი მივიღეთ; რომ ჰიკმანმა მეოთხე პერიოდში მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო; მარკოიშვილმა მატჩი 4 ქულით დაასრულა, საფინალო სირენამდე 21 წამით ადრე სანიკიძის სამქულიანით 76:75-ს ვიგებდით. ასეთი შედეგი ისლანდიასთანაა მიუღებელი, თორემ ხორვატიის ნაკრებთან, რომელიც თანაბრადაა დაბალანსებული და თითქმის ყველა კალათბურთელი ევროლიგაში იღებს გამოცდილებას (საქართველოს ნაკრებში ასეთი მხოლოდ ოთხია), მხოლოდ სხვა პლანეტაზე მცხოვრებ ესპანეთს შეუძლია საქმის სამ პერიოდში მოთავება.

## ბოიკოტი

სხვათა შორის, სწორედ ესპანეთთან განადგურებამ (68:40) ხორვატი კალათბურთელები თითქმის უგულშემატკივროდ დატოვა. ესპანეთთან ხორვატმა ქომაგებმა დარბაზი გაავსეს (კარის მეზობელ სლოვენიაში გადასვლა გაუჭირდებოდათ თუ რა?!), საქართველოსთან კი ძალიან ცოტა მოვიდა და ჩვენდა საამაყოდ უნდა ვთქვათ - გულშემატკივრობით ხორვატებს ვაჯობეთ! როგორც შევიტყვეთ, ესპანეთთან შერცხვენის შემდეგ ქომაგმა ხორვატიის ნაკრებს ბოიკოტი გამოუცხადა.

5 სექტემბერი. ცელიე. ცელიე არენა. 1 800 მაყურებელი

**საქართველო 76:77 ხორვატია**

15-17, 19-18, 18-15, 24-27

**მსაჯები:** ბორის რიჟიკი (უკრაინა), ოლეგს ლატიშევსი (ლატვია), ალექსანდრ მილოიევიჩი (მაკედონია)

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. ბურჯანაძე | 9 | 1/3 | 33.3 | 1/2 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -3 | 2 |
| *8. ცინცაძე | 36 | 11/18 | 61.1 | 9/13 | 69.2 | 2/5 | 40.0 | 1/2 | 50.0 | 1 | 2 | 3 | 5 | 2 | 5 | 0 | 3 | 4 | -2 | 25 |
| *9. შერმადინი | 34 | 4/6 | 66.7 | 4/6 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 2 | 7 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 3 | 3 | 6 | 10 |
| 10. ჰიკმანი | 27 | 7/9 | 77.8 | 4/6 | 66.7 | 3/3 | 100.0 | 3/5 | 60.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 3 | 7 | 0 | 20 |
| *11. მარკოიშვილი | 34 | 2/9 | 22.2 | 2/5 | 40.0 | 0/4 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 4 | 1 | 4 |
| *12. ფაცაცია | 12 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| *13. სანიკიძე | 33 | 6/13 | 46.2 | 4/8 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 1/4 | 25.0 | 4 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 | -3 | 15 |
| 14. ლეჟავა | 10 | 0/4 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | -3 | 0 |
| 15. ცქიტიშვილი | 3 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -2 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 2 | 3 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/63 | 49.2 | 24/43 | 55.8 | 7/20 | 35.0 | 7/13 | 53.8 | 10 | 20 | 30 | 11 | 6 | 6 | 2 | 15 | 21 | | 76 |

შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, **+/-** - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.

| ხორვატია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *4. ტომიჩი | 21 | 2/4 | 50.0 | 2/4 | 50.0 | 0/0 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 0 | 2 | 2 | 7 | 2 | 0 | 0 | 1 | 5 | 3 | 7 |
| 5. ანდრიჩი | 4 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 |
| 6. დრეპერი | 19 | 6/8 | 75.0 | 2/3 | 66.7 | 4/5 | 80.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 4 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 4 | 0 | 4 | 16 |
| *7. ბოგდანოვიჩი | 35 | 6/13 | 46.2 | 4/10 | 40.0 | 2/3 | 66.7 | 1/1 | 100.0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 3 | 7 | 15 |
| 8. სარიჩი | 16 | 6/6 | 100.0 | 6/6 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0/4 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 | -2 | 12 |
| *10. უკიჩი | 25 | 3/7 | 42.9 | 3/6 | 50.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | -6 | 6 |
| *11. სიმონი | 38 | 3/9 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 3/9 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 1 | 5 | 6 | 1 | 6 | 0 | 0 | 3 | 0 | -2 | 9 |
| *12. მარკოტა | 24 | 4/5 | 80.0 | 2/2 | 100.0 | 2/3 | 66.7 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 10 |
| 14. ზორიჩი | 16 | 1/3 | 33.3 | 1/3 | 33.3 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | -2 | 2 |
| 15. დელასი | 3 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 1 | 3 | 4 | | 0 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 31/57 | 54.4 | 20/35 | 57.1 | 11/22 | 50.0 | 4/9 | 44.4 | 6 | 23 | 29 | 18 | 11 | 2 | 0 | 21 | 15 | | 77 |




ვიქტორ სანიკიძის შეტევა

## თერთმეტი

ასეთი სიტუაცია ქართველი კალათბურთელების წისქვილზე ასხამდა წყალს. მატჩის დასაწყისიდან ჩვენი გუნდი ლაღად თამაშობდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ იყო, კარგი გარჯა და მონდომება 17 ქულის სხვაობით რომ მოგაგებინებს. აკი ვთქვით, ხორვატები თავიდან ბოლომდე სტაბილურად თამაშობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც - 15:10. ქართველებმა დაინახეს, რომ თავს ზემოთ ახტომა იყო საჭირო. კალათის ზემოთაც ახტნენ: თუ პირველი მეოთხედის შემდეგ მოხსნებში 7:12-ს ვაგებდით, მეორე პერიოდში ამ კომპონენტში 13:5 ვიმარჯვეთ. სწორედ ამ დროს გაცხადდა, რომ ხორვატებს ფარქვეშ არაფერი ესაქმებოდათ და შორიდან ცდილობდნენ ხეირის ნახვას. საბოლოოდ სამწამიანი ზონიდან 30 ქულა ჩააგდეს, ქართველებმა - 38.

» მე-12 გვერდზე

## ქრონოლოგია

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 09:34 | სიმონი (ხორ) 3ქ | 3:0 |
| 08:29 | მარკოიშვილი (საქ) 2ქ | 3:2 |
| 07:14 | უკიჩი (ხორ) 2ქ | 5:2 |
| 06:45 | უკიჩი (ხორ) 2ქ | 7:2 |
| 06:28 | მარკოიშვილი (საქ) 2ქ | 7:4 |
| 05:46 | შერმადინი (საქ) 2ქ | 7:6 |
| 05:10 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 2ქ | 9:6 |
| 04:30 | უკიჩი (ხორ) 2ქ | 11:6 |
| 04:12 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 11:8 |
| 02:54 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 2ქ | 13:8 |
| 02:36 | ბურჯანაძე (საქ) 2ქ | 13:10 |
| 02:22 | მარკოტა (ხორ) 2ქ | 15:10 |
| 01:07 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 15:12 |
| 00:40 | ჰიკმანი (საქ) 3ქ | 15:15 |
| 00:28 | ტომიჩი (ხორ) 2ქ | 17:15 |
| **II პერიოდი** | | |
| 09:44 | დრეპერი (ხორ) 3ქ | 20:15 |
| 09:06 | სარიჩი (ხორ) 2ქ | 22:15 |
| 08:45 | ჰიკმანი (საქ) 1+1 | 22:17 |
| 08:30 | დრეპერი (ხორ) 3ქ | 25:17 |
| 07:56 | შერმადინი (საქ) 2ქ | 25:19 |
| 07:05 | ჰიკმანი (საქ) 3ქ | 25:22 |
| 06:43 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 3ქ | 28:22 |
| 06:16 | შერმადინი (საქ) 1+1ქ | 28:24 |
| 05:48 | სარიჩი (ხორ) 2ქ | 30:24 |
| 04:34 | ჰიკმანი (საქ) 3ქ | 30:27 |
| 04:10 | ზორიჩი (ხორ) 2ქ | 32:27 |
| 03:54 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 32:29 |
| 02:02 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 32:31 |
| 00:49 | შერმადინი (საქ) 2ქ | 32:33 |
| 00:33 | სიმონი (ხორ) 3ქ | 35:33 |
| 00:16 | სანიკიძე (საქ) 1ქ | 35:34 |
| **III პერიოდი** | | |
| 09:45 | სიმონი (ხორ) 3ქ | 38:34 |
| 09:30 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 38:36 |
| 09:09 | სარიჩი (ხორ) 2ქ | 40:36 |
| 08:51 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 40:38 |
| 08:09 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 40:40 |
| 07:30 | შერმადინი (საქ) 2ქ | 40:42 |
| 05:42 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 40:45 |
| 05:18 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 3ქ | 43:45 |
| 04:44 | ტომიჩი (ხორ) 1ქ | 44:45 |
| 04:20 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 44:47 |
| 03:56 | სარიჩი (ხორ) 2ქ | 46:47 |
| 03:36 | ჰიკმანი (საქ) 1ქ | 46:48 |
| 03:23 | სარიჩი (ხორ) 2ქ | 48:48 |
| 02:57 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 48:50 |
| 02:39 | სარიჩი (ხორ)2ქ | 50:50 |
| 01:04 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 50:52 |
| **IV პერიოდი** | | |
| 09:41 | ჰიკმანი (საქ) 2ქ | 50:54 |
| 09:26 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 2+1ქ | 53:54 |
| 09:10 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 53:56 |
| 08:07 | დრეპერი (ხორ) 2ქ | 55:56 |
| 07:52 | ბოგდანოვიჩი (ხორ) 2ქ | 57:56 |
| 07:12 | მარკოტა (ხორ) 2ქ | 59:56 |
| 06:28 | დრეპერი (ხორ) 2ქ | 61:56 |
| 06:10 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 61:58 |
| 05:52 | დრეპერი (ხორ) 3ქ | 64:58 |
| 05:36 | ცინცაძე (საქ) 3ქ | 64:61 |
| 04:32 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 64:63 |
| 04:03 | მარკოტა (ხორ) 3ქ | 67:63 |
| 03:38 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 67:65 |
| 02:50 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 67:68 |
| 02:13 | დრეპერი (ხორ) 3ქ | 70:68 |
| 01:53 | სანიკიძე (საქ) 2ქ | 70:70 |
| 01:41 | მარკოტა (ხორ) 3ქ | 73:70 |
| 01:24 | ცინცაძე (საქ) 1ქ | 73:71 |
| 00:57 | ცინცაძე (საქ) 2ქ | 73:73 |
| 00:38 | ტომიჩი (ხორ) 1+1ქ | 75:73 |
| 00:21 | სანიკიძე (საქ) 3ქ | 75:76 |
| 00:09 | ტომიჩი (ხორ) 2ქ | 77:76 |

## მეტოქეები

**C ჯგუფი**

**პოლონეთი 68**
25:12, 13:22, 11:16, 19:19
**ჩეხეთი 69**

პ: იგნერსკი (17), ლამპე (14+7 მოხსნა), კელატი (10+6 მოხსნა), გორტატი (5+9 მოხსნა+5 პასი).

ჩ: ვესელი (23+14 მოხსნა+4 ჩაჭრა), სატორანსკი (10), ბარტონი (10).

ორქულიანები: 21/43 (48,8%) - 26/61 (42,6%)
სამქულიანები: 6/17 (35,3%) - 2/11 (18,2%)
საჯარიმოები: 8/14 (57,1%) - 11/15 (73,3%)
მოხსნები: 40-38. პასები: 14-19. შეცდომები: 16-8

**სლოვენია 78**
9:14, 16:19, 27:18, 26:18
**ესპანეთი 69**

ს: გ. დრაგიჩი (18+6 მოხსნა+7 პასი), ნახბარი (14), ზ. დრაგიჩი (12).

ე: მ. გასოლი (17+7 მოხსნა+5 შეცდომა), კალდერონი (14).

ორქულიანები: 19/37 (51,4%) - 16/36 (44,4%)
სამქულიანები: 8/21 (38,1%) - 8/18 (44,4%)
საჯარიმოები: 16/20 (80%) - 13/21 (61,9%)
მოხსნები: 26-38. პასები: 14-12. შეცდომები: 5-14

| | თ | მ | წ | სხვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვენია | 2 | 2 | 0 | 140-129 | 4 |
| 2. ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 137-118 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 1 | 1 | 160-144 | 3 |
| 4. ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 129-130 | 3 |
| 5. ხორვატია | 2 | 1 | 1 | 117-144 | 3 |
| 6. პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 135-153 | 2 |

**მომდევნო ტური**

**7 სექტემბერი**

16:30 ესპანეთი-ჩეხეთი
19:45 ხორვატია-პოლონეთი
23:00 საქართველო-სლოვენია

EuroBasket SLOVENIA 2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

EUROBASKET 2013

სლოვენია. 4-22 სექტემბერი

TimeLine

● სპეციალისტის კომენტარი



პაატა გურასპაული

# პაატა გურასპაული
# კარგად დაწყებული საქმე კარგადვე უნდა დავაგვირგვინოთ

**გუშინ** საქართველო-ხორვატიის მატჩის შემდეგ კომენტარისთვის კვლავ ვეტერან კალათბურთელს - პაატა გურასპაულს შევეხმიანეთ

რაც თავი მახსოვს - როგორც მოთამაშეს და მწვრთნელსაც, ბევრი მატჩიც მომიგია და ხშირადაც დავმარცხებულვარ, მაგრამ გუშინდელივით გული არასდროს დამწყვეტია, შოკური მდგომარეობიდან ჯერაც ვერ გამოვსულვარ - არ ვიყავით ხორვატებთან წაგების ღირსი, მაგრამ გუშინ ფორტუნა აშკარად არ იყო საქართველოს ნაკრების მხარეს.

ხორვატიის ეროვნულ გუნდთან კოკოშკოვის შეგირდებმა მატჩი ორნაირი ზონური დაცვით დაიწყეს: ჯერ იყო 2-3-ზე, მერე ოთხი კალათბურთელი იდგა დაცვაში, ერთი კი ბოგდანოვიჩს, ტომიჩს ან სხვა რომელიმე მეტოქეს ელობებოდა. სერბი სპეციალისტი მალევე მიხვდა, რომ ამგვარი სისტემა ხეირს არ მოგვიტანდა. საერთოდაც, იუგოსლავიურ გუნდებთან ზონური თამაშით წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია. როგორც ვნახეთ, ხორვატები თავისუფლად ათამაშებდნენ კომბინაციებს და გარედან ყველა ჩასაგდები ბურთი ჩააგდეს. ამიტომაც გადაანყო კოკოშკოვმა თავისი რაზმი პერსონალურ დაცვაზე და მეტოქესაც თავგზა აებნა - ჯერ ანგარიში გავათანაბრეთ, მერე ხუთი ქულითაც დავწინაურდით, თუმცა, პოლონელებთან მატჩისგან განსხვავებით, რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა მაინც დავუშვით: კვლავაც ცოტაა სწრაფი შეტევით აღებული ქულები, ანუ ვაგვიანებთ ბურთის მეტოქის მოედანზე გადატანას. დაზღვევა ბიჭებს ამჯერადაც კარგად გამოუვიდათ. ამის შედეგი იყო, რომ ტომიჩი, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა, საქართველოს ნაკრებთან მხოლოდ შვიდ ქულას გამორჩა, თუმცა მისმა ბოლო ორქულიანმა ხორვატებს გამარჯვება მოუტანა.

როცა დაზღვევაზე ვლაპარაკობთ, ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი. კერძოდ, ეს მესამე ფაზას ეხება: შემტევსა და მის ახლო მყოფ კალათბურთელს რომ აზღვევ, უყურადღებოდ არ უნდა დაგრჩეს მესამე, რომელიც თავისუფლად შედის ფარქვეშ. ამ დროს პერიმეტრიდანაა ჩამოსაწევი მოთამაშე მის დასაზღვევად. ჩვენმა გუნდმა რამდენჯერმე სწორედ აქ დაუშვა შეცდომა და ხორვატებმაც გვარიანად იხეირეს.

წინა კომენტარისას აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ - კოკოშკოვმა გუნდში მკაცრ სათამაშო დისციპლინას მიაღწია, მაგრამ მეტოქისთვის ასე შეუზღუდავი სივრცეების დატოვება არ შეიძლებოდა, როგორც ეს გუშინ მოხდა - ჩვენები ყოველთვის ნახევარი ნაბიჯით აგვიანებდნენ, რომ შორიდან მტყორცნელი სიმონისთვის ან მეორე ტაიმში გამოცოცხლებული დრეიპერისთვის ხელი შეეშალათ. რაც შეეხება მარკოტას, ამ გოლიათმა ერთი სამქულიანი იმ სიშორიდან ჩაგვიგდო, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო.

ჩვენს კალათბურთელებზე მინდა ვთქვა: ამჯერადაც კარგად იბრძოლა გიორგი შერმადინმა: თანაგუნდელების დახმარებით შეძლებისდაგვარად მოახერხა ტანმაღალი ხორვატების განეიტრალება საკუთარ ფართან და თავდასხმაშიც არ უთამაშია ურიგოდ. აშკარად მეტს ველოდი ლევან ფაცაციასგან - თავდასხმაში აქტიურობით უნდა გამოიჩინოს თავი. პირველი მატჩის მსგავსად, დაცვაში ახლაც კარგად გაისარჯა ბესო ლეჟავა, მაგრამ თავდასხმაში პროდუქტიულობა აკლდა. გუშინდელი დღე აშკარად არ იყო ვიქტორ სანიკიძისა, იმის მიუხედავად, რომ 15 ქულა შესძინა გუნდს, რამდენჯერმე ეფექტური თამაშითაც გამოირჩა და, რაც მთავარია, მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ისეთი სამქულიანი ჩააგდო, გამარჯვების ნაპერწკალი რომ ჩაგვისახა, თუმცა მისგან ჩირალდნის ანთება ვერ მოვახერხეთ, არადა, შეგვეძლო. მარკოიშვილიც არ ჰგავდა საკუთარ თავს: დაცვაში კარგი იყო, მაგრამ თავდასხმაში მოიკოჭლებდა. შესაძლოა, ეს იმანაც განაპირობა, რომ ცინცაძესა და ჰიკმანს არ შეუშალა ხელი. ეს ორი კალათბურთელი კი გუშინ მართლაც შეუდარებელი გახლდათ. პოლონელებთან მატჩის შემდეგაც ვთქვი, რომ ჰიკმანი შესანიშნავი მოთამაშეა და მომავალ მატჩებში აუცილებლად გაგვახარებს-მეთქი. ასეც მოხდა. რაც შეეხება „ბუს", მას ბავშვობიდან ვიცნობ და მისგან ისეთი თამაში, როგორიც პოლონელებთან და, განსაკუთრებით, ხორვატებთან ვნახე, რატომღაც არ მახსენდება: გუშინ დროული ბურთებიც ჩაყარა, ხუთჯერ მეტოქის გადაცემა ჩაჭრა, დაცვაშიც სწორი ჯარიმები აიღო, სამქულიანიც ჩააგდო და ერთადერთხელ არ გაუმართლა - ბოლო წამზე მისი ტყორცნა უზუსტო გამოდგა, არადა, სწორედ იმ ორქულიანს შეეძლო ჩვენთვის გამარჯვების მოტანა.

გულდასაწყვეტი მარცხის მიუხედავად, დაკარგული ჯერ არაფერია. ჩვენმა ნაკრებმა დაანახვა ევროპას, რომ მათთან ტოლსწორად თამაში შეგვიძლია და რიგ შემთხვევაში, შესაძლოა, დავჯაბნოთ კიდეც. დღეს ბიჭები დაისვენებენ. ხვალ სლოვენია გვყავს მეტოქედ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სწორი, გაზრებული თამაშით მასპინძლების დამარცხებაც შეიძლება, რაშიც სლოვენია-ჩეხეთის მატჩმაც დაგვარწმუნა. მეორე ეტაპზე გასასვლელად შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. კარგად დაწყებული საქმე კარგადვე უნდა დავაგვირგვინოთ. ქართველ კალაბურთელებს ეს ხელეწიფებათ და მჯერა, რომ არ გაგვაწბილებენ.

**ვაჟა დანელია**




ცელიედან, სპეციალურად „ტაიმლაინისთვის"



# სად არის საქართველო?

ორი ფოტოსურათის ამბავი უნდა მოგიყვეთ. ორივე ქალაქ ცელიეში, ერთსა და იმავე ადგილასაა გადაღებული. პირველი 4 სექტემბერს, მეორე - მომდევნო დღეს.

ევრობასკეტის გახსნის დღეს პოლონეთთან თამაშის წინ სლოვენიის ქალაქ ცელიეს ქუჩაში გავიარე, მაინტერესებდა ტრიალებდა თუ არა ჰაერში კალათბურთის სული. ყოველ კუთხე-კუნჭულს ევრობასკეტის სიმბოლო ამშვენებს, ხოლო კაფე-რესტორნებში ცელიეს ჯგუფში მოთამაშე გუნდების დროშებია გამოფენილი.

ქალაქის ცენტრში საინტერესო ადგილს ჩავუარე: ერთ დაწესებულებაში ერთმანეთის გვერდით ლუდისა და ნაყინის ჩამოსასხმელი მოწყობილობები იდგა. ამ კაფე-ბარს ჩვენი ჯგუფის გუნდების დიდი დროშები ამშვენებდა - ესპანეთი, სლოვენია, ხორვატია, პოლონეთი და ჩეხეთი... საქართველო არსად ჩანდა. ყველა მხრიდან მოვუარე, მაგრამ ხუთჯვრიანი ალამი მაინც ვერ ვიპოვე.

შევედი და მეპატრონეს ვკითხე:

- საქართველოს დროშა რატომ არ გიკიდიათ?

- არ მაქვს. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერსად ვიშოვე, - მიპასუხა ღიმილით, - თქვენ ხომ არ გაქვთ?

საქართველოს დროშები სადღეისოდ ცელიეს დარბაზში უნდა იყოს თავმოყრილი, იქიდან კაფეს დასამშვენებლად წაღება არ ეგების. ამიტომ სლოვენიელს არაფერს დავპირებივარ, ღიმილით დავემშვიდობე და „ზლატოროგის არენის" გზას გავუყევი.

■ ■ ■

მეორე დღეს გათენდა თუ არა, ქალაქში გავედი, მაინტერესებდა, როგორ აფასებდნენ საქართველოს ნაკრების პოლონეთთან თამაშს ადგილობრივები. ხორვატულ გაზეთ „სპორტსკი ნოვინეში" ჩვენი გუნდის შესახებ ვრცელი სტატია ეწერა, რომელის სათაურის თარგმნა გაზეთების გამყიდველს ვთხოვე: „გორტატი ევრობასკეტზე მედლებისთვის ჩავიდა, მაგრამ საქართველომ პარკეტზე დაანარცხა". სლოვენიურ გაზეთ „ეკიპში" საქართველო-პოლონეთს საშუალო ზომის სტატია ეძღვნებოდა, თუმცა მისი სათაურის გადათარგმნისთვის იქვე მდებარე კაფე-ბარს მივაკითხე, სადაც ნაცნობი მეპატრონე და საქართველოს გარდა ხუთივე გუნდის დროშა მეგულებოდა.

განსაკუთრებით საინტერესო ფოტოზე მინაწერი აღმოჩნდა: „საქართველომ პირველი მატჩი ისე ჩაატარა, მედლებზე ფიქრიც შეუძლია", - მითარგმნა სლოვენიელმა მეპატრონემ და იქვე კუთხეში გაკრულ საქართველოს დროშაზე მიმითითა: ორი დროშა ჩემი ხელით დავხატე და კაფე-ბარის ყველაზე გამოსაჩენ ადგილებზე მივაწებეო. ამ სიტყვების სიმართლეში გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოც დაგარწმუნებთ.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავი

# კაკა: დავბრუნდი, რათა გავიმარჯვო!

## რიკი ესპანეთში გატარებულ წლებს დაკარგულად არ მიიჩნევს

**რიკარდო კაკას** ტრანსფერი იტალიური სპორტული მედიის მთავარი თემაა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბრაზილიელი იქ დაბრუნდა, სადაც მას წლებია, ელოდნენ. დიახ, 31 წლის შემტევის „როსონერიში“ დაბრუნებაზე საუბრობდნენ გასულ ზაფხულსაც და იმის წინაც, მაგრამ ტრანსფერი სულ რამდენიმე დღის წინ შედგა. თუ წინა წლებში, კაკა კატეგორიულ უარზე იყო ხელფასის შემცირებისა, ამჯერად სეზონურად ოთხ მილიონ ევროს დათანხმდა და „რეალი“ „მილანზე“ გაცვალა. ცნობისთვის, მადრიდში ბრაზილიელი წელიწადში ათ მილიონ ევროს იღებდა. კაკამ მილანში ბრიფინგი გამართა და აქტუალურ თემებზე ისაუბრა, ამ ყველაფერზე კი ქვემოთ...



რიკარდო კაკა „მილანის“ გულშემატკივრებს ასე მიესალმა

### დაკარგული წლები თუ?

ბევრი მიიჩნევს, რომ ჩემი „რეალში“ გადასვლა შეცდომა იყო და ამით, მხოლოდ დავკარგე ძვირფასი წლები. პირადად მე, ასე არ ვფიქრობ. ესპანეთში დიდი გამოცდილება მივიღე, რომელიც ცხოვრებაში აუცილებლად გამომადგება. გავიზარდე, როგორც პროფესიონალი და როგორც ადამიანი და ეს უმნიშვნელოვანესია. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა უფრო ხშირად მეთამაშა და გუნდის წარმატებებში მეტი წვლილი შემეტანა, მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. „რეალში“ განუმეორებელი ფეხბურთელების მხარდამხარ ვასპარეზობდი, რომელთა უმეტესობა დღეს ჩემი ახლო მეგობარია. არაერთხელ კლასიკოში მივიღე მონაწილეობა, რითიც ცხოვრების ბოლომდე ვიამაყებ. ყველაფერ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვგონებ არ მაქვს საფუძველი მადრიდში გატარებული წლები წყალში გადაყრილად ჩავთვალო.

### მილანი

ჩამოსვლისთანავე აღვნიშნე, რომ „მილანი“ ჩემი სახლია და აქ ისე ვგრძნობ თავს, როგორც თევზი წყალში. შევედი თუ არა „მილანელოზე“, დამეუფლა შეგრძნება, რომ აქედან არც კი წავსულვარ. ბედნიერი ვარ, რომ ისევ აქ მომიწევს ყოფნა, სადაც ყველა დეტალი ჩემთვის ძალიან ახლობელია. რა შეიცვალა? - მწვრთნელი და ფეხბურთელები, რომლებმაც ძალიან თბილად მიმიღეს. აქ იმიტომ დავბრუნდი, რომ რეგულარულად ვითამაშო და გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. ერთი სული მაქვს, როდის გავალ „სან სიროზე“ სათამაშოდ და როდის მოვისმენ ჩემი სახელის სკანდირებას... განდიდების მანია არასდროს დამმართნია, მაგრამ ვაღიარებ, რომ „მილანის“ ქომაგთა შეძახილი ძალიან მომენატრა. არც ისაა დასამალი, რომ ამ მხრივ, მადრიდში განებივრებული არ ვიყავი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ტიფოზების ნდობა გავამართლო და მათ ისეთი კაკა იხილონ, როგორიც ახსოვთ.

### კარლო, ჟოზე, მასიმილიანო...

ბედის ირონიაა, რომ მადრიდი სწორედ მაშინ დავტოვე, როდესაც გუნდი კარლო ანჩელოტიმ ჩაიბარა. ამ სპეციალისტს ჩემზე დიდი ამაგი აქვს, რასაც არასდროს დავივიწყებ. ვიცი, რომ ანჩელოტის „რეალში“ გაცილებით დიდი დრო მომეცემოდა, ვიდრე აქამდე მქონდა, მაგრამ ჩემი „მილანში“ დაბრუნება გარდაუვალი იყო. ისე კი, ანჩელოტის ესპანეთში ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ და მჯერა კიდეც, რომ „რეალს“ სულ სხვა დონეზე აათამაშებს. კარლო საუკეთესო მწვრთნელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია, მას გუნდის ერთ მუშტად შეკვრა ეხერხება, რაც „რეალს“ ძალიან სჭირდება.

რომელ მწვრთნელთან გამიჭირდა საერთო ენის გამონახვა? - ჟოზე მოურინიოსთან, რომელიც ჩემგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე კარგი ვარ და ის ცუდი, უბრალოდ, ჩვენ საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდა. ჟოზე ბრწყინვალე სპეციალისტია და ისევე როგორც ანჩელოტის, მასაც ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

მასიმილიანო ალეგრი? - მხოლოდ რამდენჯერმე შევხვდი, მაგრამ მივხვდი, რომ საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება. ვიცნობ მის საფეხბურთო ხედვასაც და ჩვენი აზრები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს. ალეგრისთან ერთად, „მილანმა“ მძიმე კრიზისი დასძლია და სკუდეტოც მოიგო. ვფიქრობ, მთავარი წარმატება მას და მასთან ერთად ჩვენ, წინ გველოდება.

### მიზნები

„მილანს“ შესწევს იმის ძალა, რომ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლოს როგორც შიდა ჩემპიონატში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. „როსონერიში“ ისეთი ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებსაც მატჩის ბედის გადაწყვეტა მარტოს შეუძლიათ. თუნდაც მარიო ბალოტელი ავიღოთ, ან გნებავთ სტეფან ელ შაარავი – ვფიქრობ, ამ ფორმაციის „მილანს“ ყველაფრის მოგება შეუძლია და მეც აქ ამ მიზნით ჩამოვედი.

ასევე, ძალიან მინდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს თავი მოვაწონო და სამუნდიალე განაცხადში მოვხვდე. მჯერა, „მილანში“ გადასვლით ჩემი „სელესაოში“ მოხვედრის შანსები ერთი-ორად გაიზარდა. ბრაზილიაში გასამართი მუნდიალის გამოტოვება არაფრის დიდებით არ მინდა და იქ მოსახვედრად ყველაფერს გავაკეთებ.

**ლაშა წიკლაური**

მოსაზრება

# პირლო და ვიცე-პირლო

## კონტემ შეგირდები დაახასიათა



ანტონიო კონტეს თქმით, ანდრეა პირლო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია

„იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტს ესაუბრა და სხვადასხვა თემაზე საკუთარი შეხედულება გაუზიარა. ამ საუბრიდან ყველაზე საინტერესო მაინც შეგირდთა დახასიათება გახლდათ, რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ...

### ანდრეა პირლო

ჩემი აზრით, ანდრეა პირლო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია და თუ რამე ბუცი, ბურთი და თასი არსებობს, ყველაფერი მას ეკუთვნის. როდესაც მოედანზეა, მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ გუნდი გამართულ ფეხბურთს ითამაშებს. ვგონებ, ანდრეასგან კარგი მწვრთნელიც დადგება და იმედია, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, მწვრთნელობას მიჰყოფს ხელს.

### პოლ პოგბა

მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ უკვე ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე. ყველაზე უფრო საინტერესო კი ისაა, რომ უნივერსალური თვისებებით გამოირჩევა და სხვა არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში. არჩევანი სხვა რგოლებშიც მაქვს და საკადრო პრობლემებს არ ვუჩივი, თორემ პოლ პოგბას გამოყენება თავდასხმაშიც შეიძლება. რაც მთავარია, მას მომატების რესურსი აქვს და ადგას კიდეც პროგრესის გზას.

### არტურო ვიდალი

ვიდალის ყაიდის ფეხბურთელებზე ამბობენ, რომ შავ სამუშაოს ასრულებს და არ ჩანსო... არტუროს პლუსი კი ის გახლავთ, რომ შავ სამუშაოსაც ასრულებს, ჩანს კიდეც და ყველა ასპექტში ძლიერია. თანაბრად კარგია დაცვით და შეტევით ფაზაში, რაც იშვიათი უნარია. არტურო იშვიათი ფიზიკური მონაცემების პატრონია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესო მთელ მსოფლიოში. პრაქტიკულად არასდროს იღლება და მისი ეს თვისება ჩემში გაოცებას იწვევს. ვარჯიშების შემდეგ, საწვრთნელ ბაზაზე რჩება და კიდევ ორი საათი იტვირთება. არ იფიქროთ ბურთით ერთობოდეს, ტრენაჟორებზე ვარჯიშობს, ან დარბის. მოკლედ, ვიდალი სამაგალითო სპორტსმენია, ნამდვილი პროფესიონალი, რომელიც გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია.

**ლაშა წიკლაური**

ამბები


ჟოზე და ჟოზე მარიო მოურინიოები

## მოურინიოს შვილი ფულჰემში ითამაშებს!

„ფულჰემმა“ ძალზე საინტერესო ტრანსფერი სრულყო: ინგლისურმა კლუბმა მადრიდის „რეალიდან“ **ჟოზე მოურინიო** გადაიბირა! არა, არაფერი გვეშლება: ვგულისხმობთ 14 წლის **ჟოზე მარიო მოურინიოს**, რომელიც დიდი ჟოზეს შვილია და რომელმაც „ფულჰემთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. უმცროსი მოურინიო მეკარე გახლავთ. მისი ბაბუა, **ფელიქს მოურინიოც** მეკარე იყო და პორტუგალიის ნაკრებშიც უთამაშია, მამამისმა კი, მოგეხსენებათ, მწვრთნელის რანგში გაითქვა სახელი. ჟოზე მარიო მოურინიო აქამდე „რეალის“ ბავშვთა გუნდში ირიცხებოდა, ახლა კი „ფულჰემშია“...

## პოდოლსკი: მესუთი და მე ლონდონს გადავრევთ!

„არსენალის“ გერმანელი შემტევი **ლუკას პოდოლსკი** გახარებულია იმით, რომ ლონდონურმა კლუბმა „რეალიდან“ მისი თანამემამულე **მესუთ იოზილი** გადაიბირა და დარწმუნებულია, რომ მესუთი ლონდონურ კლუბში შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს.

„ერთი რამ უკვე დანამდვილებით ვიცი: მესუთი და მე ლონდონში ბრწყინვალე შოუებს დავდგამთ! - ამბობს 28 წლის პოდოლსკი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - როცა გავიგე, რომ იოზილი ჩვენთან გადმოდიოდა, სიხარულისგან ვილრიალე. მესუთის სახით „არსენალში“ ჩემი მეგობარი და გენიალური ფეხბურთელი გადმოვიდა.“

ლუკასი დარწმუნებულია, რომ იოზილი „მეთოფეებს“ და ზოგადად ინგლისურ ფეხბურთს ძალიან მალე შეეწყობა: „ჩვენ ახლაც კარგ ფეხბურთს ვთამაშობთ და ერთადერთი, რაც გვაკლდა, სწორედ მესუთის დარი გამთამაშებელი იყო.“

შეგახსენებთ, რომ პოდოლსკისთან და იოზილთან ერთად, „არსენალში“ გერმანიის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, მცველი **პერ მერტეზაკერიც** თამაშობს. „პრინცი პოლდი“ არ გამორიცხავს, რომ ლონდონური კლუბი ზამთარში კიდევ რომელიმე ბუნდესგუნდელით გაძლიერდეს - ცხადია, რომ **არსენ ვენგერს** გერმანელი ფეხბურთელები ძალიან მოსწონს. თავად ლუკასს ახლა ტრავმა აქვს და ფეხბურთს სამი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს.

## გვარდიოლა და ვილანოვა შერიგდნენ?

როგორც იცით, „ბარსელონას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ტიტო ვილანოვა ხოსეპ გვარდიოლაზე** განაწყენებული იყო იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ტიტო ამერიკაში მკურნალობისას არ მოინახულა (ვილანოვას სიმსივნე აქვს). ჩვენი ესპანელი კოლეგების ინფორმაციით, 42 წლის გვარდიოლამ ცოტა ხნის წინ 44 წლის ვილანოვას ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა, ბოდიში მოუხადა და შეხვედრა სთხოვა. გაზეთი „სპორტი“ წერს, რომ ტიტომ პეპს დაგვიანებით, მაგრამ უპასუხა და უახლოეს მომავალში მათი შეხვედრა იგეგმება.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრავმა

## რადუ ორ თვეს გამოტოვებს

„ლაციოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ცნობის თანახმად, გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე **სტეფან რადუმ** ტრავმა მიიღო და ექიმთა დიაგნოზით, ორი თვე უქმად ყოფნა მოუწევს. 26 წლის რუმინელი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია, სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ორივე ტურში მიიღო მონაწილეობა და იტალიის სუპერთასზეც ითამაშა. რადუმ ტრავმასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი გააკეთა:

„როგორც ექიმებმა მითხრეს, დაახლოებით რვა კვირის გამოტოვება მომიწევს. ყველანაირად ვეცდები, რომ ყველა რჩევა გავითვალისწინო, რათა მოედანს, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე. სეზონის ტრავმით დაწყება ცუდი ამბავია, მაგრამ დროს უკან ვერ დავაბრუნებთ“.

**ლაშა წიკლაური**


სტეფან რადუმ ვარჯიშზე მძიმე ტრავმა მიიღო

მოსაზრება



ჰენრიხ მხითარიანი დორტმუნდის ბორუსიას ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი გახდა

# მხითარიანი: ფეხბურთი ჭადრაკივითაა!

ჟურნალ „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დორტმუნდის „ბორუსიას“ სომეხმა ვარსკვლავმა **ჰენრიხ მხითარიანმა** თავის საფეხბურთო ფილოსოფიაზე ისაუბრა და ფეხბურთი ჭადრაკს შეადარა. გამთამაშებელი, რომლის სანაცვლოდაც დორტმუნდელებმა დონეცკის „შახტარს“ 27.5 მილიონი ევრო გადაუხადეს, რითაც მხითარიანი „ბორუსიას“ ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი გახდა, მიიჩნევს, რომ ისევე, როგორც ჭადრაკში, ფეხბურთშიც ყველა სვლა კარგად გააზრებული უნდა იყოს. გარდა ამისა, 24 წლის მხითარიანმა აღნიშნა, რომ „დორტმუნდს“ დიდი ხანია თვალყურს ადევნებს.

*„ფეხბურთს პირადად მე ჭადრაკივით ვთამაშობ. ბევრი უნდა იფიქრო და ბევრი რამ წინასწარ უნდა გათვალო. სანამ სვლას გააკეთებ, იცოდე, რას აკეთებს ან რას გეგმავს შენი მეტოქე,* - აცხადებს მხითარიანი „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, - *როცა შეცდომას დაუშვებ, მეტოქე აუცილებლად დაგსჯის და თამაშს წააგებ.“*

მხითარიანის აზრით, ფეხბურთში ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავდროულად საშიში ზონა ცენტრია: *„უმეტესად სწორედ ცენტრიდან უტევენ და ცენტრიდან იცავენ თავს. ფეხბურთი ჭადრაკს ამითაც ჰგავს,* - ამბობს ჰენრიხი და ეს იმას ნიშნავს, რომ ის ცნობილ გერმანელ მწვრთნელ **ფელიქს მაგათს** ეთანხმება, რომელმაც 2008 წელს თქვა, ყველა სპეციალისტს ვურჩევ, ფეხბურთშიც ჭადრაკის წესებით იმოქმედოსო.

ჩვენს გერმანელ კოლეგებს მხითარიანმა ისიც უთხრა, რომ „ბორუსიას“ ფაქტობრივად ბავშვობიდან ადევნებდა თვალყურს და დორტმუნდელი ფანები ყოველთვის განსაკუთრებით მოსწონდა: „ბორუსიას“ ყველა ფეხბურთელი ვიცოდი. „დორტმუნდს“ ინტენსიურად იმ დროიდან ვაკვირდებოდი, როცა ამ გუნდში **იან კოლერი, ტომაშ როსიცკი** და **მარსიო ამოროზო** თამაშობდნენ.“

**გოტფრიდ ლენცი**

თავდამსხმელი

# გომესი: რეალს უარი ვუთხარი!

## მარიომ მადრიდში სკამის ხეხვას ფლორენციაში თამაში ამჯობინა

გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა **მარიო გომესმა** ფლორენციული კარიერა მშვენივრად დაიწყო: 28 წლის ცენტრფორვარდმა მეორე შეხვედრაში დუბლი შეასრულა და მთელ ფლორენციას მისი იმედი აქვს. „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გომესმა განაცხადა, რომ ზაფხულში მადრიდის „რეალშიც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ „სამეფო გუნდს“ უარი შეუთვალა და გადაწყვეტილება „ფიორენტინას“ სასარგებლოდ მიიღო.

*„დიახ, კარლო ანჩელოტის ჩემი გადაბირება უნდოდა. იტალიელ სპეციალისტს პირადად ვესაუბრე. მან მითხრა, რომ „რეალში“ ვჭირდებოდი, მე კი ვუთხარი, რომ დავფიქრებოდი, რადგან ჩემს ოჯახში ყველა „რეალის“ გულშემატკივარია. მოგვიანებით მივხვდი, რომ „ფიორენტინაში“ თამაში მიჯობდა, რადგან „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ბენზემასთან უნდა მებრძოლა. ანჩელოტის ინტერესისთვის მადლობა და უარი შევუთვალე,“* - აცხადებს გომესი ხსენებულ ინტერვიუში.

როგორც მიხვდით, მარიომ „რეალში“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ფლორენციაში მუდმივად თამაში ამჯობინა, რადგან წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და არ უნდოდა, გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრა რისკის ქვეშ დაეყენებინა.

**გოტფრიდ ლენცი**



მარიო გომესი ფიორენტინაში ბედნიერია

ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი უზნაძესთან

# უზნაძე: სტაბილური გუნდი გვყავს

**ჩვენი ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების ბრაზილიური ოდისეის შესახებ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ - პირად პირველობაში ორი ვერცხლი მოვიპოვეთ, რასაც გუნდურ ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონობაც დავუმატეთ. მედალოსნები ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და ვალერი ლიპარტელიანი (90) გახდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი ფინალი აქამდეც გვიჭიდავია - ისევ იმავე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში 2007 წელს, თუმცა ამჯერად ოთხი ნახევარფინალისტი გვყავდა, რაც პირველი შემთხვევა იყო და რაც მთავარი მწვრთნელის ირაკლი უზნაძის ახალი მიღწევაა ევროპის ტრიუმფალური პირველობის შემდეგ. უზნაძე ინტერვიუში მსოფლიოს ჩავლილი ჩემპიონატის შესახებ გვესაუბრება.**

**- ხართ კმაყოფილი ამ ჩემპიონატით, რამდენად გაამართლა თქვენი იმედები?**

- ვფიქრობ, ინდივიდუალურ პირველობაში ჩვენი გამოსვლა საშუალოზე უკეთესი იყო. წარმატებული თუ არა, არც წარუმატებელი ყოფილა. მით უფრო, მსოფლიოს წინა პირველობას თუ გადავხედავთ, სადაც ერთი მედალი მოვიპოვეთ, დანარჩენებმა კი საწყის ეტაპზევე წააგეს. ახლა 7 წონიდან 4-ის ნახევარფინალში ვიჭიდავეთ, რაც გუნდის სტაბილურობაზე მიუთითებს. თან მსაჯების არაობიექტურობა რომ არა, ჩემპიონიც გვეყოლებოდა.

აქედან გამომდინარე, გუნდი კარგად იყო მომზადებული. ცხადია, უშეცდომო არავინაა და პატარ-პატარა შეცდომები ჩვენც გვქონდა. მაგალითად, წამიერი მოდუნებები. თან ევროპის პირველობისგან განსხვავებით, ამჯერად ყველა მათგანზე დავისაჯეთ. შეცდომები ევროპაზეც მოგვდიოდა, მაგრამ მაშინ გვიმართლებდა და ამას შედეგზე არ უმოქმედია, ახლა კი ვინ იფიქრებდა, ვთქვათ, ამირან პაპინაშვილის 24 წამში წაგებას? ვფიქრობ, ჩვენებს ეს შეცდომები უფრო ფსიქოლოგიის გამო მოუვიდათ. ალბათ, არც ესაა გასაკვირი, რადგან ახალგაზრდული გუნდია და მსოფლიოს ჩემპიონატის მედალი დღემდე არავის ჰქონდა. მხოლოდ ნუგზარ ტატალაშვილის წაგების მიზეზია ცოტა განსხვავებული, რომელმაც ერთ მომენტში მეტოქის ილეთისას თავი დაარტყა და გაითიშა. ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა და თუ დააკვირდით, ტატამზე შემოსვლისას ფეხიც კი აერია. სამაგიეროდ, გუნდურში კარგად იასპარეზა და ორივე შეხვედრა ძალიან პრინციპული მოიგო, ძალიან საჭირო დროს.

**- სამწვრთნელო შტაბს რა დაგანახვათ ამ ტურნირმა მომავალში გამოსასწორებლად?**

- კიდევ უფრო მეტი უნდა ვივარჯიშოთ და დავხვეწოთ ყველა კომპონენტი, რომ 4 ნახევარფინალისტი და 22 ვიცეჩემპიონი კი არა, 4 ფინალისტი და ამდენივე ჩემპიონი გვყავდეს. თუმცა აქამდე ეტაპობრივად უნდა მოვუმატოთ, თორემ ისეთი დიდი ნახტომიც არ ხდება, წინა მსოფლიოზე 1 მედალი გქონდეს, ისიც ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მოგებული, და 1-2 წელიწადში შვიდივე წონაში მედლისთვის ვიჭიდაოთ. სხვა გუნდებს თუ გადავხედავთ, სტაბილურობით მხოლოდ იაპონია და საფრანგეთი თუ მოგვედრება, თორემ დანარჩენებს თითოოროლა კარგი სპორტსმენი ჰყავდათ და არა მთელი ნაკრები.

**- საინტერესოა, ჩემპიონატის წინ რას გეგმავდით?**

- მე წასვლამდეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ყველას შეეძლო მედლისთვის ბრძოლა. რომ არა ის დასანანი პატარ-პატარა შეცდომები, ასეც იქნებოდა. ამასთან, ახლა იღბალიც და მსაჯებიც ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ. ევროპაზე 1-2 ეპიზოდზე თუ გვექნება არბიტრებზე სასაყვედურო, ახლა კი ლევან ნიკლაურს, ავთანდილ ჭრიკიშვილს და ლომერ ჟორჟოლიანს მათ წააგებინეს. ზებედა რეხვიაშვილსაც ლამის გაგუდული კაცი გააშვებინეს.

**- ჭრიკიშვილთან პიეტრი რომ გასაფრთხილებელი იყო, გეთანხმებით, მაგრამ თვითონაც ხომ არ ანერვიულდა? მაინც ახალგაზრდაა და პირველად უნდა ეჭიდავა ასეთ დონეზე. მით უფრო, გუნდურში იოლად მოუგო პიეტრის.**

- აქ ნერვიულობა არაფერ შუაშია. მიზეზი უფრო ისაა, რომ ავთომ ნახევარფინალში იჭიდავა ძნელი შეხვედრა რუს ივან ნიფონტოვთან, ამის შემდეგ კი მალევე მოუწია ფინალში გასვლამ და ძალების აღდგენა ვერ მოასწრო. ნიფონტოვთან ჭიდაობამ დიდი ენერგია წაიღო, თუმცა არა მხოლოდ ჩვენებურის - რუსმა ბრინჯაოსთვის ვერ იჭიდავა. ჭრიკიშვილი ერთი თავით ჯობდა დანარჩენებს, მაგრამ ერთმა შეცდომამ წააგებინა - ერთ მომენტში გაუშვა ილეთი, რომელიც ვერ გაქვითა, მსაჯმა კი ფრანგის გაფრთხილება არ ინება.

**- ცოტა ერთფეროვანიც ხომ არ იყო მასთან შეხვედრაში? მით უფრო, გუნდურში უფრო აქტიური იყო, რამაც შედეგი გამოიღო.**

- გუნდურშიც იმავე სტილით ეჭიდავა, ხოლო აქტიურობას რაც შეეხება, ორგანიზმმა არ მისცა მეტის საშუალება. ნიფონტოვის შემდეგ თვითონაც ამბობდა, რომ ხელები დაელალა. ამის მიუხედავად, მეტოქეს ჭიდაობით მაინც აჯობა, მაგრამ ვერ ავიდა იმ დონემდე, რაც მსაჯებსაც დააძლევინებდა.

**- ლიპარტელიანთანაც ხომ არ იყო ეს ნაადრევი ფინალის მომენტი? ნახევარფინალში ხომ იმანაც უხერხულ მეტოქეს, რუს კირილ დენისოვს მოუგო.**



- შეჯიბრებაზე ყველა მეტოქე პრინციპულია და ყველასთან უნდა იბრძოლო. საბედნიეროდ, ჩვენები საამისოდ მზად იყვნენ. ლიპარტელიანმა მთელი ტურნირი უშეცდომოდ ჩაატარა. დენისოვთან მას აქტიურობა დავავალეთ, იმის შეცდომებს არ უნდა დალოდებოდა. ამან გაამართლა - პირადშიც და გუნდურშიც. როცა კაცთან 6 შეხვედრა გაქვს წაგებული და მასთან მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალს ჭიდაობ, დატვირთვა ორმმაგდება. თუმცა წარმოიდგინეთ, ლიპარტელიანი რა დონეზე იყო მზად, ასეთ მეტოქეს ორჯერ რომ მოუგო.

ფინალს რაც შეეხება, გონსალესი არაა ხელწამოსაკრავი ფალავანი. პირიქით - ერთ-ერთი ლიდერია ამ წონაში და ისიც ბევრს ნიშნავს, რომ ნახევარფინალში ჯარჯი ზვიადაურს მოუგო. სამწუხაროდ, ლიპარტელიანმა გასაღები ვერ მოარგო, თორემ ვერ ვიტყვი, რომ მცდელობა დააკლო ან მზად არ იყო.

**- ფინალისტებმა კარგი თვისებები გამოავლინეს - ლიპარტელიანი უფრო დინჯი და დაღვინებულია, შედეგზე ჭიდაობს და არა ძველებურად იპონით მოგებაზე, ჭრიკიშვილმა კი სისწრაფე, კარგი კოორდინაცია აჩვენა.**

- ისინი ნაკრების ჩვეულებრივი გრაფიკით ვარჯიშობდნენ, ამ თვისებების გამოსამუშავებლად საგანგებოდ არ ვმუშაობდით. ლიპარტელიანს გამოცდილება ემატება, ჭრიკიშვილი კი დღითი დღე უმატებს, თუმცა ამის თქმა ყველაზე შემიძლია. ერთადერთი, ოქრუაშვილს ეტყობა ცოტა უკუსვლა ევროპის პირველობასთან შედარებით, რაც ზედმეტმა წონამ გამოიწვია.

**- ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილის წაგების მიზეზი ქომაგს განსაკუთრებით აინტერესებს...**

- მცირე ასაკის მიუხედავად, ის ნამდვილი პროფესიონალია და მზადების პროცესში ყველაფერი გააკეთა მოსამზადებლად, ამ შეჯიბრებისთვის გაათკეცებულად ემზადებოდა. სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ იხარჯებოდა, რადგან საზარდული ისევ აწუხებს. მოგეხსენებათ, მან ოპერაცია გაიკეთა, თუმცა როგორც ექიმები გვეუბნებიან, ახლა ტრავმის ახალი კერაა, რომელიც გვარიანად აწუხებს. ყოველი ვარჯიშის წინაც და შემდეგაც დაახლოებით ნახევარსაათიანი პროცედურა სჭირდებოდა, ასეთი რეჟიმი კი ცუდად მოქმედებს სპორტსმენზე. ამას დაემატა ზედმეტი წონა, თუმცა მაინც მგონია, რომ პირადში არ იყო ცუდად მომზადებული. უბრალოდ, არ გაუმართლა და ერთ შეცდომას ემსხვერპლა, თორემ ბრიტანელი კოლინ ოუტსი არაფრით არ სჯობდა მას. აი, გუნდურში ისევ მოუწია დაახლოებით 6-7 კილოგრამის დაკლებამ ანუ ერთ ტურნირზე ორჯერ დაიკლო, რაც ძალიან გაუჭირდა. ბოლო 1 საათი ისე ირბინა, ოფლი აღარ გამოსდიოდა. არც კი გვეგონა, ჭიდაობას თუ შეძლებდა, მაგრამ გუნდის ინტერესისთვის თავი გადადო. ამ მაგალითმა, ასეთმა მონდომებამ ბიჭებზეც იმოქმედა და სწორედ ამის შედეგია გუნდურში გამარჯვება.

**- შავდათუაშვილმა ადრე განაცხადა, რომ წონის შეცვლას აპირებს. რამდენად რეალურად განიხილება ეს საკითხი და თქვენი აზრი როგორია?**

- ჯერჯერობით ორივე ვარიანტი განხილვის პროცესშია და ვნახოთ, რომელი გადაწონის. ჩემი აზრით, მაინც მოზარდია და წონის გამოცვლა აჯობებს, თუმცა ჯერ სპორტსმენს უნდა დაველაპარაკო და მისი აზრი გადაჭრით გავიგო.

**- გუნდურ პირველობაზეც ვისაუბროთ, რომელსაც, ალბათ, დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა.**

- გუნდი მთელი წლის შედეგებით იმსახურებდა ამას - ყველა ტურნირზე ლიდერად იყო ჩამოყალიბებული. ძლიერ შეჯიბრებაზე, სადაც გამოვედით, ყველგან რეკორდი მოვხსენით - ევროპის პირველობაზე, მასტერსზე, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზეც. რამდენადაც ვიცი, ბრაზილიაში 4 ნახევარფინალისტი არავის ჰყოლია. ჩვენს გამარჯვებას რეზონანსიც დიდი ჰქონდა და ასეთი გამოთქმაც გავრცელდა, ძირითადად რუსების საყურადღებოდ, რადგან მათ პირადში 4-ჯერ ვაჯობეთ - ქართველთან შეხვედრაში ბოლო წამამდე უნდა ელოდო, რომ მოგიგებსო. მგონი, ეს დიდი კომპლიმენტია იმ ნაკრებისთვის, რომელიც 3 წუთზე მეტს ვერ ჭიდაობდა. თან შემადგენლობით ძლიერი შეჯიბრება იყო - ყველა გუნდი ლიდერებით გამოვიდა, ჩვენ კი უძნელეს ჯგუფში მოვხვდით საფრანგეთთან, იაპონიასთან, მონღოლეთთან და უზბეკეთთან ერთად.

**- ლიპარტელიანი-დენისოვის სკანდალურ შეხვედრაზე რას იტყვით?**

- სათქმელი არაფერია, რადგან ჩვეულებრივი საჭიდაო ეპიზოდი იყო, ხოლო თუ დასჯაზეა საუბარი, მაშინ ის უნდა დასაჯონ, რადგან მატჩის შემდეგ დაიწყო მტკივნეული ილეთი. გაფრთხილება და სასჯელი იმას ეკუთვნოდა, მათი მწვრთნელი კი ამ თემაზე სასაუბროდ ჩემთან ვერ მოვიდოდა, რადგან სათქმელიც არაფერი აქვს.

**ირაკლი თავაძე**

ევრობასკეტი 2013
წარმოგიდგენთ
europe-bet.com

# რა ცოტა დაგვაკლდა

« მე-8 გვერდიდან

როგორც გითხარით, ჩვენმა მეტოქემ 22-დან 11 სამიანი გამოიყენა. ამ მხრივ ძალიან გაუჭირდა მესამე პერიოდში (მხოლოდ ორი სამიანი), საპირისპიროდ, საქართველოს ნაკრებმა თამაში იპოვა და მიუხედავად ანგარიშის ხშირი ცვალებადობისა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ შეხვედრას ჩვენი გუნდი აკონტროლებდა.

და. შეიძლება, ზოგის აზრით, უმჯობესი იყო ბოლო წამებზე ჰიკმანს აელო თამაში საკუთარ თავზე. თუმცა მწვრთნელმა სრული კარტ-ბლანში **გიორგი ცინცაძეს** მისცა, რომელიც მეოთხე პერიოდში აფეთქდა. თავად განსაჯეთ: თუ საწყის 30 წუთში „ბუს" ანგარიშზე 12 ქულა იყო, მეოთხე მეოთხედში ერთბაშად 13 ჩააგდო. იგი **ტონი პარკერივით** თავისუფლად შედიოდა მეტოქის ფარქვეშ და შეტევებს შედეგიანად ასრულებდა. ხოლო სირენამდე 5:36 წუთით ადრე (6




მეოთხე პერიოდში ხორვატებმა კვლავ სამიანებით სცადეს თამაშის კალაპოტის სათავისოდ შეცვლა. ამ მხრივ ნატურალიზებული **დონტა დრეპერი** გამოირჩეოდა. თუმცა საქართველოს ნაკრებიც ბოლომდე გაიხსნა. თუ მანამდე ყველა მეოთხედი ათიანებში ტრიალებდა, მეოთხეში ორივე გუნდი 20 ქულას ასცდა.

## ბუ

ბოლო წამებზე რაც მოხდა, ქრონოლოგიაში აუცილებლად იხილავდით. ასეთი დრამა ხომ იშვიათად თამაშდება. აქ ყურადღებას ერთ ნიუანსზე გავამახვილებთ: მიუხედავად იმისა, რომ პირველ პერიოდში თამაშში კარგად ჩაერთო რიკი ჰიკმანი, ბოლო მეოთხედში შეტევა მასზე იშვიათად ეწყობოქულით ვაგებდით) შორი მანძილიდან მეტოქის კარგი დაცვის მიუხედავად, იმდენად ეფექტური სამქულიანი ჩააგდო, ხორვატთა მწვრთნელ ჟასმინ რეპეშას ათქმევინა - ეს ჩვენთვის შოკი იყოო. საქართველოს ნაკრების ოთხი ევროლიგელი რომ ვახსენეთ, გიორგი ცინცაძე არ გვიგულისხმია, რადგან ევროლიგის გუნდში აქამდე არ უთამაშია. მან საკუთარი მაღალი კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა. სხვათა შორის, ევროჩელენჯის მეოთხედფინალიდან 2008 წელს „ურალ გრეიტი" ჰყავს გამოთიშული: მეოთხე პერიოდში 15 ქულა ჩააგდო.

ჰოდა, როცა კალათბურთელს თამაში მისდის, მატჩის გადამწყვეტი ტყორცნაც მას უნდა მიანდო. მას მერე, რაც გუშინდელ შეხვედრაში სირენამდე 9 წამით ადრე **ანტე ტომიჩმა** („რეალი") მარცხენა ხელით ორქულიანი ჩააგდო (77:76) ცინცაძემ ბურთი სწრაფად გაიტანა (მწვრთნელს წუთშესვენებების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა) მეტოქის ნახევარზე, ფარქვეშ შევიდა, მაგრამ მატჩის გმირობამდე ცოტა დააკლდა - ბურთი კალათში არ ჩაეშვა.

## გეორგია, გრუზია, საქართველო

...თუმცა სიტყვა „გმირს" სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ქვეყნის სახელი მსოფლიოში რომ გაგაქვს, ეგ არ არის გმირობა? ქართველ კაცს შუა ევროპაში, ევროპის ჩემპიონატისას ქვეყნის დროშიანი მაისურა რომ აცვია და გამვლელ-გამომვლელი ცერით ანიშნებს, კარგები ხართო, ეს არაფერს ნიშნავს? მედიაცენტრში ესპანელი, ხორვატი, სლოვენიელი თუ პოლონელი ჟურნალისტები გვეკითხებიან: „ჯორჯია" თქვენს ენაზე როგორ გამოითქმისო. სიტყვა „საქართველოს" თავის წიგნაკში გარკვევით იწერენ. რომ არა ჩვენი ნაკრების გულიანი თამაში, ვის დააინტერესებდა „ჯორჯია" და „გრუზია" სინამდვილეში საქართველო რომ არის?

## იგორ კოკოშკოვი:
# ვამაყობ

დროა მატჩის შემდგომ ამბებს მივხედოთ.

მანუჩარ მარკოიშვილი:

- საქართველოს ნაკრებს ისედაც მოკლე სათადარიგოთა სკამი აქვს და ასეთ სიტუაციაში ჩემი სუსტი თამაში ძალიან ცუდი იყო. საკუთარ თავზე ვბრაზდები. ვეცდები მომდევნო მატჩისთვის გუნდს მაქსიმალურად გამოვადგე. ამ წაგებით არაფერი გადაწყვეტილა, სამი შეხვედრა გველის და ყველას დავანახვებთ, რომ მაღალი დონის გუნდებთან თამაშიც შეგვიძლია და გამარჯვებაც.

გიორგი ცინცაძე:

- ლამაზი შეხვედრა გამოდგა. კალათბურთში ასეა, ხან მოიგებ, ხან წააგებ. დასანანია, რომ ასეთი თამაში ჩვენს სასარგებლოდ არ დასრულდა. ასევე უნდა გავაგრძელოთ. 7 სექტემბერს მასპინძელ სლოვენიას ვეთამაშებით და მანამდე ერთდღიანი დასვენება ნამდვილად სასარგებლო იქნება.

იგორ კოკოშკოვი:

- დავეთანხმები გიორგის, ასეთი კალათბურთის ხილვით ბევრი ისიამოვნებდა. ვამაყობ ჩემი კალათბურთელებით, რომლებმაც ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ ღირსეულად იბრძოლეს. ხორვატიის ნაკრები თანაბრად დაბალანსებული გუნდია, კარგი ტანმაღლებიც ჰყავს და უკანახაზელებიც. ხშირ შემთხვევაში დაცვისას ზონას მივმართავდით და მეტოქისთვის თავისუფლად გადაადგილების საშუალება არ მიგვიცია. რაც შეეხება ბოლო წამებს, ვიცოდით, რომ ტომიჩი მარცხენა ხელით კარგად ისვრის, მაგრამ ერთ კონკრეტულ მომენტს წაგების მიზეზად ვერ დავასახელებ. ბოლო მეოთხედში გიორგი ცინცაძემ ეფექტურად ითამაშა. მას კარგად ვიცნობ და შეუძლია თამაშის საკუთარ თავზე აღება. ამიტომაც თავისუფლება მივეცი და დაინახეთ, რამდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

ანტე ტომიჩი:

- ამ მატჩის წაგება არ შეიძლებოდა, ფასეული გამარჯვება მოვიპოვეთ. ურთულესი ბრძოლა გადავიტანეთ. მოგებათა სერია უნდა გავაგრძელოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● კრივი



სოფო ფუტკარაძე

# მსოფლიო რინგზე ფანჯრის გასაჭრელად

**ქართული სპორტის ისტორიაში პირველად ქართველი პროფესიონალი მოკრივე ქალი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებს**

პროფესიულ კრივში ქალთა შორის WBF-ის (World Boxing Federation) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად დღეს გერმანიის ქალაქ საარბრიუკენში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან 63,5 კილოგრამი წონითი კატეგორიის პროფესიონალი მოკრივეები - თბილისელი **სოფო ფუტკარაძე** და როლა ელ ჰალაბი (გერმანია). ეს უკანასკნელი წარმოშობით ბეირუთელია, პროფესიულ რინგზე 13-დან 12 ბრძოლა აქვს მოგებული, WIBF-ის, WIBA-ს ტიტულებისა და WBF-ის ქამრის მფლობელია და მის დაცვას, სწორედ დღეს შეეცდება.

სოფო ფუტკარაძემ პროფესიულ რინგზე 8-დან 6 შეხვედრა მოიგო და 2 ფრედ დაამთავრა. იგი პირველი პროფესიონალი მოკრივე ქალია, რომელიც საერთაშორისო ორთაბრძოლას ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართავს. ამ პაექრობისთვის ფუტკარაძე ორი თვის განმავლობაში ემზადებოდა და ყველაფერს ილონებს, რათა ჰალაბის ტიტული ჩამოართვას.

**ვაჟა დანელია**

● კრივი

# მსოფლიოზე 11-კაციანი გუნდით

ხვალ უკრაინის დედაქალაქ კიევში საზეიმოდ გაიხსნება ჭაბუკ მოკრივეთა მსოფლიოს პირველობა და ხვალვე პირველი ოფიციალური ორთაბრძოლებიც გაიმართება სხვადასხვა წონით კატეგორიაში. საკვალიფიკაციო პაექრობები ხუთ დღეს გასტანს. 12 აგვისტოს მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდება. 13-ში დასვენების დღეა. 14 და 15 სექტემბერს, შესაბამისად, ნახევარფინალური და გადამწყვეტი ორთაბრძოლებია დაგეგმილი.



შეჯიბრებაზე იასპარეზებს საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **თემურ ლორთქიფანიძე**), რომელიც უკრაინის დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: **გიორგი ჩარგაზია** (46), **გიორგი მანჯავიძე** (48, ორივე - ფოთი), **გაგიკ პოზოიანი** (50, ახალქალაქი), **ვალერი ბოყოველი** (52, ჭიათურა), **ჯოტო თაბოშვილი** (54, ერედვი), **ესკერხან მადიევი** (57, თბილისი), **თორნიკე ხელაძე** (60, ქუთაისი), **თარაშ კანდელაკი** (63, ვარიანი), **გიორგი ხარაბაძე** (66, ქუთაისი), **რატი ტლაშაძე** (75, გორი), **იაგო გედენიძე** (80, თბილისი).

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი




# ნონას თასი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 8-17 სექტემბერს ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი გათამაშდება. საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდია 35.000 ლარი. ვაჟებში გამარჯვებული 5.000 ლარით დაჯილდოვდება, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 3.000-2.000-1.500 და 1.000 ლარს დაიმსახურებენ. პირველ-მესამეადგილოსანი ქალებისთვის 3.000-1.500-1.000 ლარია გათვალისწინებული. ცალკე გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები 14 და 16-წლიან გოგო-ბიჭებში, რომლებსაც, ასევე, ფულადი პრიზები გადაეცემათ.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება. პირველი ტურის პარტიები 9 სექტემბერს 15 საათზე დაიწყება.

**ვაჟა დანელია**

● თარიღები და მოვლენები

**06-08 სექტემბერი**

**06. 1913.** დაიბადა **გიორგი ანთაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს

**06. 1950.** დაიბადა **თამაზ თევზაძე** - სპორტის მოღვაწე

**06. 1959 წ. ფეხბურთი.** სსრ კავშირის ნაკრებში პირველად ითამაშა **მიხეილ მესხმა** და გოლიც გაიტანა

**06. 1980.** დაიბადა **თედო ზიბზიბაძე** - რაგბი

**06. 2003.** ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოს ნაკრებმა ალბანელებს 3:0 მოუგო თბილისში

**07. 1936.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი შინ კიეველ თანაგუნდელებთან ჩაატარა (2:2)

**07. 1968.** დაიბადა **კახი ცხადაძე** - ფეხბურთი

**07. 2005.** ძიუდოისტმა **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე) ეგვიპტეში ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიგო

**08. 1958.** დაიბადა **პეტრე ჩევარდოვი** - ველოსპორტი (ტრეკი)

**08. 1977.** ფიდეს კონგრესის გადაწყვეტილებით დაწესდა ჭადრაკში **ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თასი

**08. 2004.** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. თბილისი. საქართველო - ალბანეთი 2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# შვიდი მოწინავე ჩვენია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მორიგი, მეოთხე ტურის შეხვედრები შუა კვირაში გაიმართა, რაც ძალზე იშვიათად ხდება. ასეთი ტური სეზონში, შესაძლოა, ორი ან სამი გამოერიოს. აღსანიშნავია, რომ „შუა კვირის ტურის“ შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველი შვიდი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებმა დაიკავეს.**

გათამაშებას სათავეში მოექცა ფრანგული რაგბის ბოლო წლების ლიდერი და ერთობ უცნაური გუნდი, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“, რომელმაც შინ დიდი ანგარიშით გაანადგურა ბასკური „ბაიონი“ - 55:0. „ვულკანებმა“ მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს. აქედან სამი სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელის **ჯერარდ ვოსლოოს** ანგარიშზეა.

ზირაქაშვილი დაშავებულია და არ უთამაშია. თუმცა „კლერმონის“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით ტრავმა სერიოზული არ არის და ის კვირას გასამართ მატჩში გუნდის შემადგენლობაში იქნება.

„ვულკანებს“ კვალში უდგას **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“, რომელმაც მე-4 ტურში შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **გოდერძი შველიძისა და კარლენ ასეიშვილის** „ბრივი“ - 62:12. მასპინძელთა ცხრა ლელოდან ორი მგზავად მოთამაშემეთ **გიტომ** მიითვალა.

ჩილაჩავა ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი მოედანზე 47-ე წუთიდან გამოჩნდა და ათ წუთში გაასინბინეს, სამი წუთის შემდეგ თამაშში მიქაუტაძეც ჩაერთო, შველიძე განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზეა საფრანგეთის ჩემპიონი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც საკუთარ მოედანზე **დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“ სძლია - 38:10. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ორი ქულის სხვაობით მოიგეს - 12:10. შესვენების შემდეგ კი, მეტოქეს მონაგრის გაზრდის იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს.

ქუბრიაშვილი თადარიგში იყო და თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო, ჟვანია და ფეიქრიშვილი ტრავმირებულნი არიან.

ლიდერებს დიდად არ ჩამორჩება **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“, რომელმაც შინ დამაჯერებლად სძლია **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს“ - 30:6. სამწუხაროდ, სერიოზული ტრავმა აქვს ვასილ კაკოვინს, რომლის ნაცვლადაც „ტულუზმა“ სამედიცინო ჯოკერის წესით სამხრეთაფრიკელი შერკინების ბურჯი **სხალკ ფერეირა** დაიმატა. დაშავებულია ბრეგვაძეც, თუმცა მისი ტრავმა შედარებით მსუბუქია.

ხინჩაგიშვილს „მეტრო რასინგის“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს.

წლეულს გასვლით მატჩში პირველი გამარჯვება მოიპოვა **მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ“. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო“ - 36:29. მონპელიელებმა თამაში თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და მე-13 წუთისთვის უკვე 13:0 იგებდნენ. ბორდოელებმა ნელ-ნელა თამაში გააუმჯობესეს, ანგარიშიც მალე გაათანაბრეს, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც შვიდი ქულის სხვაობით წააგეს - 23:16. ეს ჩამორჩენა მასპინძლებმა მატჩის ბოლომდე ვერ აღმოფხვრეს და გამარჯვება სტუმრებს დარჩათ.

სასიხარულოა, რომ ნარიაშვილმა ნელ-ნელა „მონპელიეს“ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. ის შერკინების მარცხენა ბურჯის პოზიციაზე გუნდში პირველი ნომერია. „ბორდოსთან“ მატჩში კვლავ ძირითადში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს. გორგოძე ტრავმირებულია, ნავროზაშვილი განაცხადში არ იყო.

**გიორგი ჟღენტის** „პერპინიანმა“ შინ დაამარცხა „გრენობლი“ 36:13 და ლიდერებს შორის გაერია. კატალონიელები ახლა 10 ქულით მეექვსე ადგილზე არიან. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 33-ე წუთზე შეცვალეს.

**I დივიზიონი**

**IV ტური**

კასტრი-სტად ფრანსე 38:10, ბორდო-მონპელიე 29:36, კლერმონი-ბაიონი 55:0, ოიონაქსი-ბიარიცი 24:22, პერპინიანი-გრენობლი 36:13, ტულონი-ბრივი 62:12, ტულუზი-მეტრო რასინგი 30:6.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 14 ქულა, 2. ტულონი - 13, 3. კასტრი - 12, 4. ტულუზი - 11, 5. მონპელიე - 11, 6. პერპინიანი - 10, 7. სტად ფრანსე - 10, 8. ბორდო - 9, 9. ბაიონი - 9, 10. ოიონაქსი - 8, 11. მეტრო რასინგი - 8, 12. გრენობლი - 8, 13. ბიარიცი - 6, 14. ბრივი - 5.

**V ტური**

მონპელიე-ტულუზი, ბრივი-ბაიონი, ბიარიცი-ტულონი, გრენობლი-ბორდო, ოიონაქსი-კასტრი, მეტრო რასინგი-პერპინიანი, სტად ფრანსე-კლერმონი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარცხნივ გიორგი ჟღენტი

საქართველოს ჩემპიონატი



აკადემია-ლელო

# სარაგბო სეზონის წინ

**„აკადემია“ 1983 წელს სამხატვრო აკადემიის ბაზაზე დაფუძნდა და უკვე 30 წელიწადია ქართული სარაგბო თემის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ დროის განმავლობაში კლუბს არაერთგზის ჰქონია აღმასვლაც და ჩავარდნაც. 2003 და 2004 წლებში გუნდი ძალიან ახლოს გახლდათ ოქროს მედლებთან, თუმცა ორივე შემთხვევაში ფინალში ხელი მოეცარა და მხოლოდ ვერცხლს დასჯერდა.**

**აკადემია**

„აკადემიამ“ გასულ სეზონში რეგულარული გათამაშება მეცხრე ადგილზე დაასრულა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ორრაუნდიანი დაპირისპირების გადატანამ მოუწია პირველლიგელ ქუთაისის „ბაგრატთან“. ეს ბარიერი კლუბმა იოლად დასძლია და უძლიერესთა შორის შეინარჩუნა ადგილი.

XXIV ეროვნული ჩემპიონატის წინა მოსამზადებელი შეკრება **პაატა ნარიმანაშვილის** გაწვრთნილმა გუნდმა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გაიარა, რომლის მიმდინარეობისას ერთი საწვრთნელი მატჩიც გამართა და „ლელოსთან“ ფრეს დასჯერდა. ზაფხულის სატრანსფერო ციებ-ცხელებისას კლუბი რამდენიმე წამყვანმა მორაგბემ დატოვა, თუმცა შევსებაც არანაკლები მივიდა.

**შერკინება**

გუნდის რიგები დატოვა და საფრანგეთში განაგრძობს კარიერას პირველხაზელი **მერაბ მაჩიტიძე**, თუმცა ახალგაზრდული ნაკრების წევრ **რამაზ მაზმიშვილს** და ქუთაისის „აიადან“ გადმოსულ პერსპექტიულ **ამირან წაქაძეს** ნამდვილად შეუძლიათ ამ დანაკლისის აღმოფხვრა. შერკინების კვაჭის პოზიციაზე კვლავინდებურად გამოცდილი **გიორგი ლამბაშიძე** იასპარეზებს. პრობლემატურია მეორე და მესამე ხაზი. ბოლნისის „ყოჩებში“ გადავიდა ახალგაზრდული ნაკრების მესამეხაზელი **ნიკა ჩხიკვაძე**. თუმცა, „ბათუმიდან“ **დავით ნიბლაძის** დაბრუნება მეტ-ნაკლებად მოაგვარებს ამ პრობლემას.

**უკანა ხაზი**

ესპანეთის ჩემპიონატისაკენ აიღო გეზი **შალვა მახარაშვილმა**, ხოლო მისმა ძმამ, **ივანემ** გლოსტერის სარაგბო კოლეჯს მიაშურა. შესაბამისად 9 და 10 ნომრის პოზიციებს სავარაუდოდ, **ჯიმი ლამბაშიძე** და **გიორგი ქოპილაშვილი** შეავსებენ. აქვეა უნივერსალი **გიორგი ჩაბრაძეც**. „აკადემიას“ შუამარბებად მთელ ჩემპიონატში ერთ-ერთი ძლიერი დუეტი ეყოლება, **ბესიკ წასიძე** და **გიორგი მარგიანი**. ფულბეკის პოზიციაზე **დავით მაკაროვი** იასპარეზებს.

აკადემიელთა უმთავრესი საზრუნავი სათადარიგოთა მოკლე სკამია, რომელიც ძირითადად სრულიად გამოუცდელი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. თუ გუნდმა შეძლო და სეზონის მიმდინარეობისას წამყვანი მოთამაშეების ტრავმებს თავი აარიდა, მაშინ წესით, არ უნდა გაუჭირდეს მთავარი მიზნის მიღწევა - უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

**სამწვრთნელო შტაბი**

მშვენივრად დაკომპლექტებული სამწვრთნელო შტაბი სწორი ტაქტიკური მონახაზისა და მიზანმიმართული სელექციის ხარჯზე ტრადიციულად ახერხებს გუნდის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას. მთავარი მწვრთნელი **პაატა ნარიმანაშვილია**, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში, ხოლო შემდეგ უკვე ეროვნულ ნაკრებში. მას ტრადიციულად უდიდეს დახმარებას გაუწევს „ბორჯღალოსანთა“ ყოფილი კაპიტანი და ვეტერანი მორაგბე **დიმა ობოლაძე**, რომელიც ძირითადად შერკინების მომზადებაზე იქნება ორიენტირებული.

**შემადგენლობა**

**პირველი ხაზი:** ლევან ბალდავაძე, ლაშა გეგია, ლევან კაპანაძე, რამაზ მაზმიშვილი, გიორგი ოზბეთელაშვილი, თამაზ ფეიქრიშვილი, გიორგი ლამბაშიძე, ამირან წაქაძე, გიორგი წვერავა

**მეორე ხაზი:** გიორგი ხაჯიშვილი, ლევან ობოლაძე, ლევან მოსეშვილი, გიორგი ნებულიშვილი, ვანო ბერიკაშვილი

**მესამე ხაზი:** დიმიტრი გოგოლაძე, ირაკლი ლუარსაბიშვილი, ალექსანდრე მალლაკელიძე, დავით ნიბლაძე, საბა შუბითიძე, გიორგი ჩაჩუა

**№9:** ლუკა ცირეკიძე, ჯიმი ლამბაშიძე

**№10:** გიორგი ქოპილაშვილი, გიორგი ჩაბრაძე

**№12-№13:** ბესო წასიძე, ზურაბ ცაგარეიშვილი, ილია მელაძე, გიორგი მარგიანი

**№11-14:** მიხეილ ჯოგლიძე, თორნიკე ადეიშვილი, ნიკა ადეიშვილი, ლევან კალანდარიშვილი, იოსებ მათიაშვილი, ზაურ სურამელი, გოგა უდესიანი, ირაკლი ჭელიძე, გიორგი ჭუაძე

**№15:** ნიკა ვახვახიშვილი, დავით მაკაროვი, გურამ სუთიძე.

**გიორგი ბარბაქაძე**

ჭაბუკთა A ლიგა

# ორი დაუმარცხებელი, აკადემია და აია 1

**განახლდა შეჯიბრება ჭაბუკთა A ლიგის გათამაშებაში. ორ A და B ჯგუფში მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. აღსანიშნავია, რომ თამაშების განახლების წინ A ჯგუფს ორი გუნდი, ქუთაისი 2 და ოზურგეთის „არწივები“ გამოაკლდა, B ჯგუფში კი, გარდაბნის „ივერია-მგლები“ აღარ ითამაშებენ.**

პლეი ოფში გასასვლელად A ჯგუფში სამი გუნდი იბრძვის. გათამაშების ლიდერი რუსთავის „ხარები“ შინ ეთამაშა პატარძეულის „ვეფხვებს“ და გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა - 90:0. ჯგუფის მეორე ფავორიტი თბილისის „ხულიგანა“ კი, მოულოდნელად დამარცხდა „არმიასთან“ - 3:21. მეორეადგილოსანი თბილისის „აკადემია“ ისვენებდა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე დაუმარცხებლად ასპარეზობენ თბილისის „აკადემია“ და ქუთაისის პირველი გუნდი, რომლებიც პირველობის ყველაზე რეალური კანდიდატები არიან.

**ჭაბუკთა A ლიგა**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| არმია-ხულიგანა | 21:3 |
| ხარები-ვეფხვები | 90:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხარები - 28 ქულა, 2. აკადემია - 26, 3. ხულიგანა - 22, 4. არმია - 16, 5. ყოჩები - 15, 6. ვეფხვები - 4, 7. იმერეთი - 1.

**XI ტური**

ვეფხვები-აკადემია
იმერეთი-ყოჩები

საკმაოდ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს პლეი ოფში გასვლისთვის B ჯგუფშიც. აქ ქუთაისის პირველ გუნდს და თბილისის „ჯიქებს“ თანაბარი, 32-32 ქულა დაუგროვდათ. თბილისურმა გუნდმა მეორე წრის პირველ მატჩში სტუმრად დაამარცხა ადიგენის „ტაო“ - 37:13. ქუთათურები ამჯერად ისვენებდნენ. მათ კვალში უდგას თბილისის „ლოკომოტივი“, რომელმაც დაძაბულ მატჩში მარცხი იწვნია „არმაზთან“ - 24:26. არმაზელებს ამ გამარჯვების შემდეგ პლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ.

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ტაო-ჯიქები | 13:37 |
| არმაზი-ლოკომოტივი | 26:24 |
| წიძარა-ჯვაროსნები | 5:9 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 1 - 32 ქულა, 2. ჯიქები - 32, 3. ლოკომოტივი - 27, 4. არმაზი - 24, 5. ლელო - 16, 6. ჯვაროსნები - 6, 7. ტაო - 5, 8. წიქარა - 5.

**XI ტური**

ლოკომოტივი-წიძარა
ჯიძები-არმაზი
ტაო-ლელო

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კოკაინი მატჩის წინ


ლამარ ოდომი

ინტერნეტგამოცემა RadarOnline-მა იპოვა მამაკაცი, რომელიც ამტკიცებს, რომ **ლამარ ოდომს** ნარკოტიკებით ამარაგებდა. მისი განცხადებით, ფორვარდმა ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 50 ათასი დოლარის ღირებულების კოკაინი შეიძინა.

დრაგდილერის სიტყვებით, "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ყოფილმა მოთამაშემ 10 თებერვალს, "მედისონ სკვერ გარდენში" "ნიუ იორკთან" მატჩის წინ მიიღო ნარკოტიკი. იმ მატჩში ოდომმა 22 წუთი გაატარა მოედანზე და 2 ქულა, 7 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი მიითვალა.

*"მას უყვარს გართობა. თუ სიმართლე გაინტერესებთ, ის საკმაოდ კარგი ბიჭია, მაგრამ ამ პრობლემას მისთვის სერიოზული უსიამოვნებები მოაქვს. რაც შეეხება "ნიქსთან" მატჩს – ეს ფაქტია, რადგან პირადად მივყიდე მას ნარკოტიკი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მიიღო ის. მაშინ მან 16 ათასი გადამხადა"*, - განაცხადა ნარკომოვაჭრემ.

# სტოიაკოვიჩს უკვდავყოფენ

"საკრამენტო კინგზმა" უახლოეს ხანში, შესაძლოა, უკვდავყოს სერბი კალათბურთელის **პრედრაგ სტოიაკოვიჩის** ნომერი.


პრედრაგ სტოიაკოვიჩი

ცოტა ხნის წინ, "საკრამენტოს" ახალბედამ **ბენ მაკკლემორმა** თავის "ტვიტერზე" დაწერა, რომ მომავალში, შესაძლოა, ამჟამინდელი მე-16 ნომრის შეცვლამ მოუწიოს და ეს საპატიო მიზეზით მოხდება. სწორედ მე-16 ნომრით თამაშობდა სერბი "კინგზის" რიგებში.

*"ჩვენ განვიხილავთ პრედრაგის ნომრის საკითხს. რა თქმა უნდა, ის იმსახურებს ასეთ აღიარებას. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია"*, - განაცხადა მოგვიანებით "საკრამენტოს" პრეზიდენტმა **კრის გრეინჯერმა**.

"საკრამენტო კინგზში" ორი ნომერია ხმარებიდან ამოღებული – 4 და 21. ამ ნომრებით თამაშობდნენ კლუბში **კრის უებერი** და **ვლადო დივაცი**.

ამბები

## ნიუ ორლეანმა ელიაჰუ მიიწვია

"ნიუ ორლეანმა" ისრაელის ნაკრების ფორვარდ **ლიორ ელიაჰუს** ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც კალათბურთელი 500 ათას დოლარს მიიღებს.

27 წლის მოთამაშემ ამ ზაფხულს დატოვა თელ-ავივის "მაკაბი", რისი მიზეზიც ფინანსური უთანხმოება იყო და "ნიუ ორლეანის" სანვრთნელ ბანაკში დაჰყო გარკვეული პერიოდი. თუ ელიაჰუ ვერ მოხვდება "პელიკანსის" საბოლოო განაცხადში, მას კომპენსაციის სახით 250 ათას დოლარს გადაუხდიან.

ელიაჰუ 2012 წლის დრაფტზე "მინესოტამ" აირჩია, თუმცა მოთამაშის უფლებების შესახებ "მინესოტასა" და "ნიუ ორლეანს" შორის შეთანხმებაზე არაფერია ცნობილი.

## კიდმა ბრუკლინის აქციები შეიძინა

"ბრუკლინ ნეტსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯეისონ კიდმა** გუნდის აქციათა ის წილი შეიძინა, რომელიც ადრე რეპერ **ჯეი-ზის** ეკუთვნოდა.

მუსიკოსი იძულებული იყო გაეყიდა აქციები ინტერესთა კონფლიქტის გამო, რომელიც უკავშირდებოდა სპორტული სააგენტო Roc Nation-ის შეძენას. ასეთ დროს, აგენტს უფლება არ აქვს, ფლობდეს რომელიმე კლუბის აქციებს. სხვათა შორის, ჯეი-ზის ერთ-ერთი პირველი კლიენტი გახდა "ოკლაჰომას" ვარსკვლავი **კევინ დურანტი**.

კიდმა გუნდის აქციათა 0.067 პროცენტი გამოისყიდა და ეს გარიგება მას დაახლოებით 500 ათასი დოლარი დაუჯდა.

## ბრაზილია მსოფლიოზე ვერ გავიდა

სამხრეთ ამერიკაში მიმდინარეობს კალათბურთში კონტინენტის პირველობა, სადაც დასრულდა ჯგუფური ეტაპი. პირველი რაუნდის მთავარი მოულოდნელობა გახდა A ჯგუფში ბრაზილიის ნაკრების ბოლო ადგილზე გასვლა. **რუბენ მანიანოს** გუნდმა ჯგუფში ოთხივე შეხვედრა წააგო და პლეი ოფში ვერ მოხვდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიამ ვერ მოიპოვა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საგზური. ახლა, ამ გუნდს მხოლოდ იმის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ FIBA-სგან დაიმსახუროს ოთხი უაილდ-ქარდიდან ერთ-ერთი.

ამერიკის კონტინენტიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი საუკეთესო გუნდი გადის.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ, ქვეჯგუფებში ასეთი მდგომარეობა დაფიქსირდა:

**A ჯგუფი:** პუერტო რიკო – 8 ქულა, კანადა – 7, ურუგვაი – 6, იამაიკა – 5, ბრაზილია – 4.

**B ჯგუფი:** არგენტინა, მექსიკა – 7, ვენესუელა, დომინიკა – 6, პარაგვაი – 4.

## მაკედონიის ამაო პროტესტი

ევრობასკეტის პირველი ტურის შემდეგ, მაკედონიის კალათბურთის ფედერაციამ პროტესტი შეიტანა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტში ჩერნოგორიასთან წაგებული მატჩის შედეგის გადახედვის მოთხოვნით. მაკედონიელთა აზრით, მსაჯებს უნდა ჩაეთვალათ მათთვის გადამწყვეტი ორი ქულა, რადგან ჩერნოგორიელმა ფორვარდმა **მილკო ბიელიცამ** ბადე შეარხია იმ დროს, როცა **გეორგი ჩეკოვსკი** ფარზე ბურთის დამატებას ცდილობდა.

მიუხედავად ამისა, FIBA-ის ტექნიკურმა კომიტეტმა უარყო მაკედონიის აპელაცია და განაცხადა, რომ ვიდეოჩანაწერის მიხედვით არ შეიძლება მატჩის შედეგის შეცვლა.

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ასეთი ნადალი ძნელი გასაჩერებელია

სწრაფი ტემპებით უახლოვდებიან ერთმანეთს შორის ფინალს **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი**. ჯოკოვიჩს ჯერ სეტი არ წაუგია და სამი მატჩი ისე მოიგო, რომ ხუთზე მეტი გეიმი არ დაუთმო მოწინააღმდეგეებს, რაც შეეხება ნადალს, ის საკუთარი გეიმის წაუგებლად მიიწევს წინ.

რაფა გუშინ ხვდებოდა მეოთხედფინალში თანამემამულე **ტომი რობრედოს**, რომელმაც მანამდე **როჯერ ფედერერი** გამოთიშა ბრძოლას. ამ ჩოგბურთელთა ურთიერთდაპირისპირებაში ანგარიში იყო 6:0 ნადალის სასარგებლოდ, თან ამ ექვს მატჩში მხოლოდ ერთი სეტი ჰქონდა წაგებული.

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ამჯერადაც გაანადგურა მეტოქე. ნადალის ანგარიშზე შვიდი ბრეიკი იყო, იმ დროს, როცა რობრედოს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მიუღია. ამ მატჩის ხასიათზე კარგად მეტყველებს პირველი სეტის სტატისტიკა – რაფამ 22 წუთში აიღო პარტია ისე, რომ მხოლოდ ხუთი ქულა დაუთმო ტომის. მატჩის საბოლოო ანგარიშია – 6:0, 6:2, 6:2. ბოლოს, აშშ-ის ღიას მეოთხედფინალში ასე ცოტა გეიმი 1988 წელს გათამაშდა, როცა **ივან ლენდლმა დერიკ როსტანიო** დაამარცხა – 6:2, 6:2, 6:0.

ნადალმა ბადესთან 14-ივე გასვლა წარმატებით დაასრულა და პირველი მოწოდებით ქულების 88 პროცენტი აიღო. რაფას ჰარდზე ზედიზედ 20 მოგება აქვს, ასევე აიღო საკუთარ მოწოდებაზე ზედიზედ 67 გეიმი. ბოლოს ნადალს მიღებაზე გეიმი **ტომაშ ბერდიხმა** მოუგო – ცინცინატის მასტერსის ნახევარფინალში.

მეორე მეოთხედფინალი სულ სხვა სცენარით განვითარდა. ფრანგი **რიშარ გასკე** ამ ტურნირზე ძალიან კარგ ფიზიკურ მომზადებას აჩვენებს. წინა ეტაპზე მან ურთულეს მარათონს გაუძლო **მილოშ რაონიჩთან**, მიუხედავად ამისა, ზედიზედ მეორე ხუთსეტიან მატჩში შესანიშნავი ჩოგბურთი აჩვენა **დავიდ ფერერის** წინააღმდეგ.

ბოლოს ამ ჩოგბურთელთა ბოლო მატჩი შარშან, ამერიკის ლიაზე გაიმართა და ფერერმა სამ სეტში მოიგო. საერთოდ, ცხრა მატჩში გასკემ მხოლოდ ერთხელ დაამარცხა ფერერი, თანაც ყველა წაგებულ შეხვედრაში სეტიც არ აუღია.

ესპანელმა უკეთ დაიწყო და პირველივე გეიმში სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, თუმცა გასკე დროზე მოვიდა გონს და თავად დაწინაურდა ბრეიკით – 3:1. ფრანგმა აჯობა მეტოქეს "ვინერსებით" (15-3) და უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა.

მეორე პარტიის სტარტიც ფერერისა იყო და მან ბრეიკით წინ გასვლა შეძლო, მაგრამ ამას მოჰყვა გასკეს მხრიდან ზედიზედ ექვსი გეიმის აღება და სეტებში 2:0 დაწინაურება. ფერერმა ნაადრევად დანებება არ ისურვა და ამჯერად, შეინარჩუნა მესამე და მეოთხე სეტებში მოპოვებული სასტარტო უპირატესობა, შესაბამისად, გასკეს კვლავ მოუწია მეხუთე სეტის თამაში.

ისე ჩანდა, რომ ფრანგი ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად გამოფიტული იყო. მთელ რიგ ეპიზოდებში, ის ძლივს გადაადგილდებოდა კორტზე. მიუხედავად ამისა, ის ყოველი ბურთისთვის იბრძოდა, რამდენიმე რთული გეიმი გადაარჩინა, ბოლოს კი მეტოქის ჩავარდნით ისარგებლა და გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა.

ფრანგი კარიერაში მეორედ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში. პირველად ეს 2007 წელს, უიმბლდონზე მოხდა, როცა როჯერ ფედერერთან დამარცხდა.

### 1/4 ფინალი

**რიშარ გასკე (საფ, 8)**-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 6:3, 6:1, 4:6, 2:6, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომი რობრედო (ესპ, 19) 6:0, 6:2, 6:2.


რიშარ გასკე

# პენეტას პირველი ნახევარფინალი

ქალებმა გუშინ მეორე ნახევარფინალური წყვილი დააკომპლექტეს. მათი პროგრამა მორიგი იტალიური დერბით გაიხსნა. საინტერესოა, რომ გასულ წელსაც, ამავე სტადიაზე ორი იტალიელის მატჩი გაიმართა. მაშინ, **სარა ერანიმ რობერტა ვინჩი** დაამარცხა. ამჯერად, ეს უკანასკნელი **ფლავია პენეტას** ხვდებოდა. ურთიერთშეხვედრებში მათ თანაფარდობა ჰქონდათ – 4:4.

პირველი სეტი საკმაოდ დაძაბული გამოვიდა. ვინჩიმ ორჯერ დაიბრუნა დაკარგული საკუთარი მოწოდება, 2:4-ზე კი სამმაგი ბრეიკ-პოინტიდან გადაარჩინა საკუთარი გეიმი. თუმცა სეტის ბოლოს პენეტამ ორი თანაბარი გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა და პარტიაში გამარჯვება გამოსტაცა მეტოქეს. მეორე სეტი პენეტასთვის გაცილებით იოლი გამოდგა – ის მხოლოდ 20 წუთი გაგრძელდა და ვინჩიმ მხოლოდ ერთი გეიმის აღება შეძლო. ფლავია კარიერაში პირველად გავიდა "დიდი სლემის" ტურნირის ნახევარფინალში.


ფლავია პენეტა

ამ ეტაპზე მისი მეტოქე ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** იქნება, რომელმაც, მოლოდინისამებრ, ორ სეტში დაამარცხა სლოვაკი ვეტერანი **დანიელა ჰანტუხოვა**. ამ უკანასკნელს მეოთხედფინალამდე განთესილი მეტოქე არ ჰყოლია – მან დაამარცხა კვალიფიკაციიდან ძირითად ბადეში გასული ორი ჩოგბურთელი და უაილდ-ქარდის ორი მფლობელი. საინტერესოა, რომ პირად შეხვედრებში აზარენკა და ჰანტუხოვა თანაბრად მიდიოდნენ – 2:2.

შეხვედრის სტარტზე ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, მაგრამ შემდეგ აზარენკამ მოუმატა და წინ გაიჭრა. ჰანტუხოვა წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, მაგრამ აზარენკა აქტიურად მოქმედებდა, შეცდომები მინიმუმამდე დაიყვანა და მეტოქეს შანსი არ მისცა. პირველი სეტი ნახევარ საათში დასრულდა – 6:2.

მეორე სეტში ვიქტორიამ უფრო მეტი შეცდომის დაშვება დაიწყო, რამაც ჰანტუხოვას ბრეიკი მოუტანა. თუმცა ამას მოჰყვა სლოვაკის ჩავარდნა – ის შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და აზარენკამ მალე დაიბრუნა უპირატესობა. მართალია, მან მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო, სამაგიეროდ, მიღებაზე ითამაშა კარგად და ნახევარფინალის საგზური გაიფორმა – 6:2, 6:3.

### 1/4 ფინალი

**ფლავია პენეტა (იტა)**-რობერტა ვინჩი (იტა, 10) 6:4, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:2, 6:3.

### 1/2 ფინალი

ს. უილიამსი (1)-ნა ლი (5); პენეტა-აზარენკა (2).

# ენდის უსახელო დასასრული

## მარეიმ მეოთხედფინალში დათმო ჩემპიონის ტიტული

გუშინ, გვიან ღამით გაირკვა მამაკაცთა ბადის მესამე ნახევარფინალისტი. მოულოდნელად, ამ ეტაპზე დათმო შარშან მოპოვებული ტიტული ბრიტანელმა **ენდი მარეიმ**, რომელმაც უშანსოდ წააგო მსოფლიოს მეათე ნომერთან, შვეიცარიელ **სტანისლას ვავრინკასთან** – 4:6, 3:6, 2:6.

შეხვედრა 2 საათი და 15 წუთი გაგრძელდა, რომლის დროსაც ვავრინკამ ოთხჯერ აიღო მეტოქის მოწოდება, იმ დროს, როცა მარეის არც ერთი (!) ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია. შვეიცარიელის მეტოქე ნახევარფინალში გვიან, **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **მიხაილ იუჟნის** მატჩში უნდა გარკვეულიყო.

■ ■ ■

სალამოს სესიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მამაკაცთა წყვილთა თანრიგში ნახევარფინალი წააგეს ამერიკელმა ძმებმა – **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა**. ისინი სამ სეტში დამარცხდნენ 40 წლის ინდოელ **ლეანდერ პაესთან** და 34 წლის ჩეხ **რადეკ შტეპანეკთან** – 6:3, 3:6, 4:6.

ამ მატჩის შედეგი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ბრაიანებს ამ სეზონში "დიდი სლემის" სამი ტურნირი ჰქონდათ მოგებული და აშშ-ის ლიაზე გამარჯვების შემთხვევაში, 2013 წელს სეზონურ "დიდ სლემს" შეასრულებდნენ.


ენდი მარეი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# ნინასწარი ცნობილია

გუშინ, ცნობილი გახდა ფორმულა 1-ში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის წინასწარი კალენდარი.

მომავალ წელს დაგეგმილია 21 ეტაპის ჩატარება. "დიდ ცირკში" ბრუნდება მექსიკა და ავსტრია, უნდა შედგეს რუსეთის დებიუტი, ამასთან, კალენდარში არ მოიძებნა ადგილი ნიუ ჯერსის რბოლისთვის.

გამოქვეყნებული კალენდარი უნდა დაამტკიცოს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ, რომლის სხდომა 26-28 სექტემბერს ხორვატიაში გაიმართება.

2014 წლის სეზონის წინასწარი კალენდარი:

| | |
|---|---|
| 16 მარტი | ავსტრალია |
| 23 მარტი | მალაიზია |
| 6 აპრილი | ჩინეთი |
| 13 აპრილი | კორეა |
| 27 აპრილი | ბაჰრეინი |
| 11 მაისი | ესპანეთი |
| 25 მაისი | მონაკო |
| 8 ივნისი | კანადა |
| 22 ივნისი | ავსტრია |
| 6 ივლისი | ბრიტანეთი |
| 20 ივლისი | გერმანია |
| 27 ივლისი | უნგრეთი |
| 24 აგვისტო | ბელგია |
| 7 სექტემბერი | იტალია |
| 21 სექტემბერი | სინგაპური |
| 5 ოქტომბერი | იაპონია |
| 19 ოქტომბერი | რუსეთი |
| 26 ოქტომბერი | აბუ დაბი |
| 9 ნოემბერი | მექსიკა |
| 16 ნოემბერი | აშშ |
| 30 ნოემბერი | ბრაზილია |

# გაორებული ფერარი



"ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა **პეტ ფრაიმ** აღნიშნა, რომ იტალიური გუნდი რთული არჩევანის წინაშეა. მისი სიტყვებით, ერთი მხრივ, საჭიროა მუშაობის გაგრძელება დღევანდელ ბოლიდზე, მეორე მხრივ, არ უნდა დაივიწყონ 2014 წლისთვის განკუთვნილი ახალი მანქანა.

*"ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ყოველთვის რთულია, მაგრამ ჩვენ კვლავაც ვცდილობთ მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ ჩვენი ავტომობილი,* - ამბობს "ავტოსპორტთან" კომენტარში ფრაი. - *ჩვენ ვიმუშავეთ სიახლეებზე აეროდინამიკურ მილში და მონცასა და სინგაპურში მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეებს ჩავიტანთ. ჯერჯერობით ყველა მუშაობს F138-ის გაუმჯობესებაზე, ორი უახლოესი რბოლის ჩატარების შემდეგ კი ჩვენი პოტენციალის შემოწმებისა და მომავალი გეგმების დასახვის დრო მოვა".*

■ ■ ■

პრესისთვის ცნობილი გახდა "რედ ბულთან" **დანიელ რიკარდოს** კონტრაქტის ფინანსური დეტალები, - წერს "მოტორსპორტი.

მომავალ სეზონში ავსტრალიელის ხელფასი 2 მილიონი დოლარი იქნება. შედარებისთვის, დღეს რიკარდოს ხელფასი "ტორო როსოში" 600 ათას დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ "რედ ბულმა" ეს პილოტი **მარკ უებერის** ნაცვლად მიიწვია, რომელიც ამ სეზონის შემდეგ მიდის ფორმულა 1-დან.

მოტოგრანპრი

# მარკესს ოპერაცია არ სჭირდება

როგორც იცით, მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე - ბრიტანეთის გრანპრიზე ტრავმა მიიღო მიმდინარე პირველობის ლიდერმა, "ჰონდას" პილოტმა **მარკ მარკესმა**, კერძოდ, ტრასაზე დაცემის გამო მან მხარი იღრძო, თუმცა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ოპერაცია საჭირო არ არის და მარკესი სან მარინოს გრანპრისთვის, რომელიც 15 სექტემბერს გაიმართება, ჩვეულ რეჟიმში მოემზადება.

შეგახსენებთ, რომ ტრავმის მიუხედავად, ახალგაზრდა ესპანელმა ბრიტანეთის გრანპრი მეორე ადგილზე დაასრულა და აგრძელებს ლიდერობას გენერალურ კლასიფიკაციაში. მას წელს ხუთი ეტაპი აქვს მოგებული:

კრივი

# ოქროს ქამარი გამარჯვებულს



ფლოიდ მეივეზერი

გუშინ გაიმართა სპეციალური საჩემპიონო ქამრის პრეზენტაცია, რომლითაც მსოფლიოს საკრივო საბჭო (WBC) დააჯილდოებს **ფლოიდ მეივეზერსა** და **საულ ალვარესს** შორის გამარჯვებულს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკელსა და მექსიკელს შორის საჩემპიონო ბრძოლა 14 სექტემბერს გაიმართება. მოკრივეები პირველ საშუალო წონაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ 36 წლის მეივეზერსა და 23 წლის ალვარესს დამარცხება არ აქვთ პროფესიულ კრივში.

რაც შეეხება WBC-ის მიერ დაწესებულ ქამარს, ის მექსიკაშია დამზადებული. ამისთვის გამოიყენეს იტალიური ტყავი, რომლითაც "ფერარის" ავტომობილებია გაწყობილი და ორი კილოგრამი ოქრო. ქამარზე გამოსახულია ორივე მოკრივის სახე და მექსიკისა და აშშ-ის დროშები.

*"ეს დიდი ბრძოლა იქნება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კრივში. ეს ქამარი – სპეციალური პრიზია მსოფლიოს ორ უძლიერეს მოკრივეს შორის შეხვედრისთვის"*, - ამბობს WBC-ის პრეზიდენტი **ხოსე სულეიმანი**.

გუშინ, ასევე გაირკვა, რომ მომავალი ორთაბრძოლა მეივეზერს 41.5 მილიონ დოლარს მოუტანს, რაც კრივის ისტორიაში ყველაზე მაღალი ჰონორარია. აქამდე, რეკორდი ეკუთვნოდა **ევანდერ ჰოლიფილდს**, რომლის შემოსავალმა 1997 წელს, **მაიკ ტაისონთან** ბრძოლაში 33 მილიონი დოლარი შეადგინა.

საულ ალვარესის ჰონორარი 12.5 მილიონ დოლარი იქნება.

ოლიმპიზმი

# როგეს რიოს ტემპები არ მოსწონს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟან როგემ** განაცხადა, რომ რიო-დე-ჟანეირომ უნდა დააჩქაროს 2016 წლის ოლიმპიადისთვის განკუთვნილი სპორტული ობიექტების მშენებლობის ტემპი.

*"რიო-დე-ჟანეიროს" გარკვეული პრობლემები გააჩნია,* - განაცხადა როგემ. – *აუცილებელია მშენებლობის ტემპების დაჩქარება. დრო ძალიან სწრაფად გარბის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სატესტო შეჯიბრებებისთვის ყველაფერი მზად იქნება.*

*ჩვენ კარგი საუბარი გვქონდა, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მომავალი ოლიმპიური ტურნირების საორგანიზაციო კომიტეტებს. სოჭი, რიო-დე-ჟანეირო, ფხენიანი (2018 წლის ზამთრის თამაშების დედაქალაქი), ნანკინი (2014 წელს იუნიორთა ოლიმპიური თამაშების მასპინძელი) – ოპტიმიზმით ვუყურებთ ამ ქალაქების მზადებას. ყველაზე დიდ პროგრესს ლილეჰამერმა მიაღწია (2016 წელს იუნიორთა ოლიმპიადის დედაქალაქი)".*

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2015**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ლიტვა-ფინეთი | 0:1 |
| ინგლისი-მოლდოვა | 1:0 |
| ჰოლანდია-შოტლანდია | 4:0 |
| საფრანგეთი-ყაზახეთი | 5:0 |
| უნგრეთი-ბოსნია | 4:1 |
| ავსტრია-ესპანეთი | 2:6 |
| ლატვია-შვეიცარია | 0:2 |
| თურქეთი-მალტა | 4:0 |
| პორტუგალია-ნორვეგია | 5:1 |
| სერბეთი-კვიპროსი | 2:1 |
| იტალია-ბელგია | 1:3 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კატარი-მავრიტანია | 3:0 |
| ტრინიდადი-საემიროები | 3:3 პენ. 6:7 |
| ს. არაბეთი-ზელანდია | 0:1 |
| სტ. პაული-ვერდერი | 4:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-ხიმიკი | 1:1 |
| ენისეი-უფა | 3:1 |
| სიბირი-ანგუშტი | 1:1 |
| გაზოვიკი-შინიკი | 2:0 |
| მორდოვია-ალანია | 0:0 |
| ნალჩიკი-სალუტი | 1:0 |
| როტორი-ლუჩ ენერგია | 0:2 |
| ტორპედო-ბალტიკა | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი**

| | |
|---|---|
| უკრაინა-ისრაელი | 74:67 |
| გერმანია-ბელგია | 73:77 (ო) |
| ბრიტანეთი-საფრანგეთი | 65:88 |
| ჩერნოგორია-ლატვია | 72:73 |
| ბოსნია-სერბეთი | 67:77 |
| ლიტვა-მაკედონია | 75:67 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 68:69 |
| სლოვენია-ესპანეთი | 78:69 |
| ფინეთი-შვედეთი | 81:60 |
| იტალია-თურქეთი | 90:75 |
| საბერძნეთი-რუსეთი | 80:71 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 3:2 |
| ვიტაზი-სპარტაკი | 0:2 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| მარეი-ვავრინკა | 4:6, 3:6, 2:6 |

TV პროგრამა

**5 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**16:20** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. საქართველო-ხორვატია. სლოვენია (LIVE).
**23:00** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ეტაპი. სლოვენია-ესპანეთი. სლოვენია (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტური. ფერეირა-პორტო.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ბორუსია (მ)-ვერდერი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**15:30** ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი.
**21:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ბარსელონა.
**00:00** ჩემპიონთა ლიგა. დორტმუნდი-რეალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ფრაიბურგი - ბაიერნი
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-კამბური.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ბიარიცი-ჰარლიქვინსი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონი-ნიუ იორკი. 1984 წელი.
**23:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**13:20** სპორტ-NEWS.
**13:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**16:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**18:20** სპორტ-NEWS.
**18:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 17 | 21 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 19 | (წვიმა) |
| ბათუმი | 17 | 20 | (წვიმა) |
| ფოთი | 15 | 18 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 18 | (წვიმა) |
| გორი | 13 | 19 | (წვიმა) |
| თელავი | 17 | 22 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 16 | 21 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | 9 | 10 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 16 | (წვიმა) |
| მესტია | 6 | 9 | (წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1888 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6612 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5873 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9782 |

ჰოკეი

# ბურეს ათიანს აჩუქებენ

ლეგენდარულმა რუსმა ფორვარდმა **პაველ ბურემ** განაცხადა, რომ ნოემბერში ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბი "ვანკუვერ კენაქსი" ხმარებიდან ამოიღებს მე-10 ნომერს, რომლითაც რუსი ამ გუნდში თამაშობდა.

*"სხვადასხვა ნომრით მითამაშია, მაგრამ "ათიანი" ყველაზე იღბლიანი იყო. 1989 წელს, სსრკ-ის ნაკრებში თამაშისას ეს ნომერი ჩვენმა ლეგენდარულმა მწვრთნელმა ვიქტორ ტიხონოვმა მომანიჭა"*, - ამბობს ბურე.

პაველ ბურე, რომელიც NHL-ის დიდების დარბაზის წევრია, პირველი რუსი ჰოკეისტი იქნება, რომლის ნომერსაც ხმარებიდან ამოიღებენ მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პაველ ბურე

europe-bet.com
ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთი სუსტი ყოფილა

**ევრობასკეტი**
**მოულოდნელობებით არის სავსე. თურქეთის ნაკრები, რომელსაც მისი შემადგენლობიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ, ზედიზედ მეორედ დამარცხდა და შინ გამგზავრების ფავორიტი გახდა. ამ დროს კი არაფრით გამორჩეული ფინეთი, უკრაინა და ლატვია ორი მოგებით იწონებენ თავს. საერთოდ, ყველა ჯგუფში სცენარი ისეთია, რომ ბოლო დღემდე ბევრი რამ გაურკვეველი იქნება...**

**უკრაინა–ისრაელი 74:67**

**გადამწყვეტი მომენტი**: მატჩის ბოლოს, უკრაინამ 9:3 გაქცევა შეძლო და ამან გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**მატჩის გმირი**: სერგეი გლადირმა გადამწყვეტ მომენტებში შესაშური სიზუსტე გამოიჩინა და ფარქვეშ ბრძოლაშიც ივარგა. თავისი 17 ქულიდან შვიდი მან მეოთხე მეოთხედში მოიპოვა.

**სტატისტიკა არ ტყუის**: ისრაელის სასტარტოს წევრებმა 20-დან მხოლოდ რვა ბურთი მოათავსეს კალათში. **აფიქ ნისიმმა** თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო, **ომრი კასპიმ** კი – რვიდან ერთი.

უკრაინის ნაკრებმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა მეორე რაუნდისკენ - **მაიკ ფრატელოს** შეგირდებმა ორიდან ორი მატჩი მოიგეს.

**პუჰ ჯეტერის** მონდომებით უკრაინამ 11:0 გაქცევით დაიწყო თამაში და ამ უპირატესობას ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდა. პირველი ნახევარი სწორედ 11-ქულიანი სხვაობით დასრულდა - 35:26.

ისრაელი მესამე მეოთხედში გააქტიურდა და 8:0 სპურტის შემდეგ მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ **დმიტრო ზაბრიჩენკოს** აქტიურობით უკრაინამ აღადგინა 10-ქულიანი უპირატესობა. მეოთხე მეოთხედში იყო მომენტი, როცა უკრაინელებმა ზედიზედ ცხრა შეტევა გააფუჭეს და ისრაელის ნაკრების კალათბურთელს **იანივ გრინს** შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მისი საჯარიმო არაზუსტი აღმოჩნდა. ამას მოჰყვა უკვე ნახსენები 9:3 სპურტი და ისრაელმა ბრძოლის გაგრძელების შანსი დაკარგა.

**გერმანია–ბელგია 73:77**

**გადამწყვეტი მომენტი**: გერმანიის ნაკრებმა დიდი ძალა შეალია წინა დღეს საფრანგეთის დამარცხებას, მაგრამ შეეძლო გუშინდელი მატჩის მოგება. გუნდი დაალალატა **ჰაიკო შაფარციკმა**, რომელმაც ბოლო წამებზე ორი საჯარიმო ააცილა.

**მატჩის გმირი**: ბელგიელმა **ჯონათან ტაბუმ** 15-დან 12 ქულა მეოთხე მეოთხედსა და ოვერტაიმში აიღო. ძირითადი დროის ბოლოს, მისმა ორმა სამქულიანმა მოუტანა ბელგიას ოვერტაიმი.

**სტატისტიკა არ ტყუის**: ბელგიამ მეტოქის შეცდომების შემდეგ 21 ქულა დააგროვა.

**ჩერნოგორია–ლატვია 72: 73**

**გადამწყვეტი მომენტი**: ჩერნოგორიის ნაკრებმა მეოთხე მეოთხედის შუაში სერიოზული უპირატესობა მიიღო – რვა ქულით გავიდა წინ, მაგრამ **რიხარდს კუკსიქსის** ორმა სამქულიანმა ლატვიის 9:0 გაქცევას ჩაუყარა საფუძველი. ხოლო ბალტიისპირელებმა მეტოქის წინააღმდეგობა მაშინ გატეხეს, როცა ბოლო წუთზე ასევე ორი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში **კრისტაპს იანიჩენოკსმა**.

**მატჩის გმირი**: ზედიზედ მეორედ მატჩის გმირი გახდა **როლანდს ფრეიმანისი**, რომელსაც განსაკუთრებული სტატისტიკა არ ჰქონია (12 ქულა), მაგრამ მეოთხე მეოთხედში უმნიშვნელოვანესი ქულები მოიპოვა.

**სტატისტიკა არ ტყუის**: ლატვიამ ორქულიანების გამოყენების 51 პროცენტი დააფიქსირა და ეს ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო მის გამარჯვებაში.

უკრაინის მსგავსად, ლატვიამ ორი მოგებით დაიწყო ევრობასკეტი. მისი გუშინდელი მატჩი ჩერნოგორიასთან, ფაქტობრივად, ლიდერობისთვის დუელი იყო, რადგან ჩერნოგორიელებსაც მოგებული ჰქონდათ პირველი შეხვედრა. მატჩის პრინციპულ ხასიათზე მეტყველებს პირველი ტაიმის მსვლელობა - პირველ ორ მეოთხედში თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა. ყველაზე დიდი სხვაობა ხუთი ქულა იყო - ჩერნოგორია დაწინაურდა, მაგრამ იანიჩენოკსის აქტიურობით დიდი შესვენებისთვის ანგარიში გათანაბრდა.

ლატვია კარგად თამაშობდა მეტოქის სამწამიანში - მესამე მეოთხედში თამაშიდან ჩაგდებული ცხრა ბურთიდან შვიდი სწორედ ამ ზონიდან მოდის, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ინიციატივას ჩერნოგორიელები ფლობდნენ და მეოთხე მეოთხედში რვა ქულით მოახერხეს წინ გასვლა. ზემოთ უკვე მოგიყევით რაც შემდეგ მოხდა. წინა მატჩში ჩერნოგორიელთა გმირმა **ტაირის რაისმა** (მაკედონიასთან გამარჯვების ტყორცნა ჩააგდო) 24 ქულა დააგროვა, აქედან 12 მეოთხე მეოთხედზე მოდის, მაგრამ ამან მის გუნდს არ უშველა.

**ბოსნია–სერბეთი 67:77**

**გადამწყვეტი მომენტი**: სერბეთის ნაკრებმა მეექვსე წუთზე მოიპოვა ლიდერობა და მატჩის ბოლომდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია.



შეტევაში მარკო ბელინელი

**მატჩის გმირი**: სერბეთის მცველმა **სტეფან მარკოვიჩმა** სოლიდური სტატისტიკა მოიპოვა: 15 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა.

**სტატისტიკა არ ტყუის**: სერბეთმა სამწამიანიდან 42 ქულა მოიპოვა და პირველ სამ მეოთხედში ორქულიანების 70 პროცენტი მოათავსა კალათში. ბოსნიამ 16 შეცდომა დააგროვა.

თავიდან მატჩი გუნდის ლიდერების - **მირზა ტელეტოვიჩისა** და **ნენად კრსტიჩის** დუელით დაიწყო - ჯამური 18 ქულიდან - 13 ამ ორი კალათბურთელის ანგარიშზე იყო. ამის შემდეგ, კრსტიჩს პარტნიორებმაც აუბეს მხარი - სერბეთი პირველივე მეოთხედში 16:2 გაიქცა და ბოსნიამ მისი დაწევა ველარ შეძლო. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში სერბები 25 ქულითაც იგებდნენ, მაგრამ მოდუნდნენ და მეტოქეს 11:0 გაქცევის საშუალება მისცეს, მაგრამ ამას თამაშში გარდატეხის შეტანა არ მოჰყვა.

**იტალია–თურქეთი 90:75**

**გადამწყვეტი მომენტი**: პირველ ტაიმში იტალიელთა 10-ქულიანი უპირატესობა მესამე მეოთხედის შემდეგ 19 ქულამდე ავიდა. ეს "სკუადრა აძურას" მცველის **პიეტრო არადორის** დამსახურებაა, რომელმაც 10 წუთში 17 ქულა მიითვალა!

**მატჩის გმირი**: არადორის გარდა, ამ მატჩის გმირია **მარკო ბელინელი**, რომელმაც 17 ქულა მოიპოვა.

**სტატისტიკა არ ტყუის**: იტალიის ნაკრები შეუჩერებელი იყო პერიმეტრზე - 19-დან 11 სამქულიანი ჩააგდო. გარდა ამისა, იტალიელებმა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 4 შეცდომა დაუშვეს, თურქეთი კი დაალალატა საჯარიმოების ცუდმა რეალიზაციამ - 28-დან 16.

ფაქტობრივად, ამ მატჩში ბრძოლა მხოლოდ პირველ მეოთხედში იყო. წინა მატჩში ფინეთთან წაგების შემდეგ, თურქეთს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და აქტიურად დაიწყო - 17:12 დაწინაურდა, მაგრამ იტალიამ მალე მოიპოვა ინიციატივა და პირველი მეოთხედი სამი ქულით მოიგო, ხოლო პირველი დარტყმა მეტოქეს 12:0 გაქცევით მიაყენა. მეორე დარტყმა კი არადორის ბრწყინვალე თამაში იყო მესამე მეოთხედში.

**ფინეთი–შვედეთი 81:60**

**გადამწყვეტი მომენტი**: პირველი მეოთხედის შემდეგ თანაბარი ანგარიში იყო, მაგრამ მეორე მეოთხედი ფინეთის 19:3 გაქცევით დაიწყო, პირველი ტაიმის შემდეგ კი ანგარიში 46:30 გახდა.

**მატჩის გმირი**: რთულია ფინელების რიგებში ვინმეს გამოყოფა, რადგან ხუთმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 ქულა. მათგან საუკეთესო იყო **ჯერალდ ლი** 14 ქულითა და 5 მოხსნით.

**სტატისტიკა არ ტყუის**: შვედეთმა მეორე მეოთხედში 13-დან ერთი ბურთი ჩააგდო, შვიდი შეცდომა დააგროვა და მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## A ჯგუფი

**უკრაინა 74**
19:13, 16:13, 18:20, 21:21
**ისრაელი 67**

უ: გლადირი (17+5 მოხსნა), კრავცოვი (15+8 მოხსნა), პუსტოზვონოვი (13), ნატიაჟკო (10+5 მოხსნა).
ი: ნისიმი (12).
**ორქულიანები**: 15/28 (53,6%) - 17/35 (48,6%)
**სამქულიანები**: 8/22 (36,4%) - 4/16 (25%)
**საჯარიმოები**: 20/27 (74,1%) - 21/27 (77,8%)
**მოხსნები**: 32-28. **პასები**: 16-15. **შეცდომები**: 21-13

**გერმანია 73 (ო)**
16:14, 10:21, 15:13, 22:15, 10:14
**ბელგია 77**

გ: ბენცინგი (24+5 მოხსნა), შაფარციკი (15+7 პასი), პლიაისი (10+9 მოხსნა).
ბ: მასო (15+8 მოხსნა), ტაბუ (15+6 მოხსნა+5 პასი), ერველი (11+9 მოხსნა), ვან როსომი (10+4 პასი), მუკუბუ (10+4 პასი).
**ორქულიანები**: 15/33 (45,5%) - 17/41 (41,5%)
**სამქულიანები**: 7/22 (31,8%) - 11/30 (36,7%)
**საჯარიმოები**: 22/31 (71,0%) - 10/13 (76,9%)
**მოხსნები**: 37-41. **პასები**: 15-21. **შეცდომები**: 20-18

**ბრიტანეთი 65**
14:26, 23:19, 11:26, 17:17
**საფრანგეთი 88**

ბ: კლარკი (16), ვან ოოსტრუმი (13).
ს: ბატუმი (17), პარკერი (16+5 პასი), ჟელაბალი (11), დე კოლო (11), აჟინკა (10+11 მოხსნა).
**ორქულიანები**: 17/39 (43,6%) - 30/45 (66,7%)
**სამქულიანები**: 9/27 (33,3%) - 7/21 (33,3%)
**საჯარიმოები**: 4/8 (50%) - 7/10 (70%)
**მოხსნები**: 34-38. **პასები**: 10-18. **შეცდომები**: 17-12

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 2 | 2 | 0 | 132-124 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 162-145 |
| 3. ბელგია | 2 | 1 | 1 | 134-131 |
| 4. გერმანია | 2 | 1 | 1 | 153-151 |
| 5. ბრიტანეთი | 2 | 1 | 1 | 140-159 |
| 5. ისრაელი | 2 | 0 | 2 | 138-149 |

## B ჯგუფი

**ჩერნოგორია 72**
17:17, 20:20, 15:17, 20:19
**ლატვია 73**

ჩ: რაისი (24+5 პასი), სეკულიჩი (13+6 მოხსნა).
ლ: იანიჩენოკსი (15), ფრეიმანისი (12+7 მოხსნა).
**ორქულიანები**: 17/42 (40,5%) - 17/33 (51,1%)
**სამქულიანები**: 7/22 (31,8%) - 8/22 (36,4%)
**საჯარიმოები**: 17/23 (73,9%) - 15/26 (57,7%)
**მოხსნები**: 37-34. **პასები**: 11-16. **შეცდომები**: 12-12

**ბოსნია 67**
16:28, 15:17, 18:19, 18:13
**სერბეთი 77**

ბ: ჯედოვიჩი (17+7 მოხსნა+5 პასი), ტელეტოვიჩი (16+5 მოხსნა), კიკანოვიჩი (13+6 მოხსნა), პერშიჩი (10).
ს: მარკოვიჩი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), კატიჩი (12), ნედოვიჩი (11+6 პასი), ნენად კრსტიჩი (10) , ბიელიცა (7+11 მოხსნა).
**ორქულიანები**: 14/40 (37,5%) - 24/38 (63,2%)
**სამქულიანები**: 6/19 (31,6%) - 7/23 (30,4%)
**საჯარიმოები**: 19/28 (67,9%) - 8/13 (61,5%)
**მოხსნები**: 35-39. **პასები**: 9-16. **შეცდომები**: 16-16

**ლიტვა 75**
20:15, 19:18, 18:17, 18:17
**მაკედონია 67**

ლ: კალნიეტისი (17+6 მოხსნა+5 პასი), მაჩიულისი (14), მოტეიუნასი (11), ვალანჩიუნასი (11+7 მოხსნა).
მ: ილიევსკი (13), ანტიჩი (12+8 მოხსნა), მაკალები (11).
**ორქულიანები**: 23/47 (48,9%) - 17/35 (48,6%)
**სამქულიანები**: 2/8 (25,0%) - 6/28 (21,4%)
**საჯარიმოები**: 23/33 (69,7%) - 15/20 (75,0%)
**მოხსნები**: 36-39. **პასები**: 11-8. **შეცდომები**: 15-15

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 2 | 0 | 140-123 |
| 2. ლატვია | 2 | 2 | 0 | 159-147 |
| 3. ლიტვა | 2 | 1 | 1 | 131-130 |
| 4. ჩერნოგორია | 2 | 1 | 1 | 153-153 |
| 5. მაკედონია | 2 | 0 | 2 | 147-156 |
| 6. ბოსნია | 2 | 0 | 2 | 142-163 |

## D ჯგუფი

**ფინეთი 81**
27:27, 21:4, 19:15, 14:14
**შვედეთი 60**

ფ: ლი (14+5 მოხსნა), მუურინენი (12), კოპონენი (10+6 პასი), ჰაფი (10+6 მოხსნა), პანიკო (10).
შ: ტეილორი (19+6 მოხსნა), ჟერებკო (12+4 პასი+5 შეცდომა).
**ორქულიანები**: 20/37 (54,1%) - 14/41 (34,1%)
**სამქულიანები**: 8/21 (38,1%) - 8/23 (34,8%)
**საჯარიმოები**: 17/22 (77,3%) - 8/11 (72,7%)
**მოხსნები**: 39-37. **პასები**: 20-12. **შეცდომები**: 15-21

**იტალია 90**
22:19, 22:15, 30:23, 16:18
**თურქეთი 75**

ი: არადორი (23), ჯენტილე (20), ბელინელი (17), მელი (14+10 მოხსნა).
თ: აშიქი (12), თურქოგლუ (12+4 პასი), ჩეთინი (11), ილიასოვა (11+6 მოხსნა), პრელჯიჩი (9+8 მოხსნა+4 პასი).
**ორქულიანები**: 25/47 (53,2%) - 16/32 (50%)
**სამქულიანები**: 11/19 (57,9%) - 9/18 (50%)
**საჯარიმოები**: 7/11 (63,6%) - 16/28 (57,1%)
**მოხსნები**: 29-34. **პასები**: 11-16. **შეცდომები**: 4-10

**საბერძნეთი 80**
16:21, 25:13, 21:13, 18:24
**რუსეთი 71**

ს: სპანულისი (11), კაიმაკოგლუ (11), პაპანიკოლაუ (10), მავროკეფალიდისი (10), პერპეროგლუ (10).
რ: შვედი (17+4 პასი+5 შეცდომა), კარასიოვი (10+7 მოხსნა).
**ორქულიანები**: 25/43 (58,1%) - 21/34 (61,8%)
**სამქულიანები**: 6/17 (35,3%) - 7/21 (33,3%)
**საჯარიმოები**: 12/17 (70,6%) - 8/9 (88,9%)
**მოხსნები**: 32-24. **პასები**: 14-12. **შეცდომები**: 17-17

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 2 | 2 | 0 | 159-122 |
| 2. ფინეთი | 2 | 2 | 0 | 142-115 |
| 3. იტალია | 2 | 2 | 0 | 166-144 |
| 4. რუსეთი | 2 | 0 | 2 | 140-156 |
| 5. თურქეთი | 2 | 0 | 2 | 130-151 |
| 6. შვედეთი | 2 | 0 | 2 | 111-160 |

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის 25/ივერიის 5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ტელ: 238 84 44; 238 74 44; ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608